ცეკა-ს ერთი მდივნის საქციელი მეორეს რომ არ მოეწონოს A2

სახელისუფლებო ბლოკში პრობლემებია A3

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

ოთხშაბათი, 23 აპრილი, 2003 წელი. №111 (323)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# მწერლები, ფასდაკლება, მთაწმინდა

## დღეს "საბას" ჯილდოები გაიცემა



დიდი ფასდაკლება ეროვნული ბიბლიოთეკის წინ (13-დან 17-საათამდე).



"პარნასში" მწერლები გამყიდველების როლში მოგვევლინებიან.



დღის მთავარი მოვლენა.
დღეს საღამოს აქ "საბას" ჯილდოებს გადასცემენ.



თამარ სუხიშვილი

*დღეს წიგნის დღეა - წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე, რიცხვსაც შეგახსენებთ: 23 აპრილი. შარშან ეს დღე 80 ქვეყანაში აღინიშნა, წელს ამ ქვეყნების რიცხვს საქართველოც მიემატა. საქართველოში წიგნის დღე პირველად აღინიშნება. გილოცავთ!*
*მოქმედების ადგილი ცნობილია - მაღაზია "პარნასი", გუდიაშვილის ქუჩა (ფრანგული კულტურის ცენტრსა და ჰუმბოლდტის სახელობის სამკითხველოს შორის მდებარე ტერიტორია), ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი და ბოლოს - მთაწმინდა, "საბას" დაჯილდოების ცერემონიალი.*

მაგრამ მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს.

### მწერლები გამყიდველის ამპლუაში

ჯერ ვაკიდან დავიწყოთ, მაინც პრესტიჟული უბანია, და სტუდენტების საყვარელ "საბირჟაო" ადგილს - "ყავის სახლს" მივაკითხოთ. დღეს, დღის პირველი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე "ყავის სახლის" მუშტარი, ალბათ, მაღაზია "პარნასში" გადაინაცვლებს. ხუმრობა საქმე ხომ არაა, აქ წიგნის გამყიდველების ნაცვლად მყიდველს თავად მწერლები უმასპინძლებენ. ეს იქნება "პარნასის" ორიგინალური საჩუქარი ქართველი მკითხველისათვის. მწერლები მაღაზიის სტუმრებისთვის რჩევებსაც არ დაიშურებენ და, რასაკვირველია, ავტოგრაფებსაც გასცემენ. გამყიდველ მწერლებს შორის ლიტერატურულ კონკურს "საბას" ნომინანტებიც იქნებიან. როგორ იგრძნობენ თავს ქართველი ავტორები წიგნის გამყიდველის ამპლუაში, ამას დღესვე შევიტყობთ. ერთი კი დანამდვილებით ვიცი, ეს იდეა ჩვენმა მწერლებმა იმთავითვე დიდი ხალისით აიტაცეს.

გაგრძელება B2 გვერდზე

### პოლიტიკა

**საზოგადოების ჭირი - უმრავლესობის ლობეში ჩხირი**

ძალიან ცუდია, როდესაც ის, რაც აღელვებს საზოგადოების უმრავლესობას, საპარლამენტო უმრავლესობას ოდნავადაც არ ადარდებს.

A2

### ეკონომიკა

**დისციპლინა და ლაზღანდარობა ეკონომიკაში**

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არსებობის "სტაჟთან" ერთად უფრო აქტუალური ხდება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობისა და როლის განსაზღვრა საერთაშორისო თანამეგობრობაში. დღეს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები.

A4

### უცხოეთი

**პალესტინის ხელისუფლებაში ორი დაპირისპირებული ბანაკი ჩამოყალიბდა**

მართალია, იასირ არაფატმა, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, პრემიერ-მინისტრის პოსტი შემოიღო და ამ თანამდებობაზე თავის კონკურენტად აღიარებული მაჰმუდ აბასი დაამტკიცა, მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა.

A5

### საზოგადოება

**ძრწოდეთ ძაღლებო, კატებო და თაგვებო - ლეიბორისტები მოდიან!**

ბატონმა შალვამ განაცხადა, უზედამხედველო ცხოველებს ჩვენ მივხედავთ, ძაღლებს პურით დავიჭერთ, კატებს - თაგვებით, ყველაფერს უსასყიდლოდ გავაკეთებთ, ოღონდ კი, ამ საქმისთვის გამოყოფილი ფული მეანაბრეების პრობლემის მოგვარებას მოხმარდესო.

A6

### სამართალი

**ფრთხილად პოლიციაა!**

ტვინის შერყევა, ნაკვეთი ჭრილობები, ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებები თავის არეში – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებმა გუშინ, გვიან ღამით, საავადმყოფოში მიყვანილ ორ ახალგაზრდას – დიმიტრი მამულაშვილსა და მამუკა კვესელაძეს.

A7

### მერიდიანი

**ჭეი ბარნერი - მგელი ფარაში**

A8

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | |
| ქუთაისი | 18 | |
| ბათუმი | 15 | |
| სოხუმი | 14 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 14 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 14 | |
| ახმეტა | 15 | |
| ჭიათურა | 17 | |
| გაგრა | 12 | |
| სამტრედია | 18 | |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1660 |
| ევრო | 2.3564 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4108 |
| რუბლი | 0.0694 |

## ენგურის ხიდზე მოწყობილ საგუშაგოზე მოსახლეობას ძარცვავენ

*ენგურის ხიდი "შავი ფულის" კეთების საშუალება რომ გახდა, ახალი ამბავი არ არის. ცოტა ხნის წინ, მოსახლეობისგან ფულის გამოსაძალად, აქ კიდევ ერთი პოსტი გაიხსნა, რომელსაც სამეგრელოში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებები და სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები აკონტროლებენ.*

ინგა ალავიძე

ამას ამტკიცებს გალის მოსახლეობა, რომლის განცხადებითაც, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ენგურის ხიდზე მოქმედ არაოფიციალურ საგუშაგოზე, შეიარაღებული პირები ზუგდიდში მიმავალ გალელებს, ფაქტობრივად, ძარცვავენ. ზუგდიდში ან გალში მიმავალმა (ანუ ხიდზე გადასვლის მსურველმა) საგუშაგოზე მდგარ პირებს არაოფიციალური "საბაჟო გადასახადი" – 2-3 ლარი უნდა გადაუხადოს. უარის მთქმელი მკაცრ სადამსჯელო ღონისძიებებს

გაგრძელება A7 გვერდზე

## კორუფციული წესრიგი

ლევან იზორია
*სამართლის დოქტორი (გერმანია, გოტინგენი), თსუ-ს დოცენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კონრად-ადენაუერის ფონდის რეგიონული წარმომადგენელი კავკასიაში.*

საქართველოში არსებული წესრიგის შეფასებისას დამკვირვებელი მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდება. აღნიშნულ წესრიგს კორუფცია უდევს საფუძვლად. სამართლიანობა ითხოვს ამ რეალობის მიუკერძოებელ და ობიექტურ წარმოჩენას. წინამდებარე სტატიის ამოცანაა, კორუფციული წესრიგის მიზეზების, მისგან მომდინარე საფრთხისა და მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივების დადგენა.

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მიუხედავად ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ქართული საზოგადოება დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ, საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებში ინდივიდუალური პოლიტიკური აზროვნების და პოლიტიკური მართვის უნარი დააკნინა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ტექნიკურად" მოპარული 30 მილიონი დოლარი

სოფო კვინტრაძე

*მომავალ კვირას, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია ელექტროენერგიის ტექნიკური დანაკარგების შესახებ მოკვლეულ მასალებს გამოსაძიებლად გადასცემს გენერალურ პროკურატურას. სემეკის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი აცხადებს, რომ ელექტროსისტემაში ტექნიკური დანაკარგების რაოდენობა საგანგაშოდ გაიზარდა, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ელექტროენერგიის ორგანიზებულ დატაცებასთან გვაქვს საქმე. სემეკი ამაში ერთიან სახელმწიფო ელექტროსისტემას და სადისტრიბუციო კომპანიებს სდებს ბრალს.*

სემეკ-მა ელექტროენერგიის ტექნიკური დანაკარგებით შექმნილ პრობლემას საგანგებო სხდომა მიუძღვნა, რომელსაც ენერგოსექტორის სხვადასხვა უწყებების თავკაცები ესწრებოდნენ. როგორც ელიზბარ ერისთავი აცხადებს, ტექნიკური დანაკარგების საგრძნობლად გაზრდის თაობაზე პირველად ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა მიმართა სემეკ-ს. ამის შემდეგ, სემეკ-ის დავალებით, ენერგოზედამხედველობამ

გაგრძელება A4 გვერდზე

## ერაყის ომმა პაკისტანში პანიკა გამოიწვია

რევაზ ბახტაძე

ერაყის ომის დაწყებისთანავე, ავტორიტარიზმსა და ექსტრემიზმში ეჭვმიტანილ ყველა სახელმწიფოს ლიდერს ელეთმელეთი დაემართა და ახლა ჰგონია, რომ სადამის შემდეგ სწორედ მისი ჯერი დადგება. ახლო აღმოსავლეთიდან დაწყებული, კორეის ნახევარკუნძულით დამთავრებული, სახელმწიფოების მეთაურები ამერიკის წინაშე ჩადენილ თავიანთ "ცოდვებს" იხსენებენ და ვაშინგტონის მომავალ ნაბიჯებზე მარჩიელობენ. საყოველთაო პანიკა პაკისტანსაც გადაედო.

პაკისტანს ბირთვული იარაღი აქვს, პრეზიდენტად გენერალი უზის, ქვეყანაში ძალზე ძლიერი ისლამისტური პარტიები მოქმედებენ და ხანდახან, ისლამაბადს ტერორიზმის მხარდაჭერაშიც ადანაშაულებენ.

გასაკვირი არ არის, რომ პაკისტანში ზოგიერთები ნერვიულობენ, რადგან მათმა ქვეყანამ, შესაძლოა, იგივე ბედი გაიზიაროს, რაც ერაყმა და პრევენტული დარტყმების აუცილებლობაზე დაფუძნებული ახალი ამერიკული დოქტრინის მსხვერპლი გახდეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## რიჩარდ მაილსი: თქვენი მომავალი თქვენს ხელშია

*"მივესალმები საქართველოს სურვილს, გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა. მან ამ მიზნის მისაღწევად უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები. თავდაცვის სფეროს გარდა, საქმე ეხება ადამიანური ღირებულებების, დემოკრატიული ფასეულობების დაცვას, ეკონომიკურ აღმავლობას. დემოკრატიისადმი სწრაფვა მომდევნო საპარლამენტო არჩევნების დროს უნდა გამოჩნდეს, თქვენი მომავალი თქვენს ხელშია," – ასე მიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა.*

თამარ ასათიანი

სტუდენტებთან გუშინდელი შეხვედრის ინიციატორი, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალურ საბჭოსთან ერთად, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძეც იყო, თუმცა გუშინ იგი სტუდენტების წინაშე წარდგა არა როგორც პარტიის, არამედ - არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველო ნატო"-ში თავმჯდომარე.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მერიდიანი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# მკვლელობა თბილისის ცენტრში

თამარ კაციტაძე

გუშინ თბილისში კიდევ ერთი განზრახ მკვლელობა მოხდა. ერისთავის ქუჩაზე, "ligne roset"-ის ოფისის წინ, სავარაუდოდ "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან გასროლით მოკლეს ქონების მართვის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე კოტე იოსელიანი.

მართალია, დანაშაული რამდენიმე საათში გაიხსნა, მაგრამ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, სადაც საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, მკვლელობის ზუსტ მიზეზს ჯერჯერობით არ ასახელებენ.

სამართალდამცველებმა იოსელიანის მკვლელს საავადმყოფოში მიაგნეს. ხელში დაჭრილი გელა საყვარელიძე, რომელიც წარსულში სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა, ამჟამად კი ბორჯომის ერთ-ერთი სანატორიუმის დირექტორია, ორმა პიროვნებამ სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანა. მას ამჟამად პოლიციელები იცავენ.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის გოგი ნებიერიძის განცხადებით, მკვლელობას რამდენიმე პიროვნება შეესწრო, მაგრამ სამართალდამცველებთან კონტაქტს ყველა თავს არიდებს და ჩვენებასაც არ აძლევენ. ამიტომ, მკვლელობის დეტალები ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ არის ცნობილი, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია სავარაუდო წარმოდგენას ქმნის მკვლელობის მოტივაციის შესახებ.

გარდაცვლილი იოსელიანი ფიქტიურ ქორწინებაში იმყოფება მარინა ჯანელიძესთან, რომლის დის ქმარიც არის გელა საყვარელიძე. გავრცელებული ინფორმაციით, იოსელიანს და საყვარელიძეს საერთო ბიზნესი ჰქონდათ, რის გამოც მათ შორის კონფლიქტი წლების წინ დაიწყო. ერთ-ერთი ვერსიით, საყვარელიძემ იოსელიანი რამდენიმე წლის წინაც დაჭრა. სახვათა შორის, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქვისლები საქმის გასარჩევად მკვლელობის წინა დღესაც შეხვედრიან ერთმანეთს და მაშინაც იარაღებით ემუქრებოდნენ. არაოფიციალური ინფორმაციით, გუშინდელი შეხვედრაც წინასწარ იყო დაგეგმილი. მკვლელობის ადგილას იოსელიანი საკუთრაი ავტომობილით - "ნივით" - ერთ-ერთი ნათესავის თანხლებით მივიდა. ახლდა თუ არა ვინმე საყვარელიძეს, ჯერჯერობით უცნობია.

წუხელ გვიან ღამით გამოძიებას ჩვენება მისცა საყვარელიძემ. როგორც დაჭრილ მკვლელს უთქვამს, რამდენიმე წუთიანი საუბრის შემდეგ მისთვის ჯერ იოსელიანს უსვრია, რის საპასუხოდ თავადაც გაისროლა. გულის არეში დაჭრილი იოსელიანი №9 საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაკითხვისას საყვარელიძემ მკვლელობის მიზეზიც დაასახელა. ქვისლებს შორის დავა ცოლების საერთო ბინის გამო დაწყებულა. სავარაუდოდ ჯანელიძეების ბინის ფული იოსელიანს და მარინა ჯანელიძეს ბიზნესში ჰქონდათ დაბანდებული, საიდანაც გარკვეული ნაწილი საყვარელიძისთვისაც უნდა გაენაწილებინათ, მაგრამ როგორც ჩანს, მიუხედავად კონფლიქტისა, წლების განმვლობაში და და სიძე კუთვნილ თანხას ვერ ილებდნენ.

გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამჟამად ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილში, თაღლითობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რაზეც კოტე იოსელიანი და მარინა ჯანელიძე მოწმის სახით დაიკითხნენ. გამოძიების მასალების თანახმად, ჯანელიძეს რამდენიმე პიროვნებისგან საკმაოდ დიდი თანხა ჰქონია აღებული, რომლითაც ბიზნესს აწარმოებდა, თანხის პატრონებს კი ყოველთვიურად პროცენტს უბრუნებდა. მაგრამ მოგვიანებით ბიზნესი ჩავარდა და ჯანელიძე პროცენტს ველარ იხდიდა, დაზარალებულებმა კი იჩივლეს. თავდაპირველი ვერსიით, მკვლელობას სწორედ აღნიშნულ საქმეს უკავშირებდნენ, მაგრამ ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა გოგი ნებიერიძემ მკვლელობის აღნიშნულ საქმესთან კავშირი კატეგორიულად გამორიცხა.

## სოხუმის ხელისუფლებას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრად რაულ ხაჯიმბა დაინიშნა. მას პრეზიდენტმა ორი თვის ვადაში მთავრობის ახალი შემადგენლობის დაკომპლექტება დაავალა. პრემიერ-მინისტრად დანიშვნამდე ხაჯიმბას ვიცე-პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის თანამდებობები ეკავა.

მან სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის მინსკის უმაღლესი კურსები გაიარა, მუშაობდა სოხუმის ხელისუფლების საბაჟო დეპარტამენტში, ხელმძღვანელობდა უშიშროების სამსახურს. 2001 წლიდან ვიცე-პრემიერი გახდა, მოგვიანებით კი გენერალ-მაიორის წოდებით თავდაცვის მინისტრის პოსტიც შეითავსა.

როგორც სოხუმის მთავრობის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა აცხადებს, ახალი მთავრობის დაკომპლექტებისას ეკონომიკური ბლოკის სამინისტროების ხელმძღვანელები და შესაძლოა, შს მინისტრიც შეიცვალონ.

არშბას მტკიცებით, თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე შტაბის უფროსის, პროფესიონალი სამხედრო პირის ვლადიმერ არშბას და ყოფილი პარტიული მუშაკის გარი კუპალბას კანდიდატურები განიხილეს

რაც შეეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრ გენადი გაგულიას, იგი თანამდებობიდან წასვლის შესახებ არძინბას გუშინვე შეუთანხმდა.

ვალერი არშბას მტკიცებით, უკვე ექსპრემიერ-მინისტრი გაგულია თავის ძველ სამსახურს - აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობას დაუბრუნდება.

*ინტერ-პრესი*

## პირველი კომენტარები

**"აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პოსტზე რაულ ხაჯიმბას დანიშვნა აფხაზთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას მიერ საკუთარი ძალის დემონსტრირების სურვილითაა განპირობებული"** -, მიაჩნიათ თბილისში.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლონდერ ცაავას განცხადებით, ყოფილი თავდაცვის მინისტრის მეორე კაცად დანიშვნით, არძინბას სურდა დაემტკიცებინა, რომ ავადმყოფობის მიუხედავად, პოზიციები არ დაუკარგავს და რომ ოფიციალური თბილისის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევაში, ისინი თავდაცვისათვის მზად არიან.

**"რაულ ხაჯიმბა არძინბას კლანის ტიპიური წარმომადგენელია, რომელიც ბოლო პერიოდში სერიოზულად აქტიურობდა პრეზიდენტის ერთგულების დასამტკიცებლად. საქართველოსთან მიმართებაში რაულ ხაჯიმბა ისეთივე რადიკალური ორიენტაციისა, როგორც თავად არძინბა, სხვანაირად ის აღნიშნულ თანამდებობაზე ვერ მოხვდებოდა, თანაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაში ჯერჯერობით არც ერთი პიროვნება არ არსებობს ისეთი, რომელიც საქართველოს მიმართ ლოიალობით გამოირჩევა"**, - განაცხადა ცაავამ.

*პრაიმ-ნიუსი*

## "ამცახარა" გაგულიას ბრძანებით ააფეთქეს

"ამცახარას" ოფისში 19 აპრილს განხორციელებულ ტერაქტს სოხუმის ხელისუფლება ამ ორგანიზაციის პოლიტიკურ მოღვაწეობას არ უკავშირებს.

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების სამსახურის უფროსის გივი აგრბას განცხადებით, "ამცახარას" ოფისი სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს შენობის პირველი სართულის მარჯვენა ფლიგელშია განთავსებული, ხოლო აფეთქება შენობის მარცხენა ფრთაში, ანუ სამმართველოს კუთვნილ ფართზე მოხდა.

აგრბას მტკიცებით, აფხაზი სამართალდამცველები "ამცახარას" ოფისში მომხდარ აფეთქებას სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კომერციულ საქმიანობას უკავშირებენ, რომელსაც საქმიანი პარტნიორების საკმაოდ დიდი ვალი აღმოაჩნდა.

აფხაზი სამართალდამცველების განცხადებების მიუხედავად, "ამცახარას" ლიდერები მომხდარში ხელისუფლებას ადანაშაულებენ და თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისგან სამართალდამცველების თანამდებობებიდან გათავისუფლების საკითხს აყენებენ. "ამცახარას" ლიდერები ვარაუდობენ, რომ აფეთქება ექსპრემიერ-მინისტრის გენადი გაგულიას დავალებით სწორედ სამართალდამცველებმა განახორციელეს.

*ინტერ-პრესი*

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ დაადასტურა, რომ კოდორის ხეობაში გაეროს სამხედრო დამკვირვებლებისა და დსთ-ის სამშვიდობო ძალების საგუშაგოს შექმნა დაუშვებელია. **"ამის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან ბოლო პერიოდში გაეროს დამკვირვებლებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების მიერ განხორციელებული ყველა ერთობლივი პატრული ადასტურებს, რომ კოდორის ხეობაში ქართული მხარე თავის ვალდებულებებს არ არღვევს"**, განაცხადა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე ეუთო-ს მისიის მონიტორინგი 1 მაისიდან განხორციელდება. ეუთო-ს მისიის საგუშაგოები კახეთის რეგიონის 4 დასახლებულ პუნქტში - ახალსოფელში, ქვემო მსხალგორში (კაბალში), ყვარელსა და ნაფარეულში გაიხსნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ათი არასამთავრობო ორგანიზაცია და სახალხო დამცველის აპარატი საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის განხორციელებას ერთობლივად აპირებენ. ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის თქმით, ამ მიზნით არასამთავრობოთა მიერ "არჩევნების მონიტორინგის" შესახებ შექმნილი პროგრამის პრეზენტაცია სახალხო დამცველის ოფისში დღეს გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხვალ თბილისში გაიმართება ქართული მხარის მოლაპარაკებები რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელთან აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე ვალერი ლოშჩინინთან. შეხვედრის დროს განიხილება საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ მარტში სოჭში მიღწეული შეთანხმებების შესრულების საკითხები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი არ გამორიცხავს ქართველი "კომანდოსების" ერაყში გაგზავნის შესაძლებლობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აპრილის ბოლოს ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობის მახლობლად გაიმართება სამხედრო სწავლებები. თავდაცვის მინისტრის პრეს-მდივნის ნინო სტურუას თქმით, სწავლებები გეგმიურია და მათში სხვადასხვა სახეობების ჯარები მონაწილეობენ. **პრაიმ-ნიუსი**

# ცეკა-ს ერთი მდივნის საქციელი მეორეს რომ არ მოეწონოს

მერაბ მეტრეველი



*არასამთავრობოები სტუდენტების დასაცავად.*

გუშინ, ქართველ პოლიტიკოსებზე გაბრაზებული, არასამთავრობო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელი, "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბა. მათი გულისწყრომა პოლიტიკოსების გულგრილობამ გამოიწვია, კერძოდ კი, მათმა წაყრუებამ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული რექტორის არჩევნების მიმართ.

მოგეხსენებათ, ამ არჩევნებმა, რამდენიმე აქტიური სტუდენტის წყალობით, სკანდალებით ჩაიარა. როინ მეტრეველი თსუ-ს რექტორად მესამე ვადით აირჩიეს. მან პრეზიდენტსაც კი აჯობა: თუ შევარდნაძის შემთხვევაში, ღირსეული ბევრი იყო – არჩევანი ერთი, აქ ღირსეულიც ერთი იყო და არჩევანიც. თუმცა, სკანდალის მიზეზი ეს არ გამხდარა. არჩევნებზე "დამკვირვებლები" არ დაასწრეს. არასამთავრობოებს სწორედ იმის ეშინიათ, მისგან მაგალითი შევარდნაძემ არ გადაიღოს. **"ცეკა-ს ერთი მდივანი ატარებს ჩაკეტილ არჩევნებს. რა გარანტიაა, რომ ცეკა-ს მეორე მდივანს ეს არ მოეწონება და იგივეს არ გააკეთებს?"** – სერიოზულად კითხულობს ლევან რამიშვილი და იქვე ამატებს: **"ჩვენი განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ ამ ფაქტს პოლიტიკური ძალების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყვა. ამ ფაქტის კომენტირებას ყველა დემოკრატიულმა ძალამ თავი აარიდა. ჩვენ გვინდა მათ მოვუწოდოთ, არ გაექცნენ თემას. ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ საშუალება, ამ ყველაფერს დუმილით აუარონ გვერდი."**

ბატონმა გიგი თევზაძემ, რომელიც უკვე ორი დღეა, მეტრეველსა და ჰუსეინს შორის იდეურ-მეთოდოლოგიურ კავშირებს იკვლევს, გამოაცხადა: ჩვენი პოლიტიკოსები კულტურის და განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბარს თავს არიდებენ, რადგან ჩვენს საზოგადოებაში ეს თემები ტაბუდადებულიაო. ალბათ, იგი პოლიტიკოსების მხრიდან უნივერსიტეტში არსებული რეჟიმისადმი გულგრილობას გულისხმობდა. აქ მართლაც საინტერესო სიტუაცია გვაქვს: მეტრეველის კრიტიკით ჯერ არც ერთი პოლიტიკოსი არ გამოსულა.

გიგა ბოკერია კი, პოლიტიკოსებთან ერთად, ინტელიგენციასაც გადასწვდა - სტუდენტების პოლიტიზებას ეწინააღმდეგებიან, რაც მათი შეურაცხყოფააო. **"გამოვიდნენ ამას წინათ თემურ ჩხეიძე და კულტურის სხვა მუშაკები და აცხადებენ, ყველამ საკუთარი საქმე უნდა აკეთოს და მიტინგებზე სიარულს თავი დაანებოსო. ასეთი განცხადებები არის უზნეობა,"** – ასეთია ბოკერიას დასკვნა.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა ერთი-ორჯერ კბილი სარიშვილ-ჭანტურიასაც გაჰკრეს, რომელმაც სტუდენტების მოძრაობა "კმარა" რუსეთიდან დაფინანსებულად გამოაცხადა.

ბოკერიამ განაცხადა, აქციებს ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურები აფინანსებენ და არ იციანო; შემდეგ კი მკაცრი გაფრთხილებაც გაისმა: **"ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ თუ კიდევ ერთხელ დაუშვებს ისეთ შეცდომას, რომელმაც ნოემბრის ცნობილი მოვლენები გამოიწვია, ეს შეცდომა გაცილებით ძვირი დაუჯდება."**

# რიჩარდ მაილსი: თქვენი მომავალი თქვენს ხელშია

პირველი გვერდიდან

შეხვედრის მთავარ თემას, პირობითად, შეიძლება ნატო და საქართველო ვუწოდოთ. სტუდენტებით გადაჭედილ "გეპეის" მცირე სააქტო დარბაზში დავით გამყრელიძე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან - რიჩარდ მაილსთან ერთად გამოჩნდა. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველო ნატო-ში" მიზანი საქართველოს "ნატო"-ში გაწევრიანების იდეის პოპულარიზებაა. ამ მიზნით იგი უკვე შეხვდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, უახლოეს მომავალში დაგეგმილია შეხვედრები ზუგდიდის და გორის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მან დაწვრილებით გააცნო სტუდენტებს ამ ორგანიზაციის შექმნის ისტორია, ნატო-ს სტანდარტები და მასში გაწევრიანებისთვის აუცილებელი მოთხოვნები. "ახლების" ლიდერმა თავისი ლექციის საკმაოდ დიდი დრო იმის ანალიზს დაუთმო, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას.



*პოლიტიკა ახალგაზრდობის მხარდაჭერას ეძებს.*

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა ვერც ქვეყნის საშინაო პოლიტიკას აუარა გვერდი და განაცხადა, რომ თავდაცვის სფეროში, საქართველოს ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებასთან ერთად, **"არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისაკენ გადადგმული ნაბიჯები"**. მანვე განაცხადა, რომ დასავლეთთან და ნატოსთან ჩვენი ურთიერთობის მომავალს პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რამდენად სამართლიანად და კანონის ნორმების დაცვით გაიმართება ჯერ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო, ხოლო შემდგომ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.

თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კვლავ და კვლავ დაადასტურა მისი ქვეყნის კეთილგანწობა საქართველოსადმი, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ჩვენ საკუთარი მომავალი ჩვენვე უნდა შევქმნაათ. მოგვიანებით ორივე სტუმარმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

რა თქმა უნდა, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის მორიგი გამოჩენა ამერიკის ელჩთან ერთად ამ პარტიის საკმაოდ სერიოზული მიზნებისა და ამბიციების კიდევ ერთი საჯარო დასტურია. თანაც, ამ ბოლო დროს მათი პოლიტიკური ოპონენტების მიერ გაკეთებული განცხადებების ფონზე - თითქოს რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებისაგან მართული სტუდენტობა მასობრივ გამოსვლებს გეგმავს - გუშინდელმა შეხვედრამ სხვა დატვირთვაც შეიძინა: ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები ამერიკის ელჩის სიტყვებს აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ, ხოლო ერთმანეთთან საუბარში დიდხანს ბჭობდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მომავალი თაობისათვის საქართველოს პროდასავლური კურსი. თუმცა, სტუდენტთა ნაწილს მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ ასეთი შეხვედრები "ახალ მემარჯვენეებს" არჩევნებში საკმაოდ დიდ დივიდენდებს მოუტანს.

# საზოგადოების ჭირი - უმრავლესობის ლობეში ჩხირი

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლების მხარდამჭერმა ფრაქციებმა გუშინ "მოწყალება გაიღეს" და, ორკვირიანი "გაბუტვის" შემდეგ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისვლა ინებეს. თუმცა, საზოგადოებისთვის მაინც გამოცანად დარჩება, რით იყო გამოწვეული უმრავლესობის პროტესტი ან რატომ დაბრუნდნენ მისი წარმომადგენლები პარლამენტში - მიმდინარე სასესიო კვირა ხომ მაინც სახელისუფლებო ფრაქციების მიერ ბოიკოტირებული დღის წესრიგით გრძელდება.

გუშინდელი პლენარული სხდომის გახსნამდე ზოგიერთმა დეპუტატმა საკანონმდებლო ორგანოში ავთანდილ ჯორბენაძის, კობა ნარჩემაშვილისა და დავით მირცხულავას მოსვლა მოითხოვა. პარლამენტარებს სურდათ, რამდენიმე საკითხის ირგვლივ ინფორმაცია მიეღოთ. დეპუტატებს, კერძოდ, აინტერესებდათ, თუ რა მასალებზე დაყრდნობით საუბრობდა სახელმწიფო მინისტრი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ტოტალურ გაყალბებაზე, რატომ ძალადობენ პოლიციელები ქუჩაში და რით არის გამოწვეული დედაქალაქის მოსახლეობისთვის გაზის მიწოდებაში არსებული სიძნელეები. თუმცა ამ, ერთი შეხედვით, ბუნებრივ "ცნობისმოყვარეობას" დაკმაყოფილება არ ეწერა. კენჭისყრის შედეგებმა ოპოზიცია გააოგნა: უმრავლესობა იმის წინააღმდეგ გამოვიდა, რომ ზემოთ დასახელებული მინისტრები საკანონმდებლო ორგანოში თუნდაც მხოლოდ განმარტების მისაცემად მისულიყვნენ.

**"ხელისუფლების მხარდამჭერებს, ეტყობა, შვილები არ ჰყავთ ან მათი ოჯახის წევრებს პოლიცია ქუჩაში არ შეურაცხყოფს, აგრეთვე, არ აწუხებთ უგაზობა, უწყლობა, უშუქობა და სხვა საყოფაცხოვრებო პრობლემები"**, - ასე ახსნეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა მინისტრების "მხარდამჭერ" პარლამენტართა პოზიცია.

მათ სავსებით ლოგიკურ დასკვნას ერთიც შეიძლება დაემატოს: საზოგადოების უმრავლესობას ნახსენებ პრობლემებთან თითქმის ყოველდღიურად უხდება შეხება და ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც მათ შესახებ თუნდაც ინფორმაციის მიღება არ აინტერესებს. ამიტომ, ძალიან ცუდია, როდესაც ის, რაც აღელვებს საზოგადოების უმრავლესობას, საპარლამენტო უმრავლესობას ოდნავადაც არ ადარდებს.

■ ■ ■

გუშინ საქართველოს პარლამენტმა შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებები შეიტანა და "წითელი პარასკევი" დასვენების დღედ გამოაცხადა. ასე რომ, მიმდინარე ვნების კვირაში მოსახლეობა ოთხ დღეს დაისვენებს: პარასკევს, შაბათს, კვირას და ორშაბათს.

■ ■ ■

საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით, საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელ კომისიას (თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი) უფლებამოსილების ვადა ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე გაუგრძელდა. ზოგიერთი დეპუტატის აზრით, ვინაიდან დროებით საპარლამენტო კომისიას სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების უფლება არა აქვს, წინასაარჩევნო პერიოდში მან მხოლოდ პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტის როლი შეიძლება შეასრულოს. ამიტომ, აღნიშნულ კომისიაში მუშაობა ვახტანგ ხმალაძემ (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) და ალექსანდრე შალამბერიძემ დროის ფუჭ კარგვად მიიჩნიეს და კომისიის შემადგენლობიდან თავიანთი გასვლის შესახებ გააკეთეს განცხადება.

■ ■ ■

პარლამენტის გადაწყვეტილებით, გუშინ, საკუთარი განცხადების საფუძველზე, პარლამენტარ გიორგი თარგამაძეს სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა. სამაგიეროდ, ფრაქცია "სოციალისტის" დაჟინებულ მოთხოვნას, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლეაში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა და კენჭისყრით უარყო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# სეზი - ვისთვის პანაცეა, ვისთვის საფრთხობელა

*რომელიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვის დაწყებამდე საპარლამენტო ფრაქციები და ცალკეული დეპუტატები უკვე "დაპროგრამებულები" არიან და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, შემოთავაზებულ დოკუმენტს მხარს დაუჭერენ, თუ მის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. როგორი დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევიც არ უნდა იყოს მათი ოპონენტების არგუმენტები, ისინი, როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება და თავდაპირველი პოზიცია აღარ იცვლება. ამდენად, ამა თუ იმ საკითხის განხილვა და კენჭისყრა მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენს და ჯერ კიდევ დისკუსიის დაწყებამდე საკმაოდ დიდი ალბათობით შეიძლება იმის პროგნოზირება, თუ რა ბედი ელის კანონპროექტს. ეს დაუწერელი წესი "სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ" კანონპროექტზეც გავრცელდა, რომლის პირველი მოსმენით განხილვა საქართველოს პარლამენტში გუშინ დაიწყო.*

გიორგი ასანიშვილი

"აღორძინების" საკანონმდებლო ინიციატივას ოპოზიციის საკმაოდ დიდი ნაწილი (გამონაკლისს "ნაციონალები" წარმოადგენენ) მხარს უჭერს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს - სახელისუფლებო ფრაქციები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ აღნიშნული კანონპროექტი აუცილებლად უნდა ჩავარდეს და მათი გადარწმუნება, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ამდენად, რომელიმე მხრიდან დათმობებზე წასვლის უპერსპექტივობის გამო, საკითხის ირგვლივ მსჯელობა კედლისთვის ცერცვის შეყრას ჰგავს. თუმცა, ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ სეზ-ის განხილვა უინტერესოა და ინტრიგას არის მოკლებული. მითუმეტეს, "აღორძინებას" განზრახული აქვს, საკუთარი კანონპროექტის გასატანად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლოს, როგორც ეს, მინიმალური ხელფასის შემთხვევაში, "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" გააკეთეს.

მთავარი მომხსენებელი, "აღორძინების" წევრი ანზორ გოგიტიძე გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა დაერწმუნებინა ოპონენტები იმაში, რომ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზა სწორედ სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნაზე გადის. მისი მოსაზრებები გამაგრებული იყო "აღორძინების" წევრებისავე "შეკითხვებით", რომლებიც თავის თავში უკვე შეიცავდნენ პასუხს, პლუს, მომხსენებელს საკითხის დამატებითი "რეკლამირების" საშუალებას აძლევდნენ.

სახელისუფლებო ფრაქციებს ოპონირებით მაინცადამაინც არ მოუკლავთ თავი. თუმცა, კონტრდარტყმები მაინც იყო. მაგალითად, თამაზ გიორგაძემ გაიხსენა, რომ რუსეთში, ლიტვასა და ლატვიაში სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნამ არ გაამართლა და სეზ-ების ნახევარზე მეტი იქ უკვე გაუქმებულია. საკმაოდ მაცდური იყო ზვიად მუკბანიანის შეთავაზება: საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, სექტემბერში გაიმართება დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეკრება, რომელზეც თანამეგობრობის სივრცეში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხი განიხილება. **"რამდენიმე თვე მოვიცადოთ, კანონპროექტის განხილვა დავაკონსერვოთ და იმის გარკვევას დაველოდოთ, რა საერთაშორისო ვალდებულებებს იკისრებს საქართველო"**, - შესთავაზა მუკბანიანმა აჭარის დეპუტაციას.

მაგრამ, როდესაც საქმე სეზ-ს ეხება, "აღორძინების" წევრებს რაიმე კომპრომისზე სიტყვის გაგონებაც არ უნდათ. მათ ისიც კი აღიზიანებთ, რომ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება კანონპროექტის განხილვას აგდებულად ეკიდება: სახელმწიფო მინისტრმა გუშინ პარლამენტში მოსვლა არ ინება და საკანონმდებლო ორგანოს თავისი დასკვნა წერილობით ახლა. მთავრობის პირველ პირთაგან კი სხდომას მხოლოდ ფინანსთა მინისტრი დაესწრო.

**"მთავრობა პარლამენტს უგულებელყოფს. ზოგიერთ მინისტრს, ალბათ, ჰგონია, რომ საკანონმდებლო ორგანო დათხოვილია"**, - სამთავრობო ლოჟის შეთვალიერების შემდეგ "ივარაუდა" თემურ მეგრელიშვილმა.

თუმცა, გუშინდელი ვნებათაღელვა მაინც "ნორმის ფარგლებში" იყო. დაძაბულობა აპოგეას, ალბათ, დღეს მიაღწევს, როდესაც საკუთარ პოზიციას ცალკეული ფრაქციები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები დააფიქსირებენ.


ძმებო ერთად ჩავეწეროთ სეზ-ის მხარდამჭერთა სიაში.

ბესო გულაშვილის ფოტო

კულუარები

## სახელისუფლებო ბლოკში პრობლემებია

ხელისუფლების საარჩევნო ბლოკში პრობლემებია. მასში შემავალ პოლიტიკურ ორგანიზაციათა რიცხვის ზრდის პარალელურად, ამ მრავალსუბიექტიანი პოლიტმონსტრის ორგანიზაციული სტრუქტურა სულ უფრო გაუგებარი და გაურკვეველი ხდება. იმის მიუხედავად, რომ ამ ბლოკის ლიდერებმა არაერთგზის ამცნეს საზოგადოებას საარჩევნო შტაბის სტრუქტურის შექმნისა და ორგანიზაციული ფუნქციების გადანაწილების თაობაზე, ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა მოხდება ადგილებზე, ანუ რეგიონებსა და რაიონებში, და მომავალი არჩევნების წინ რომელი პარტიის აქტივი სად დასახელდება გამწევ ძალად.

არადა, საარჩევნო კვოტების საბოლოო გადანაწილება სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული. თავად მოგეხსენებათ, რომ თითოეულმა პარტიამ, პარლამენტში შესვლის გარანტიის მიღებასთან ერთად, თავადაც უნდა გასცეს რამე. ამ პროცესში კი ადგილებზე ფუნქციების გადანაწილებას არც თუ უმნიშვნელო როლი მიენიჭება.

ასე რომ, სახელმწიფო კანცელარიაში შეკრებილებთ ნამდვილად აქვთ ბევრ რამეზე საფიქრალი. ჩვენი ინფორმაციით, ადგილებზე ბლოკის წარმატების უზრუნველყოფის გარანტიებს ყველაზე მეტად "ეროვნულ-დემოკრატები" და "სოციალისტები" იძლევიან, რაც, ბუნებრივია, თავად "მოქალაქეთა კავშირის" აქტივისტებში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს. მით უფრო, რომ საარჩევნო ტექნოლოგიები მათ ყველაზე უკეთ იციან. "სოციალისტები" და ედპ კი, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან.

სავარაუდოა, რომ ბლოკის სუბიექტებს შორის ფუნქციების გადანაწილება არც თუ უმტკივნეულოდ ჩაივლის. ასე რომ, ამ ალიანსის ლიდერთა ოპტიმისტური განცხადებები ჩვეულებრივი პოლიტტექნოლოგიაა, მაგრამ ბლოკში პრობლემები თავზესაყრელადაა და მის დამალვას პოლიტიკოსები, ალბათ, ბოლომდე ვერ მოახერხებენ.

*"24 საათი"*

## დაუბრუნდება თუ არა პატიაშვილი "აღორძინებას"

ლენა მიქაძე

მას შემდეგ, რაც "ნაციონალურმა მოძრაობამ" ცეკა-ს ყოფილი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი თავისთვის სასურველ პარტნიორად გამოაცხადა, დიდი დრო არ გასულა. სააკაშვილის მოძრაობამ "აღორძინების" სიით პარლამენტში მოხვედრილ ამ დეპუტატზე, როგორც ამბობენ, არჩევანი რამდენიმე მიზეზის გამო შეაჩერა. ერთ-ერთი - პრეზიდენტობაზე ორგზის ნომინირებული პატიაშვილის ელექტორატიც გახლდათ.

"პატიაშვილი - ჭაჭიას გარეშე" - ამგვარი იყო "ნაციონალურ მოძრაობასთან" დამეგობრებაზე ორიენტირებული "დემოკრატების" აზრი. ამ დღეებში კი ხმა დაირხა, თითქოს პატიაშვილმა თავისი ბედის დაკავშირება კვლავ "აღორძინებასთან" გადაწყვიტა. ამ ხმის გადამოწმება იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა, რომ ქალაქიდან გასული პატიაშვილი, ამავე დროს, "მომსახურების არიდანაც" გავიდა. მისი თანაფრაქციელი, უფრო ზუსტად კი ფრაქცია "ერთიანი საქართველოსათვის" თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ გვარამია აცხადებს, რომ ჯუმბერ პატიაშვილს საბოლოო არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა, ალბათ, უახლოეს მომავალში გააკეთებს. ჩვენს კითხვაზე ცოტა მწვავე რეაქცია აღმოაჩნდა ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" თავმჯდომარეს კოტე კემულარიას: **"თქვენი წყაროები კარგად არ არიან ინფორმირებული. პატიაშვილთან კონსულტაციები კვლავაც გრძელდება. ჭაჭიას მხრივ კი პრობლემა არ არსებობს, რადგან მას საერთოდ არ აქვს პრეტენზია ჩვენს გაერთიანებაში შემოსვლასა და, მით უფრო, სიაში ყოფნაზე."** კემულარიას ამგვარი დასკვნის საფუძველს, დაახლოებით, სამი კვირის წინ პირადად ჭაჭიასთან გამართული კონსულტაციები აძლევს. თუ ჭაჭია ბლოკში პატიაშვილის გაწევრიანებას ხელს არ უშლის, მაშინ რატომ არ გადაინაცვლა ბატონმა ჯუმბერმა ჭაჭიას "ერთობიდან" სააკაშვილისაში? როგორც კემულარია აცხადებს, ბლოკში გარკვეული პრეტენზიები "ვილაცეების" მხრიდან თავად ცეკა-ს ყოფილი მდივნისადმი არსებობს... თუ ვინ იგულისხმება ამ ვილაცაში, კემულარიამ აღარ დააკონკრეტა.

# კორუფციული წესრიგი

პირველი გვერდიდან

ეს სფეროები კომუნისტური პარტიის მიერ იყო მონოპოლიზებული.

მიუხედავად ამ რეალობისა, 80-იანი წლების ბოლოს, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნის ინიციატივით, სწორედ საზოგადოებრივი, ანტიკომუნისტური ეროვნული მოძრაობა გამოვიდა. ეს მოვლენა თავისთავად უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ, როგორც ისტორია გვასწავლის, ასევე - უდიდესი საფრთხის შემცველი.

რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების საზოგადოებრივი მოძრაობა ემოციურ საფუძვლებს ემყარებოდა. იგი უმთავრესად ნეგატიური იმპულსით იყო დამუხტული და კრემლთან დაპირისპირებით გამოიხატებოდა. 9 აპრილს კრემლის საპასუხო რეაქციის ფონზე, ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში აგრესიული ხასიათი შეიძინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ქვეყნის მართვის სადავეებს, არჩევნებში უმრავლესობის მხარდაჭერის გზით, სწორედ აღნიშნული ძალა დაეუფლა. უკვე როგორც სახელისუფლო ძალა, იგი ქვეყნის შიგნით, იგივე ემოციური საფუძვლებით აგრძელებდა ოპოზიციასთან დაპირისპირებას. ყოველგვარ ოპოზიციურ მოსაზრებას ის კრემლის ინიციატივასთან აიგივებდა.

ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობამ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება კითხვის ქვეშ დააყენა. ეროვნული მოძრაობისთვის დამახასიათებელი აგრესიული დაპირისპირების ფორმა, სახელმწიფო მართვის სტილად იქცა. სახელმწიფო მართვის გამოცდილების არმქონე ხელისუფლების ლეგიტიმურობას, ისევ ეროვნული მოძრაობის ემოციური საფუძვლები განსაზღვრავდა. პრაგმატული პოლიტიკის ადგილს გულუბრყვილო გრძნობა იკავებდა. ეს ფონი საუკეთესო აღმოჩნდა რუსეთისთვის, რომელსაც თავისი პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად საქართველოში შიდა დაპირისპირების გაღრმავება აწყობდა. ამ თვალსაზრისით, მის სამიზნეს ეროვნული გრძნობის შელახვა წარმოადგენდა. აღნიშნული მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება კი, საქართველოში სხვა ეთნიკური ჯგუფის დახმარებით ეროვნულ ნიადაგზე კონფლიქტის ინსპირირება იქნებოდა. მალე, ყოველივე ამის პრაქტიკული შედეგი შეიარაღებული ქართულ-ოსური კონფლიქტი აღმოჩნდა.

რუსეთისთვის საქართველოში შიდა დაპირისპირების ესკალაციის კარგი პოლიგონი იყო ასევე თბილისი. მგრძნობიარე ქართული ხელისუფლების გაღიზიანების საუკეთესო საშუალება, ოპოზიციასთან მისი დაპირისპირების გაღრმავება და თვითიზოლაცია იქნებოდა. შედეგმა არ დააყოვნა. ქართული ხელისუფლების აგრესიული დაპირისპირებისა და იზოლაციის პოლიტიკა, უკვე არა მარტო რუსეთთან, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოების მიმართაც ცხადი გახდა. შიდა პოლიტიკური დაპირისპირება კი იმდენად გამძაფრდა, რომ იგი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. სამხედრო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლებამ ქვეყანის ტერიტორია დატოვა.

აღნიშნულმა მოვლენებმა ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის უაღრესად უარყოფითი შედეგები იქონია. პოლიტიკური დაპირისპირებისა და დისკუსიის ადგილი, ჯერ პროვინციულმა სიჯიუტემ, ხოლო შემდეგ ტყვიამფრქვევებმა და ზარბაზნებმა დაიკავა. მოსახლეობის ჰომოგენურობა მოიშალა. საზოგადოება აგრესიულმა ურთიერთდაპირისპირებამ მოიცვა. ერის ტრადიციული საფუძვლები მოირყა. ქართული ტოლერანტულობა აგრესიული ნაციონალიზმის მსხვერპლი გახდა. სახელმწიფო დაინგრა.

მდგომარეობა უფრო გაუარესდა, როდესაც დანგრეული სახელმწიფოს „მშენებლობას" შეიარაღებულ კონფლიქტში გამარჯვებული სამხედრო ძალა შეუდგა. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი უკვე სამხედრო, ძალისმიერი მეთოდებით წარიმართა. ახალი ხელისუფლების თვითდამკვიდრების საშუალებად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დევნა და იძულებითი დამორჩილება იქცა. პოლიტიკოსთა მკვლელობებითა და დატერორებით ქვეყანაში აგრესიამ უკიდურეს ფორმას მიაღწია. აფხაზეთში კონფლიქტის ინსპირირებით კი, რუსეთმა ამ აგრესიას კიდევ ერთხელ მისთვის სასურველი მიმართულება მისცა. აფხაზეთის ომმა, უდიდეს მსხვერპლთან ერთად, ქვეყანა უფრო დააკნინა და ეკონომიკურად დააჩოქა.

ამ პერიოდის განმავლობაში საზოგადოებაში მოისპო წესრიგისა და დისციპლინის კულტურა. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა თვითგადარჩენის ინსტიქტმა შეცვალა. ქვეყანა ერთგვარმა განუკითხაობამ და ქაოსმა მოიცვა. რეალურად, თითოეულის მოქმედებას მატერიალური გამორჩენა და არსებობისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა. პროდუქციის წარმოება ქვეყანაში შეწყდა. სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირება კი, ძველი ინერციით მიედინებოდა.

ასეთ სიტუაციაში, ქვეყნის აღმშენებლობის თვალსაზრისით, პოლიტიკური გონიერება ქვეყნის სტაბილურ და სამართლის ფარგლებში განვითარებას ითხოვდა. ამ მოთხოვნის კონკრეტული განხორციელება იყო დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება და საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზება. მნიშვნელოვანი ფაქტი იყო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერება და შეიარაღებული ფორმირებების მოსპობა.

სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებით სახემწიფოს უპირველეს ატრიბუტს – სუვერენიტეტს ჩაეყარა საფუძველი. ეს მოვლენა გარკვეულ პარალელებს ავლენს კონტინენტურ ევროპაში თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესთან. XVI საუკუნის საფრანგეთში რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე წარმოშობილი სამოქალაქო ომიდან გამოსავლის ძიებაში ძლიერი, საზოგადოებრივი ძალებისგან ნეიტრალური, სუვერენული სახელმწიფოს იდეა დადგა დღის წესრიგში. ეს იდეა პრაგმატული იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი არა რომელიმე დაპირისპირებული მხარის იდეალს, არამედ ფუნდამენტურ კატეგორიას ემსახურებოდა, კერძოდ კი - მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფას საზოგადოებაში.

საფრანგეთის ამ ისტორიული მაგალითის საფუძველზე, პოლიტიკური ეთიკის აქსიომად ის გარემოება იქცა, რომ პოლიტიკაში უწინარესად ფუნდამენტური ინტერესების დაკმაყოფილებაა აუცილებელი. მის შესაბამისად, ჯერ პრაქტიკული წინაპირობების შექმნაა საჭირო, რათა საზოგადოებაში იდეალური ფასეულობების განხორციელება გახდეს შესაძლებელი. პოლიტიკური ეთიკის ღირებულებების სისტემა ქვემოდან ზემოთ, რეალურიდან იდეალურისკენ არის მიმართული.

პოლიტიკური ეთიკა, როგორც ზემოთ ითქვა, ფუნდამენტური, პრაქტიკული ინტერესებიდან იღებს სათავეს. ამ თვალსაზრისით, იგი განსხვავდება ინდივიდუალური ეთიკისაგან, რომლის ღირებულებების სისტემა, პირიქით, ზემოდან ქვემოთ, იდეალურიდან რეალურისკენ არის მიმართული. ეს უკანასკნელი, უკიდურეს შემთხვევაში, მსხვერპლის გაღებასაც ამართლებს უმაღლესი ღირებულების სამსახურში. პოლიტიკურ სფეროში ამ ეთიკით მოქმედება იმის დაშვებას ნიშნავს, რომ საზოგადოების წევრების ფუნდამენტური ინტერესები უმაღლეს იდეალს ემსხვერპლოს.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკა ინდივიდუალური ეთიკის პოლიტიკურ ეთიკაზე გადატანის მაგალითია. მხოლოდ საკუთარი ჭეშმარიტების დოგმატური მტკიცება და მისი ასკეტური ერთგულება, მართალია, ინდივიდუალური ეთიკის თვალსაზრისით, სამაგალითოა, მაგრამ პოლიტიკურ სფეროში, რეალური პირობების გათვალისწინებას და, შესაბამისად, გონივრული, პრაგმატული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას გამორიცხავს.

გონიერი პოლიტიკა, პირველ რიგში, რეალური პირობების შექმნით, ჰუმანური იდეისთვის ბრძოლას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით, 90-იანი წლების შუა პერიოდის საქართველოს უმთავრესი პოლიტიკური ამოცანა, სახელმწიფოს სუვერენიტეტის რეალური უზრუნველყოფა და ამით საზოგადოებაში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრება იყო. აღნიშნული ამოცანის განხორციელება, მხოლოდ დაპირისპირებული საზოგადოებრივი ძალებისგან ნეიტრალური, სახელმწიფოს კონსტიტუციური განვითარებით იყო შესაძლებელი და არა რომელიმე იდეოლოგიური თუ რელიგიური მრწამსით.

კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ საზოგადოებაში სტაბილურობა და მშვიდობა შეინარჩუნა. ამით მან პირველ რიგში საზოგადოების ნორმალური განვითარების საფუძველი შექმნა. კონსტიტუციაში განმტკიცებული დემოკრატიული პრინციპების განხორციელება კი, მძიმე რეალობის გამოცდის წინაშე დადგა. დაკარგული ტერიტორიების, მოშლილი ეკონომიკური სისტემის, უმძიმესი სოციალური პირობების ფონზე, ქვეყანაში დემოკრატიის რეალური დამკვიდრება გძელვადიან პერსპექტივად იქცა. აღნიშნული პრინციპების პრაქტიკული განხორციელებისთვის, პოლიტიკური ეთიკა ხელისუფლებისგან უწინარეს ყოვლისა რეალური პირობების შექმნას ითხოვდა.

დემოკრატიული კონსტიტუციის სინამდვილეში დამკვიდრება, პოლიტიკური თვალასაზრისით, ხელისუფლებისთვის პირველ რიგში პროდასავლური ორიენტაციის აღიარებას და განხორციელებას ნიშნავდა. მიუხედავად რუსეთის მთელი რიგი პროვოკაციული მოქმედებებისა, საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის კურსის დაცვა დღემდე, ხელისუფლების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაცია, ეკონომიკური კეთილდღეობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის ინტერესებთან ერთად, ხელისუფლებისთვის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების ვალდებულებასაც ნიშნავდა.

უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად, დამახინჯებული წესრიგის ფორმები იქცა.

საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასების საფუძველზე, სახელმწიფო აპარატის ფარგლებში სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ერთგულების საფუძვლად, კორუფცია დამკვიდრდა. ამიტომ, დღეს კორუფცია ქვეყანაში რეალურად სისხლის სამართლებრივი დევნის საგანს აღარ წარმოადგენს. მექრთამეობის გამო არავინ ისჯება. პირიქით, კორუფცია სტრუქტურულად უფრო დახვეწილი გახდა.

სახელმწიფოს კორუმპირებული წესრიგის ელემენტები, ბუნებრივია, საზოგადოებივი ურთიერთობების და შესაბამისად მისი კულტურის შემადგენელი ნაწილი ხდება. საზოგადოების წევრთა მატერიალური გამორჩენის ინსტიქტმა ამ წესრიგში უკვე ორგანიზებული ხასიათი შეიძინა. ეკონომიკური კეთილდღეობის მიზნით, უწესრიგობის ადგილს იკავებს სახელმწიფო მოხელეებთან ფულადი გარიგებებისა და მათთან საბაზრო ურთიერთობების მოწესრიგებული სისტემა.

კორუმპირებული წესრიგის სუბიექტი საზოგადოების ყველა წევრი როდია. მხოლოდ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არსებობისათვის ბრძოლაში ძლიერი გამოდგა და შესაბამისად გარკვეულ კაპიტალს ფლობდა, აღმოჩნდა „წესრიგის" მსყიდველუნარიანი. საზოგადოების დიდი ნაწილი კი, რომელიც ფინანსურ შესაძლებლობას მოკლებულია, ეკონომიკური კეთილდღეობისგან ერთგვარ თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფება. წყლის და შუქის შეზღუდული რაოდენობის მიწოდების ფონზე, სახელმწიფო მოქალაქეებისთვის არსებობს მხოლოდ სიმბოლური სახით. მათი ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ადამიანის ღირსების შემლახავ პირობებში წარმოებული წვრილმანი ვაჭრობა.

კორუმპირებული წესრიგის ელმენტები განსაზღვრავს ქვეყანაში არა მარტო ხელისუფლების შენარჩუნების, არამედ ხელისუფლების მოპოვების, ანუ პოლიტიკური ბრძოლის კულტურას. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიების დიდძალი ფინანსები ხშირად ხმარდება საჭირო ხმების შესყიდვას. არ არსებობს პარტიების ფინანსური წყაროს კონტროლი და გამჭვირვალობა. მოახლოებული არჩევნების წინ, პარტიებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლა პოლიტიკური სავაჭრო კონკურენციის ფორმას იღებს.

კორუფციული წესრიგი არის სინამდვილეში ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი. იგი გახდა პოლიტიკური დაპირისპირებებისა თუ გარიგებების მყარი საფუძველი. მან ნაწილობრივ მოიცვა დემოკრატიის ყველაზე დიდი მონაპოვარიც – სიტყვის თავისუფლება. დემოკრატია თავდაყირა დგას საქართველოში. ის არსებობს რეალობისგან მოწყვეტილი, მხოლოდ დაწერილი იდეების სახით. სწორედ ამ არარეალურ სიბრტყეში არსებობს ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმებიც და დღესაც ძირითადად ამ სიბრტყეში გრძელდება სახელისუფლო თუ ოპოზიციური პარტიების „დემოკრატიული" ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

აღნიშნული საუკეთესო საშუალებაა პოპულიზმისთვის. პოლიტიკა გახდა ლამაზი რიტორიკის, ექსპერიმენტების, თეორიული ინტელექტის გაფურჩქვნის საუკეთესო ასპარეზი. ამას არავითარი საერთო არა აქვს პოლიტიკური ეთიკის რაციონალურ საწყისებთან და შეიძლება ქვეყნისთვის ისეთივე დამღუპველი აღმოჩნდეს, როგორც 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები. იდეის პრაგმატულობა მისი განხორციელების რეალურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ჰუმანური პოლიტიკა, ჰუმანური იდეის განსახორციელებლად, პირველ რიგში აღნიშნული შესაძლებლობების რეალური შექმნისთვის არის მოწოდებული. იბადება კითხვა, თუ რეალურად საიდან უნდა დაიწყოს ქვეყანაში დემოკრატიის განსახორციელება?

ბოლო ათწლეულში განვითარებული მოვლენების მოკლე ისტორიულმა ექსკურსმა ცხადყო, რომ სახელმწიფოსთვის, მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, კორუფციული წესრიგი გარდუვალია, მაგრამ, საქართველოში დემოკრატიის განვითარებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის კორუფციული წესრიგის განმტკიცების ტენდენციები. სწორედ ამ ტენდენციების აღმოფხვრა იქნება ქვეყანაში დემოკრატიული განვითარებისთვის პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. საჭიროა, კორუფციული წესრიგის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. ზოგადად, კორუფციულ დანაშაულს კი, ვერ აღმოფხვრის ყველაზე იდეალური დემოკრატიული ქვეყანაც.

მიღწეული სტაბილურობისა და ქვეყნის დასავლური ორიენტაციის საფუძველზე, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია კორუფციული წესრიგიდან სამართლებრივ წესრიგზე თანამიმდევრულად გადასვლა. აღნიშნული პროცესის ამოსავალი ეტაპი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ სამართლიანი სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება.

ვიდრე არ მოისპობა გარკვეული ეკონომიკური სფეროების მონოპოლიზების და კლანური რეგულირების ხელშეწყობა, ქვეყნის „წინსვლა" წრეში ბრუნვას დაემსგავსება. ეკონომიკური სფეროების მონოპოლიზება კლანური პოლიტიკის შედეგია, რომლის მიზანია კორუფციული წესრიგის სადავეების ფლობა.

ამ ეტაპზე კორუფციასთან რეალური ბრძოლა ნიშნავს მასშტაბებთან დაპირისპირებას, ანუ კორუფციული წესრიგის საფუძვლების მოსპობას. აქ გადამწყვეტი ხელისუფლების ინიციატივაა. კონტრაბანდის, გადასახადების დაფარვის აღმოფხვრა და შესაბამისად ბიუჯეტის გაზრდა, მიიღწევა მხოლოდ კლანურ პოლიტიკასთან ბრძოლის პარალელურად. მარტო ერთეული, მასშტაბებით უმნიშვნელო კორუფციის ფაქტების გამოვლენა, საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასის ფონზე, ამ ეტაპზე თავის მოტყუება იქნება.

კორუფციულიდან სამართლებრივ წესრიგზე გარდამავალი საზოგადოების დემოკრატიული განვითარება, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. ხელისუფლების მიერ სამართლის უზენაესობის აღიარება და თვითშეზღუდვა – კორუფციული წესრიგის დამხობის ერთადერთი გზაა. მხოლოდ თვითშეზღუდვით მიიღწევა სხვისი დასჯის ლეგიტიმურობა. არასამართლებრივი წესრიგის საფუძველზე, საზოგადოების არცერთ სფეროში არ არსებობს სამართლის პატივისცემა და შესაბამისად, სამართლებრივი დისციპლინა.

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში რეალურად არსებობს კორუფციული წესრიგის განმტკიცების საფრთხე. შეიმჩნევა პარტიების მიერ დიდძალი ფინანსების კონცენტრაციისა და მობილიზების პროცესების გაძლიერება. კორუფციულ წესრიგთან მიმართებაში, ეს პერიოდი იქნება საქართველოში გამყინვარების ხანის გაგრძელება, რომლის ფონზე ყოველთვის არსებობს სოციალური მღელვარების საშიშროება.

# თბილისს საპირველმაისოდ ისევ გაზის გარეშე დარჩენა ემუქრება

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ საკრებულოს ენერგეტიკის კომისიამ თბილისის გაზმომარაგებაში შექმნილი კრიზისის მიზეზების დასადგენად მორიგი "სპეცსხდომა" გამართა, რომელზეც ბუნებრივი აირით დედაქალაქის უზრუნველყოფაში პასუხისმგებელი ყველა უწყება იყო მიწვეული. ენერგეტიკის კომისიის სხდომას კი, მხოლოდ საკრებულოს ორი დეპუტატი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და "თბილგაზის" დირექცია დაესწრო.

"თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას თქმით, ამ ეტაპზე დედაქალაქის მთავრობას მარტის თვეში თბილისის მიერ მოხმარებული აირის საფასურის გადასახდელად საჭირო თანხა მოძიებული აქვს. ამ ინფორმაციას მერიაშიც ადასტურებენ. მერიის პრესსამსახურის უფროსის მირიან ლებანიძის ცნობით, უკვე ერთი კვირაა, რაც თბილისის მთავრობამ მარტში მოხმარებული ბუნებრივი აირის დავალიანების გადასახდელად 4,5 მილიონი ლარის ოდენობის სესხი აიღო. მაგრამ ამ თანხის "თბილგაზის" ანგარიშზე გადარიცხვა ორმაგი ყადაღის გამო ვერ ხორციელდება.

ცაავას განცხადებით, ამ ეტაპისთვის "თბილგაზის მიერ მოსახლეობიდან მობილიზებული 800 ათასი ლარი გადარიცხულია "იტერას" ანგარიშზე. მისივე თქმით, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მარტში მოხმარებულ ბუნებრივი აირის საფასურმა 950 ათასი ლარი შეადგინა. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ცნობით, ამ დავალიანების დასაფარად ცენტრალური ბიუჯეტიდან "თბილგაზის" ანგარიშზე ერთი თეთრიც არ გადარიცხულა.

შეგახსენებთ, რომ 13 აპრილს საგადასახადო სამსახურმა ერთმილიონლარიანი დავალიანების გამო, "თბილგაზის" ანგარიშს ყადაღა დაადო. ეს მას შემდეგ განხორციელდა, რაც "თბილგაზის" ანგარიში ინგლისურმა იურიდიულმა კომპანიამ "ენვერტმა" 1998 წელს "საქგაზტრანსმრეწვის" წინააღმდეგ გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის 2,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ანაზღაურების მოთხოვნით დააყადაღა.

ვახტანგ ცაავას თქმით, ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ "ენვერტის" მიერ ყადაღის მოხსნის შემთხვევაში, საგადასახადო სამსახურიც "თბილგაზის" ანგარიშზე დადებულ ყადაღას ავტომატურად მოხსნის. ამ საკითხზე გუშინ, ენერგეტიკის კომისიის პარალელურად, ფინანსთა სამინისტროშიც მსჯელობდნენ. ამ ეტაპზე პრობლემას ის წარმოადგენს, რომ მოლაპარაკებების მიუხედავად, "ენვერტი" ყადაღის მოხსნაზე უარს აცხადებს. ცაავას განცხადებით კი, 25 აპრილამდე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, "იტერა" თბილისისათვის გაზის მოწოდებას პირველი მაისიდან მთლიანად შეწყვეტს. შეგახსენებთ, რომ ორშაბათს "იტერამ" დედაქალაქისთვის მოსაწოდებელი ბუნებრივი აირის მოცულობა გაანახევრა, რის შედეგადაც თბილისის რამდენიმე უბანი, მათ შორის, ვაკე-საბურთალოსა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონები გაზის გარეშე დარჩა.

საკრებულოს წარმომადგენლებმა "თბილგაზის" ანგარიშის დაყადაღება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ოპოზიციურად განწყობილი საკრებულოს მიმართ პოლიტიკურ საბოტაჟად მონათლეს. საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის დავით ხუციშვილის თქმით, **"ცენტრალური ხელისუფლება "თბილგაზის" წინააღმდეგ გადადგმული ყველა ნაბიჯით - მათ შორის, ამ სადისტრიბუციო კომპანიის ანგარიშის დაყადაღებით, ცდილობს მოსახლეობა საკრებულოს წინააღმდეგ აამხედროს."** დედაქალაქის გაზმომარაგებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გუშინ განცხადება საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალურმა მოძრაობამაც" გააკეთა. გიორგი არველაძის თქმით, თბილისისათვის გაზის გამორთვა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებას წარმოადგენს.

## მონიტორინგი

როცა მთავრობის წინა კვირის სხდომაზე გამოცხადდა "ურჩ გადამხდელთა" სია, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ამას შედეგი არ მოჰყვებოდა. მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, დადებულ ყადაღებს დამატებითი შემოსავლები არ მოუტანია, **მაგრამ მთავრობამ მაინც მოახერხა ჩვენი გაკვირვება - ნახევარ თბილისს გაზი გაეთიშა**. საინტერესოა, ვინ აგებს პასუხს ამაზე?

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 22 აპრილისთვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 21 აპრილი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 517.93 | 253.54 | 49% | 2.09 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 373.22 | 180.90 | 48% | 1.29 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 148.78 | 48% | 1.26 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 62.65 | 54% | 0.44 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 10.12 | 42% | 0.35 |
| დეფიციტის დაფინანსება | 112.16 | 62.81 | 56% | 0.01 |

# "ტექნიკურად" მოპარული 30 მილიონი დოლარი

პირველი გვერდიდან

შეისწავლა ელექტროსისტემაში აღრიცხვიანობის საკითხი და საგანგაშო შედეგები დააფიქსირა. ერისთავის ინფორმაციით, 2002 წლის იანვრიდან დღემდე ტექნიკური დანაკარგების რაოდენობა დასაშვები 10 პროცენტიდან 16 პროცენტამდე გაიზარდა. ეს კი გულისხმობს, რომ თუ 2002 წელს საქართველოს ელექტროსისტემაში რვა მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია იყო, აქედან მილიარდ ორასი ათასი, ქსელების ტექნიკური გაუმართაობის გამო, უკვალოდ დაიკარგა. ეს კი 30 მილიონი აშშ დოლარის ზარალს ნიშნავს. ენერგოზედამხედველობამ მთელი საქართველოს მასშტაბით (გარდა თბილისისა და აჭარის რეგიონისა) შეამოწმა ერთიანი სახელმწიფო ელექტროსისტემის კუთვნილი 300-მდე მაღალი ძაბვის ქვესადგური და თითქმის ყველა მათგანზე გაუმართავი მრიცხველები აღმოაჩინა. **"გაგვიჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ მრიცხველები ხელოვნურადაა დაზიანებული, რათა ელექტროენერგიის უკანონო დატაცება მოხდეს,"** – აცხადებს ელიზბარ ერისთავი. როგორც სემეკ-ის თავმჯდომარემ განმარტა, ქვესადგურებზე არსებულ მრიცხველებს სამი ბრჯენი უნდა ჰქონდეს: საბითუმო ბაზრის, ერთიანი ელექტროსისტემის და სადისტრიბუციო კომპანიის (ან პირდაპირი მომხმარებლის). უმეტეს შემთხვევაში მრიცხველებს ეს ბრჯენები არ გააჩნიათ. ამას გარდა, მთელ რიგ ქვესადგურებზე (მაგალითად, ქუთაისში) თვეების მანძილზე მრიცხველები საერთოდ მოხსნილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვესადგურები ერთიანი ელექტროსისტემის კუთვნილებაა, ელიზბარ ერისთავი ამ ორგანოს ხელმძღვანელობას ელექტროენერგიის ორგანიზებულ დატაცებაში არ ადანაშაულებს. მისი აზრით, დანაშაულზე პასუხისმგებლები უშუალოდ ქვესადგურების თანამშრომლები არიან. თუმცა, საეჭვოა, 30 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგიის დატაცება მარტო ქვესადგურების მუშაკების დონეზე მომხდარიყო.

სემეკი არ ფლობს ინფორმაციას დატაცებული ელექტროენერგიის ექსპორტის თაობაზე. ელიზბარ ერისთავის განცხადებით, ქვესადგურებს ქვეყნის შიგნით არსებულ საწარმოებთან ჰქონდათ გარიგებები ელექტროენერგიის მიყიდვის თაობაზე. ერისთავი, ჯერჯერობით, აღნიშნულ საწარმოებს არ ასახელებს. სემეკი მომავალ კვირას გენერალურ პროკურატურას გადასცემს მასალებს გამოსაძიებლად.

"24 საათი" ესაუბრა ერთიანი სახელმწიფო ელექტროსისტემის ერთ-ერთ აღმასრულებელ დირექტორს ვახტანგ ბეგიაშვილს, რომელმაც კატეგორიულად უარყო სემეკ-ის ბრალდება მის უწყებაში ელექტროენერგიის დატაცების თაობაზე. მისი განცხადებით, ენერგოზედამხედველობის შემოწმების პერიოდში ერთიანი სახელმწიფო ელექტროსისტემა ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული და იგი "ელექტროგადაცემისა" და "დისპეტჩერიზაციისაგან" შედგებოდა. ამას გარდა, ბეგიაშვილი აცხადებს, რომ ელექტროენერგიის დატაცება ტექნიკურად შეუძლებელია და თუ დანაკარგებს აქვს ადგილი, ეს მხოლოდ ქსელის გაუმართაობის გამო ხდება. როგორც ცნობილია, 2002 წლის 3 დეკემბრიდან "ელექტროგადაცემა" და "დისპეტჩერიზაცია" გაერთიანდა და იქ ირლანდიული კომპანია "ი-ეს-ბი-აი" ხუთწლიანი მართვის კონტრაქტით შევიდა. **"ირლანდიელებს თავიანთ ბიზნესგეგმაში გათვალისწინებული აქვთ ქსელის მოწესრიგება, მათ შორის, ქვესადგურების აღრიცხვიანობის სისტემისაც, რისთვისაც 800 ათასი ლარია განსაზღვრული,"** – აცხადებს ვახტანგ ბეგიაშვილი.

სემეკ-ის ბრალდებას ელექტროენერგიის დატაცების თაობაზე უარყოფს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიაც. კომპანიის გენერალური დირექტორის დავით ქართველიშვილის განცხადებით: **"კომპანია ვერც ერთ რეგიონში ვერ გააკონტროლებს მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის დანაკარგებს. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ მის ბალანსზე არსებულ დაბალი ძაბვის ქსელებზე."**

ამას გარდა, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის წარმომადგენლის ინფორმაციით, რაიონებში სემეკ-ის ლიცენზიის გარეშე მუშაობენ პატარა სადისტრიბუციო კომპანიები. ისინი არალეგალურად ეწევიან ადგილობრივ მოსახლეობაში ელექტროენერგიის განაწილებას. შესაბამისად, ისინი უკანონო გარიგებებში იმყოფებიან ადგილობრივ ქვესადგურებთან. გუშინ გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ საღამოს ხუთ საათზე ურჩ გადამხდელ რეგიონებსა და მსხვილ სამრეწველო ობიექტებს ელეტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა.

ამ კვირაში უნდა დასრულდეს ქონების მართვის სამინისტროსა და ამერიკულ საკონსულტაციო ფირმა "პი-ეი კონსალტინგ გრუპთან" ხელშეკრულების გაფორმება, რომლის ძალითაც, ეს ფირმა 18-თვიანი მართვის უფლებით გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში შევა და მას საპრივატიზაციოდ მოამზადებს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ელიზბარ ერისთავი ელექტროენერგიის ორგანიზებულ დატაცებაზე ალაპარაკდა.

# დისციპლინა და ლაზღანდარობა ეკონომიკაში

## სამხრეთ კავკასია და სხვა პოსტსოციალისტური რეგიონები

*საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არსებობის "სტაჟთან" ერთად უფრო აქტუალური ხდება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობისა და როლის განსაზღვრა საერთაშორისო თანამეგობრობაში. დღეს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები. რაც შეეხება ცალკეული სახელმწიფოს როლს მსოფლიოში, ტრადიციულად, ეს "წონა" სამ დონეზე - რეგიონულ, კონტინენტურ და პლანეტის მასშტაბებში განიხილება. "24 საათი" გთავაზობთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობისა და ტენდენციების ამსახველი სტატიების სერიას. დარწმუნებული ვართ, რომ გამოქვეყნებული მასალები ბევრს დააფიქრებს და დაინტერესებულ კომპეტენტურ ადამიანებს ნაყოფიერ ეკონომიკურ დისკუსიაში ჩაბმის სურვილი გაუჩნდებათ. დრო და დრო ხომ გვიჩნდება კითხვა - რისი შემძლე ვართ ჩვენ, ანუ ქვეყანა ამ მყისცვალებად მსოფლიოში და რა ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი მდგრადი განვითარებით კეთილდღეობის მისაღწევად?*

დავით ამაღლობელი

სამხრეთ კავკასიის სხვა პოსტსოციალისტურ რეგიონებთან შედარებითი ანალიზისას სულ გამოყოფილია 6 ასეთი რეგიონი, რომლებშიც შემავალ ქვეყნებს მეტნაკლებად ერთნაირი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აერთიანებთ და ცალკე აღებულია რუსეთი. კერძოდ, ეს რეგიონებია: სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია, უკრაინა-ბელორუსია-მოლდოვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, ბალტიისპირეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა.

მიუხედავად თითქმის ერთნაირი საწყისი პირობებისა (ყველა ქვეყანა 1990 წლამდე სოციალისტური სახელმწიფო იყო შედარებით ჰომოგენური ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებით), დღეს აღნიშნულ რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. ამ ჯგუფის აშკარა აუტსაიდერია ცენტრალური აზია, სადაც მთლიანი შიდა პროდუქცია (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მხოლოდ 547 აშშ დოლარს შეადგენდა 2001 წელს. ცენტრალური აზიის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე სამხრეთ კავკასიაშია, სადაც იგი 659 აშშ დოლარს შეადგენდა 2001 წელს. ასევე დაბალი განვითარების დონით ხასიათდებიან უკრაინა, ბელორუსია და მოლდოვა. მეორეს მხრივ, წარმოდგენილია შედარებით განვითარებული გარდამავალი ეკონომიკის მქონე რეგიონები, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3500 დოლარია. მაგრამ შედარებით ჩამორჩენილია ამ მხრივ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2,5-ჯერ ნაკლებია ბალტიისპირეთის ანალოგიურ მაჩვენებელზე და 3,5-ჯერ ნაკლებია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე. (ცხრილი 1)

განვითარების ტემპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს ამ მხრივ ლიდერობს სამხრეთ კავკასია, სადაც 1995-2002 წლებში ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 5,9 პროცენტი, მაშინ როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვისა და ბალტიისპირეთისთვის ეს მაჩვენებელი შესაბამისად 4 და 4,5 პროცენტი იყო. (*ცხრილი 2*).

ყველა წარმოდგენილ რეგიონში 1990-1994 წლებში ადგილი ჰქონდა სამომხმარებლო ფასების კოლოსალურ ზრდას. აღსანიშნავია, რომ ინფლაციურ სპირალში პირველად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შევიდნენ 1990 წელს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან პირველად, სწორედ, ამ ქვეყნებმა დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. 1991 წლიდან ინფლაცია ფეხს იკიდებს დანარჩენ რეგიონებშიც. ინფლაციის მაღალმა დონემ ყველაზე დიდ ხანს, კერძოდ კი 5 წელი, გასტანა სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში.

1991-დან 1995 წლის ჩათვლით სამომხმარებლო ფასები საშუალოდ 1138 პროცენტით იზრდებოდა სამხრეთ კავკასიაში, 1000 პროცენტით უკრაინაში, ბელორუსიაში და მოლდოვაში, 850 პროცენტით ცენტრალურ აზიაში, 600 პროცენტით რუსეთში, 550 პროცენტით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, 300 პროცენტით ბალტიისპირეთში და მხოლოდ 112 პროცენტით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ინფლაციის შედარებით სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევა ზოგიერთ რეგიონში უკვე 1994 წლიდან მოხერხდა, ზოგან კი მხოლოდ 1998 წლიდან. თუ ავიღებთ ბოლო 5-წლიან პერიოდს, ინფლაციის სტაბილურობით გამოირჩევა სამხრეთ კავკასია, ხოლო არასტაბილურობით უკრაინა, ბელორუსია და მოლდოვა, რუსეთი, ცენტრალური აზია და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა. (*ცხრილი 3*).

წარმოდგენილი შვიდი რეგიონიდან ხუთმა შეძლო ფისკალურ სფეროში დისციპლინის დამყარება და სახელმწიფო ფინანსების სტაბილურობა. ამ მხრივ სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია აშკარა აუტსაიდერები არიან, სადაც სახელმწიფო შემოსავლების წილი მშპ-თან 2001 წელს, შესაბამისად, 18,4 და 23,2 პროცენტი იყო, მაშინ როდესაც უკრაინა-ბელორუსია-მოლდოვაში და ბალტიისპირეთში 35 პროცენტი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში 37 პროცენტი, რუსეთში 39 პროცენტი, ხოლო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 41 პროცენტი. (*ცხრილი 4*).

რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯებს, აქ ყველა რეგიონში შეიმჩნევა მათი კლებადი ტენდენცია 1990 წლების პირველი ნახევრიდან, თუმცა კლების ტემპები რეგიონებს შორის საკმაოდ განსხვავდება. ძალზედ მაღალი იყო სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-ში სამხრეთ კავკასიაში 1990 წლების პირველ ნახევარში, თუმცა ამ ხარჯების დაფინანსება მწირი შემოსავლების პირობებში ძირითადად საგარეო სესხების მოზიდვის გზით ხორციელდებოდა. ამის გამო რეგიონის სახელმწიფო ბიუჯეტები მაღალი დეფიციტურობით ხასიათდებოდნენ. მაგალითად, 1993 წელს სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოდ 32 პროცენტი იყო. (*ცხრილი 5*).

ვინაიდან საზოგადოებრივი ხარჯების მაღალ დონეზე შენარჩუნება შემოსავლების არაადეკვატური მობილიზაციის პირობებში და საკრედიტო მდგრადობის მოსაზრებებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო, ამიტომ სახელმწიფო ხარჯები საგრძნობლად შემცირდა სამხრეთ კავკასიაში. კერძოდ, თუკი 1993 წელს სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში 47 პროცენტი იყო, უკვე 1995 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 21 პროცენტი გახდა. მოვლენები დაახლოებით მსგავსი სცენარით განვითარდა დსთ-ს სხვა რეგიონებშიც. მაგრამ რაც შეეხება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთს, აქ გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე გაზრდილ საზოგადოებრივ დანახარჯებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა, ძირითადად, შემოსავლების მაღალ დონეზე მობილიზაციის მეშვეობით, რაც ამ რეგიონებში ბიუჯეტების დეფიციტის შედარებით დაბალი მაჩვენებლებითაც დასტურდება. (*ცხრილი 6*).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება რეგიონებს შორის დიდი უთანაბრობით ხასიათდება. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-2002 წლებში განხორციელებული მთლიანი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 117,3 მილიარდი დოლარი, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ყველა დანარჩენ რეგიონში იმავე პერიოდში განხორციელებულ ერთობლივ ინვესტიციებს. ერთ სულ მოსახლეზე მიღებული უცხოური ინვესტიციების მოცულობით კვლავ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა ლიდერობს, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 1489 აშშ დოლარია. ერთ სულ მოსახლეზე მიღებული უცხოური ინვესტიციების მიხედვით 1226 დოლარით მეორე ადგილზეა ბალტიისპირეთი. შემდეგ დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლებით მოდიან სამხრეთ კავკასია და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა. (*ნახაზი 1, ცხრილი 7*).

### ცხრილი 1: მშპ ერთ სულ მოსახლეზე

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | | | 140.37 | 170.4 | 202.7 | 419 | 492.3 | 560.7 | 645 | 561.7 | 609.7 | 658.7 |
| ცენტრალური აზია | | 1604.5 | 314.6 | 586 | 388.4 | 503 | 590 | 590.6 | 595.6 | 472.8 | 483.4 | 547.4 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | | | 404.33 | 304.67 | 398.3 | 705.3 | 903.7 | 953.3 | 919.3 | 708 | 768.7 | 889.3 |
| რუსეთი | 2554 | 148 | 575 | 1229 | 1867 | 2274 | 2829 | 2903 | 1848 | 1330 | 1784 | 2137 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | 4876.2 | 3271.8 | 3257.2 | 3376.2 | 3979.7 | 4893.8 | 5185.2 | 5086.8 | 5486.2 | 5368.8 | 5117.5 | 5494.7 |
| ბალტიისპირეთი | | 266 | 510.33 | 885.67 | 1399.3 | 1977.7 | 2468.7 | 2764 | 3121.7 | 3206 | 3343.3 | 3574 |
| სამხრეთ-აღმ. ევროპა | 1408.5 | 1096 | 786.5 | 941 | 1024 | 1330 | 1384.7 | 1391.2 | 1400.2 | 1395.5 | 1340.6 | 1470.7 |

### ცხრილი 2: მშპ-ს ზრდის ტემპები

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | -10.5 | -11 | -36.4 | -19.1 | -8.6 | -0.8 | 5.9 | 6.6 | 6.7 | 4.6 | 6.4 | 8 | 9.6 |
| ცენტრალური აზია | 0.9 | -5.7 | -13.9 | -9.7 | -14.6 | -6.8 | -0.4 | 0.9 | 3 | 6 | 9 | 9.1 | 6.5 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | -3.1 | -9.8 | -16.1 | -6.9 | -22.2 | -8 | -4.4 | 3.3 | 0 | -0.1 | 4.6 | 6.4 | 3.7 |
| რუსეთი | 0 | -5.5 | -18.6 | -13 | -13.5 | -4.1 | -3.4 | 0.9 | -4.9 | 5.4 | 8.3 | 4.9 | 4.1 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | -6.6 | -11.6 | -10.6 | -5.1 | 1.9 | 4.3 | 4.4 | 5.9 | 3.7 | 1.5 | 4.4 | 4.1 | 3.4 |
| ბალტიისპირეთი | -2.9 | -9.9 | -23.5 | -13.3 | -3.2 | 2.2 | 4.1 | 8.5 | 4.8 | -0.6 | 5.9 | 6.2 | 6.4 |
| სამხრეთ-აღმ. ევროპა | -11 | -9.9 | -13.9 | -11.7 | -6.2 | 8.2 | 16.4 | 5 | 3.6 | 0.6 | 4.9 | 3.3 | 3.6 |

### ცხრილი 3: სამომხმარებლო ფასების ინფლაცია

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | 7.1 | 163.3 | 1049 | 2026 | 2214 | 250.2 | 25.9 | 8.2 | 3.8 | 3.8 | 1.7 | 3.1 | 3.2 |
| ცენტრალური აზია | 3.9 | 92.2 | 906.2 | 1653 | 1157 | 427.2 | 307 | 54.7 | 19.4 | 25 | 19.5 | 18.4 | 10.7 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | 4.4 | 94.4 | 1152 | 2238 | 1147 | 372.2 | 52.1 | 30.6 | 30.5 | 118.5 | 74.1 | 27.7 | 17.3 |
| რუსეთი | 5.6 | 92.7 | 1526 | 875 | 311.4 | 197.7 | 47.8 | 14.7 | 27.6 | 86.1 | 20.8 | 21.6 | 16.3 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | 299.1 | 76.5 | 160 | 275.4 | 32.2 | 15.1 | 11.9 | 10 | 9.5 | 6.7 | 8.5 | 7 | 3.9 |
| ბალტიისპირეთი | 14 | 202.5 | 1016 | 203.1 | 51.9 | 31.2 | 21.8 | 9.5 | 6 | 2.2 | 3.6 | 3.2 | 2.3 |
| სამხრეთ-აღმ. ევროპა | 246.6 | 155 | 2284 | 188.1 | 77.1 | 39.4 | 54.3 | 258.4 | 26.7 | 16.5 | 24.5 | 28.3 | 11.8 |

### ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წილი მშპ-თან

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | | 17.7 | 20.3 | 15.1 | 30.8 | 14.9 | 16.3 | 17.7 | 18 | 18.9 | 18.7 | 18.4 |
| ცენტრალური აზია | 41 | 36.2 | 26.4 | 24.6 | 29.7 | 22.9 | 20.2 | 21.3 | 21.5 | 20.8 | 22.4 | 23.2 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | | 24.7 | 27.1 | 35.5 | 40 | 33.5 | 33.2 | 37.2 | 37.5 | 36.3 | 35.8 | 34.8 |
| რუსეთი | | | 46.9 | 36 | 34.4 | 34.1 | 33.5 | 37.1 | 33.4 | 35.1 | 38.8 | 38.7 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | 48.2 | 47.3 | 45.3 | 44.5 | 41.9 | 45.6 | 44.3 | 42.6 | 41.8 | 41.8 | 41.2 | 41 |
| ბალტიისპირეთი | | | | 28 | 37.4 | 36.7 | 35.4 | 37.9 | 38.2 | 36.8 | 38.2 | 34.6 |
| სამხ.-აღმოსავლეთ ევროპა | 56.9 | 41.2 | 34.8 | 34.8 | 36.1 | 33.5 | 33 | 29.7 | 34.9 | 37.8 | 37.9 | 36.9 |

### ცხრილი 5: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის წილი მშპ-თან

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | | -2.5 | -12.2 | -32.1 | -12 | -4.4 | -6.2 | -4.7 | -4.7 | -6.3 | -3.7 | -1.5 | -1.7 |
| ცენტრალური აზია | -0.3 | -7.2 | -16.4 | -10.8 | -5.9 | -4.1 | -5.5 | -4.4 | -5.4 | -4.6 | -2.4 | -1.4 | -2.5 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | | 0 | -17.8 | -9.7 | -10.5 | -7.3 | -6.7 | -6.5 | -3 | -3.4 | -1.2 | -0.8 | -1.1 |
| რუსეთი | | | -18.9 | -7.3 | -10.4 | -6.1 | -8.9 | -8 | -8 | -3.3 | 3 | 2.9 | 1.5 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | 1 | -1.1 | -4.9 | -2.8 | -2.2 | -2.5 | -2.3 | -2 | -2.8 | -4.1 | -3.3 | -3.4 | -4.1 |
| ბალტიისპირეთი | -4.4 | -7.7 | -9.1 | -8.2 | -4.7 | -3.8 | -5.5 | -4.2 | -4.6 | -4.8 | -3.6 | -4.4 | -4.5 |
| სამხ.-აღმოსავლეთ ევროპა | -7.1 | -9.9 | -10.1 | -9.5 | -5.6 | -4 | -6 | -4.6 | -4.9 | -5 | -3.7 | -4.6 | -4.6 |

### ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-თან

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | | 20.15 | 32.53 | 47.2 | 31.43 | 21.2 | 22.5 | 22.4 | 22.8 | 25.3 | 22 | 20.7 |
| ცენტრალური აზია | 39.85 | 40.74 | 41.02 | 35.34 | 33.2 | 29.1 | 25.8 | 25.6 | 26.7 | 25.4 | 24.7 | 24.7 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | | 24.7 | 44.9 | 45.23 | 43.07 | 40.1 | 39.9 | 44.1 | 40.4 | 39.6 | 37 | 31.8 |
| რუსეთი | | | 65.8 | 43.3 | 45 | 40.2 | 42.4 | 45.1 | 41.4 | 38.4 | 35.8 | 35.8 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | 47.63 | 48.1 | 50.48 | 46.88 | 48.25 | 46.6 | 45.6 | 45.2 | 45.1 | 44.9 | 45.2 | 45.2 |
| ბალტიისპირეთი | 49.1 | 38.7 | 31.47 | 36.27 | 35.27 | 39.5 | 38.1 | 37.4 | 40.3 | 42.3 | 37.9 | 35.6 |
| სამხ.-აღმოსავლეთ ევროპა | 55.57 | 48.73 | 44.88 | 44.25 | 42.53 | 37.5 | 39.2 | 34.2 | 40.1 | 43 | 41.6 | 41.4 |

### ნახაზი 1




### ცხრილი 7: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)

| | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ კავკასია | | | | 1 | 38 | 361 | 699 | 1483 | 1465 | 692 | 375 | 397 | 1455 |
| ცენტრალური აზია | | | 118 | 609 | 861 | 1379 | 1408 | 1696 | 1426 | 1889 | 1462 | 2995 | 2770 |
| ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა | | | 17 | 32 | 188 | 345 | 644 | 1582 | 1036 | 966 | 812 | 913 | 996 |
| რუსეთი | | | | | | 1460 | 1657 | 1679 | 1496 | 1103 | -496 | -137 | 1800 |
| ცენტრ. და აღმ. ევროპა | 333 | 1617 | 2964 | 3741 | 2865 | 6596 | 7169 | 6838 | 11571 | 16592 | 17408 | 16048 | 21882 |
| ბალტიისპირეთი | | | 88 | 236 | 523 | 516 | 642 | 973 | 1798 | 1031 | 1099 | 983 | 945 |
| სამხ.-აღმოსავლეთ ევროპა | -16 | 93 | 134 | 172 | 538 | 616 | 662 | 2574 | 3049 | 2094 | 2645 | 2739 | 2733 |

# ერაყის ომმა პაკისტანში პანიკა გამოიწვია

პირველი გვერდიდან

"იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი ჯერი არ დადგება, რეალობაზე თვალის დახუჭვას ნიშნავს", - აღნიშნავს "როიტერისათვის" მიცემულ ინტერვიუში პაკისტანის ყველაზე დიდი ისლამისტური პარტიის ლიდერი ყაზი ჰუსეინ აჰმედი. "ამერიკას... არ სურს, რომ საკუთარი თავის დაცვა თავად (მუსლიმებმა) შეძლონ".

ეს აბსურდია, - ერთხმად აცხადებენ დასავლელი დიპლომატები. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა უკვე უარყო მოსაზრება, თითქოს, ისლამაბადის მთავრობა ერაყისას შეიძლება შევადაროთ.

დიპლომატების თქმით, ისლამისტები უბრალოდ შექმნილი ვითარების გამოყენებას ცდილობენ და პაკისტანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დანგრევა სურთ.

"უეჭველია, რომ დასავლეთს პაკისტანთან ურთიერთობების შენარჩუნება სურს", - ამბობს ერთ-ერთი დასავლელი დიპლომატი. მისივე თქმით, ბირთვული იარაღით აღჭურვილ, 140 მილიონიან მუსლიმურ სახელმწიფოსთან დასავლეთი ყოველთვის დიალოგს ანიჭებდა უპრატესობას და არა - დაპირისპირებას.

პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი დასავლეთის თვალში, შესაძლოა, მთლად უზადო არ იყოს, მაგრამ მან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდური პარტნიორობა გასწია, ავღანეთში წარმოებულ კამპანიასაც დაუჭირა მხარი და პაკისტანში მყოფ ალ-ქაიდას ლიდერების დაკავებაზეც უკან არ დაუხევია.

ანალიტიკოსების აზრით, მუშარაფის ხელისუფლებიდან ჩამოშორება ან პაკისტანის ძალით განიარაღების მცდელობა, ისევ და ისევ, ექსტრემისტების წისქვილზე დაასხამს წყალს, ხოლო ქვეყანასა და რეგიონს ასჯერ უფრო არასტაბილურს გახდის.

თუმცა, პოლიტიკისა და პროპაგანდის გარეშეც, ნავაზ შარიფის მმართველობის დროს, პაკისტანი "ურჩ სახელმწიფოდ" გადაქცევის გზას ადგა, როდესაც 1999 წელს გენერალმა მუშარაფმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო.

პაკისტანის ლიბერალი ინტელექტუალები შიშობენ, რომ ქვეყანა იმავე გზას, შესაძლოა, ძალიან მალე დაადგეს, განსაკუთრებით, თუ ისლამისტური პარტიები ანტიამერიკული განწყობის გამოყენებას საკუთარი ძალაუფლების გასაფართოებლად მოახერხებენ.


მუშარაფი, პაკისტანის პრეზიდენტი.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ქაშმირში, ისლამისტი მებრძოლების მხარდაჭერით, პაკისტანი ცეცხლს ეთამაშება. ინდოეთი ამას "სასაზღვრო ტერორიზმს" უწოდებს. ისლამაბადი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

ისლამაბადის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარის ნაიარის თქმით, მსოფლიოს ბირთვული სახელმწიფოები სუბკონტინენტზე ბირთვული ომის შესაძლებლობით შეშფოთებულები არიან.

"პაკისტანის განიარაღების შესაძლებლობაზე უარს არავინ იტყვის", - ამბობს ნაიარი. იგი შიშობს, რომ შეერთებული შტატები პაკისტანის ბირთვული არსენალის განეიტრალებაზე უკან არ დაიხევს, თუ ეს საჭირო გახდება, ვაშინგტონმა, შესაძლოა, ამავე მიზნის მისაღწევად პაკისტანის დაუძინებელი მტერი ინდოეთი გამოიყენოს.

ვაშინგტონის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრის დირექტორის სელიგ ჰარისონის თქმით, პაკისტანის მიერ ჩრდილოეთ კორეისადმი ბირთვული იარაღის გადაცემის "აშკარა სამხილის" არსებობის მიუხედავად, შეერთებული შტატები ისლამაბადის დასასჯელად არაფერს არ აკეთებს. ვაშინგტონს პაკისტანი არც ბოროტების ღერძის სახელმწიფოთა შორის მოუხსენიებია.

პაკისტანი ჩრდილოეთ კორეისათვის ბირთვული ტექნოლოგიების გადაცემას კატეგორიულად უარყოფს.

"შეერთებულ შტატებს, ალ-ქაიდას წინააღმდეგ, პაკისტანთან თანამშრომლობასა და ისლამაბადის მიერ ბირთვული ტექნოლოგიების სხვა ქვეყნებისათვის გადაცემის შეჩერებას შორის არჩევანის გაკეთება არ სჭირდება, - აღნიშნავს იგი "ინთერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნში" გამოქვეყნებულ სტატიაში, - ორივე მიზნის მიღწევა თაფლისკვერისა და მათრახის გამოყენებით არის შესაძლებელი".

პაკისტანის წინაშე არსებულ დილემას პრეზიდენტი მუშარაფი კარგად აცნობიერებს. "დღეს მთავარი საკითხი ისაა, გარესამყაროსთან ურთიერთობისას რა მიდგომას ავირჩევთ. ჩვენ, რეალურად, ორი გზა გვაქვს – კონფრონტაცია და თავშეკავებულობა", - განაცხადა პაკისტანის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ უხუცესებთან შეხვედრაზე მუშარაფმა. "ჩემი აზრით, თავშეკავებულობა პაკისტანის ინტერესებში შედის", - დასძინა მან.

როგორც ჩანს, თავშეკავებულობა და გამარჯვებული ამერიკის წინაშე კუნთების ფუჭ თამაშზე უარის თქმა, ახლა საუკეთესო ტაქტიკას წარმოადგენს. სირიამ მსოფლიოს ამის მაგალითი უკვე უჩვენა. ახლა არჩევანი სხვებზეა – ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებენ, თუ – არა.

# აზიაში გრიპის ეპიდემია არ ცხრება

"სარსის" (ატიპური პნევმონია) ვირუსმა ჩინეთში კიდევ 13 ადამიანი შეიწირა, ხოლო 194 ადამიანი დაავადდა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, შესაძლოა, ჩინეთის პროვინციებში ეპიდემიამ იფეთქოს.

ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტროსა და სააგენტო სინხუას უკანასკნელი მონაცემებით, "სარსის" შედეგად ბოლო დღეებში ჩინეთში 92 ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაღუპულთა საერთო რიცხვმა 2000-ს გადააჭარბა.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, "სარსით" დაავადებულები უკვე ხუთ პროვინციაში აღრიცხეს.

ატიპური პნევმონია პირველად გასული წლის ნოემბერში, ჩინეთის სამხრეთ პროვინცია კუანტუნში გაჩნდა, ამის შემდეგ კი მსოფლიოში ტურისტების მეშვეობით გავრცელდა. დღეს 25 ქვეყანაში დაახლოებით 4000 კაცია დაავადებული, ხოლო 220 უკვე დაიღუპა.

კანადა აზიის გარეთ მდებარე ერთადერთი ქვეყანაა, სადაც "სარსის" შედეგად ადამიანთა სიკვდილი დაფიქსირდა. კანადის ხელისუფლების თქმით, ქვეყანაში გაუფრთხილებლობით ძალზე ბევრი ადამიანი დაავადდა.

ჯანდაცვის ექსპერტები განსაკუთრებით შეშფოთებულები არიან ჩინეთში შექმნილი ვითარების გამო. იქ, მაღალჩინოსნების აღიარებით, პროვინციებში, სადაც ქვეყნის 1.3 მილიარდიანი მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს, ჯანდაცვის სისტემა სრულიად გაუმართავია.

ორშაბათს ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ვენ ძიპაომ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სისტემა იმდენად არაადეკვატურია, რომ ეპიდემია შეიძლება ისე დაიწყოს, "ჩვენ ვერც კი გავიგოთ".

გასულ კვირას ჩინეთის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ხუ ძინთაომ "სარსის" წინააღმდეგ ომის დაწყება გამოაცხადა. მან გადაჭრით მოითხოვა ავადმყოფობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის გამოქვეყნება და იმ მაღალჩინოსნების დასჯა, რომლებიც აუცილებელი ზომების გატარებას აფერხებენ.

პეკინში ხალხი აღშფოთებას ვერ მალავდა, როდესაც ხელისუფლებამ "სარსით" დაავადებულთა და გარდაცვლილთა შესახებ რეალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. ინფორმაციის დამალვის გამო თანამდებობიდან ჩინეთის ჯანდაცვის მინისტრი და პეკინის მერი გაათავისუფლეს.

"თუ "სარსთან" გასამკლავებელი რესურსები ვერ გამოინახა, მაშინ ჩინეთში ეპიდემიის აფეთქება მოხდება", - აღნიშნა ჰენკ ბეკედამმა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჩინეთში.

"ვფიქრობ, რომ ვირუსის ჩინეთის საზღვრებში ლოკალიზება ძალზე რთული იქნება", - დასძინა მან.

"სარსი" ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა, მაგრამ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ დაავადება ავადმყოფის ხელმონაკიდ საგნებზე შეხებითაც ვრცელდება.

ავადმყოფობის სიმპტომებია: მაღალი სიცხე, მშრალი ხველება და სუნთქვის გაძნელება.

ჩინეთის განათლების მინისტრმა პეკინში მყოფ პროვინციელ სტუდენტებს მოუწოდა, რომ არ ჩავიდნენ თავიანთ სახლებში, რათა ხელი არ შეუწყონ ვირუსის გავრცელებას მთელ ქვეყანაში.

ამას გარდა, ჩინეთმა უკვე გაავრცელა განცხადება და ტურისტები გააფრთხილა, რომ ჩინეთში ჩამოსვლით მათ შესაძლოა, საკუთარ თავს სერიოზული პრობლემები შეუქმნან.

აღსანიშნავია, რომ ამ ავადმყოფობას ჩინეთისა და მთელი აზიის ეკონომიკურ განვითარებაზე ძალიან სერიოზული გავლენა ექნება. მომგებიანი ტურისტული ბიზნესის შეფერხება აზიური ქვეყნების ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებს. ფინანსური ანალიტიკოსების პროგნოზით, აზიურ ეკონომიკაზე "სარსი" გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს, ვიდრე ერაყის ომი.

# კგბ-მ ჩერნობილის ტრაგედიის მასალები გამოაქვეყნა

ჩერნობილის ტრაგედიის მე-17 წლისთავის წინა დღეებში უკრაინის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა გამოაქვეყნა მასალები უკრაინის სსრ სუკ-ის არქივიდან, რომელიც ჩერნობილის აეს-ს შეეხება.

დოკუმენტებში, რომელიც 1971-88 წლებით არის დათარიღებული, საუბარია აეს-ის მესამე და მეოთხე რეაქტორების გაუმართაობაზე, ასევე იუგოსლავიიდან მოწოდებული მოწყობილობების ტექნიკურ წუნზე. კგბ-ს ადგილობრივი სამსახური მოსკოვს აცნობებდა აეს-ის მშენებლობისას 1976-79 წლებში უსაფრთხოების ნორმების სრული იგნორირების შესახებ.

მასალებში ნახსენებია, აგრეთვე, 1982 წელს მომხდარი ავარიაც, რომელმაც რადიაციის გაჟონვა გამოიწვია. განსაკუთრებით საინტერესოა 1986 წლის 28 აპრილით დათარიღებული დოკუმენტი, რომლითაც უკრაინის სუკ-ის უფროსი მოსკოვს მოახსენებს, რომ "ყველაფერი წესრიგშია" და "სუკ-ი ყველაფერს აკონტროლებს".

აფეთქება, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი ბირთვული კატასტროფა, 1986 წლის 26 აპრილს მოხდა და ასჯერ უფრო მეტი რადიაციის გამოფრქვევა გამოიწვია, ვიდრე ჰიროსიმასა და ნაგასაკის ბომბებმა ერთად. აფეთქების შედეგად, 15-30 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. გაერო-ს მონაცემებით, 6 მილიონი ადამიანი დღესაც დაბინძურებულ გარემოში ცხოვრობს. სადგურის ირგვლივ მდებარე ტერიტორია 30 კილომეტრის რადიუსით დღესაც დახურულ ზონას წარმოადგენს.

# აშშ-ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებები დაიწყო

შოთა უტიაშვილი

დღეს პეკინში ამერიკა-ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებები დაიწყო. გასული წლის ოქტომბერში, კორეის ბირთვული კრიზისის დაწყების შემდეგ, ამერიკელი და ჩრდილოეთ კორეელი დიპლომატები მოლაპარაკების მაგიდას პირველად მიუსხდნენ.

ვაშინგტონს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს კელი წარმოადგენს, ფხენიანს - ლი გუნი, საგარეო საქმეთა სამინისტროდან. მოლაპარაკებებს ჩინეთის დიპლომატიური უწყების წარმომადგენელი დაესწრება.

ამერიკა ჩრდილოეთ კორეისაგან ბირთვულ იარაღზე მუშაობის შეწყვეტას მოითხოვს. პენტაგონში ეჭვობენ, რომ ფხენიანის განკარგულებაში 1-2 ატომური ბომბია და რომ ჩრდილოეთ კორეა კიდევ არაერთი ბომბის დამზადებას აპირებს.

ჩრდილოეთ კორეა, ამ პროგრამაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ეკონომიკური დახმარების მოზრდილ პაკეტსა და უსაფრთხოების გარანტიებს მოითხოვს. განსაკუთრებული შეშფოთების საგანს ფხენიანის დიპლომატიური სტრატეგია წარმოადგენს. ყოველი მოლაპარაკების წინ ისინი მუქარით აღსავსე განცხადებებს აკეთებენ იმ იმედით, რომ ამერიკა შეშინდება და მეტ დათმობებზე წავა.

ამჯერადაც, ფხენიანმა ჯერ თანხმობა გამოთქვა მოლაპარაკებების მრავალმხრივ ფორმატში წარმოებაზე, რასაც დიდი ხანი ეწინააღმდეგებოდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ გადამუშავებული ბირთვული საწვავის გამდიდრება დაიწყო. გამდიდრებული პლუტონიუმით ბომბების დამზადებას სულ რამდენიმე კვირა სჭირდება. მოგვიანებით, მან განცხადების ტექსტი შეცვალა, და განაცხადა, რომ თაგრმნის დროს შეცდომა იყო დაშვებული.

ამერიკელები აცხადებენ, რომ მოლაპარაკებებში სამხრეთ კორეა და იაპონიაც ჩაერთვებიან. პრეზიდენტი ბუში იმედოვნებს, რომ კვარტეტი (აშშ, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა) მოლაპარაკებებზე წარმატებას მიაღწევს.

წარმატება კი იმაში გამოიხატება, რომ ფხენიანმა არა მხოლოდ პლუტონიუმის გადამუშავებაზე უნდა თქვას საბოლოო უარი, არამედ იონბიანის ატომური რეაქტორის მუშაობაც ერთხელ და სამუდამოდ შეაჩეროს. სანაცვლოდ, დასავლეთი მას საჭირო რაოდენობით ჩვეულებრივ საწვავს მიაწვდის.

ჩრდილოეთ კორეას მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი არმია ჰყავს, რომელიც სეულიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრშია განლაგებული. აშშ-სა და მისი მოკავშირეებისათვის ეს სერიოზული სტიმულია საიმისოდ, რომ კრიზისის გადაჭრის დიპლომატიურ გზას მიანიჭოს უპირატესობა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკელები სხვა სცენარებსაც ამუშავებენ. "ნიუ იორკ ტაიმსის განცხადებით, მას ხელში ჩაუვარდა საიდუმლო მემორანდუმი, რომელშიც საუბარია ჩრდილოეთ კორეაში "რეჟიმის შეცვლაზე", როგორც ამ პერმანენტული კრიზისიდან ერთადერთ საბოლოო გამოსავალზე. თუმცა, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის განცხადებით, დღეისათვის ვაშინგტონი კიმ ჩენ ირის მთავრობის დამხობას არ ისახავს მიზნად.

გაზეთი "ავსტრალიენი" კი, ამერიკის ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ამერიკელმა სამხედროებმა იონბიანის რეაქტორის დაბომბვის გეგმა მოამზადეს. პარალელურად, შეტევა ჩრდილოეთისა და სამხრეთ კორეის გამყოფი სადემარკაციო ხაზის სიახლოვეს განლაგებულ ჩრდილოელთა საარტილერიო ქვედანაყოფებზეც განხორციელდება. მოგვიანებით, პენტაგონმა ფხენიანის წინააღმდეგ საჰაერო იერიშის მიტანის შესაძლებლობა უარყო, და განაცხადა, რომ სამხედროები ვალდებულნი არიან, ასეთი სახის გეგმები "ყოველი შემთხვევისათვის" მუდმივად ჰქონდეთ მზად.

# პალესტინის ხელისუფლებაში ორი დაპირისპირებული ბანაკი ჩამოყალიბდა

ლევან ღირსიაშვილი

*ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით შექმნილი სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" რეალიზება, პირველ რიგში, პალესტინის ადმინისტრაციაში რეფორმების დროულ განხორციელებაზეა დამოკიდებული. ვაშინგტონის უმთავრესი მოთხოვნა, პალესტინაში პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება და ახალი მთავრობის დამტკიცება იყო. მართალია, იასირ არაფატმა, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, პრემიერ-მინისტრის პოსტი შემოიღო და ამ თანამდებობაზე თავის კონკურენტად აღიარებული მაჰმუდ აბასი დაამტკიცა, მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. არაფატმა მაჰმუდ აბასის, იგივე აბუ მაზენის მიერ შეთავაზებული მთავრობის კაბინეტის ვარიანტი არ მიიღო. მათ შორის განხეთქილების ვაშლად შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა იქცა. პრემიერ-მინისტრი ამ პოსტზე 42 წლის მოჰამედ დაჰლანის დამტკიცებას დაჟინებით ითხოვს.*


მაჰმუდ აბასი


იასირ არაფატი

დაჰლანი 1995-2002 წლებში ღაზას სექტორში პრევენტული უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი იყო. ის ტერორისტული დაჯგუფებების – "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტების დაუძინებელ მტრად აღიარეს, რადგან მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ პალესტინის ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელი ტერორისტების მოქმედება წარმოადგენს.

გასული წლის ივლისში, იასირ არაფატმა დაჰლანი თანამდებობიდან გაათავისუფლა და ამის გამამართლებელ მოტივად უშიშროების და თავდაცვის სისტემაში რეფორმების განხორციელება დაასახელა. არაფატი მას დაჰპირდა, რომ უსაფრთხოების საკითხებში თავის მრჩევლად დანიშნავდა. თუმცა, ეს შეთავაზება შეთავაზებად დარჩა.

კულუარული ინფორმაციით, დაჰლანს არაფატი მის წინააღმდეგ აშშ-სთან თანამშრომლობაში და შეთქმულებაში დებს ბრალს. გარდა ამისა, პალესტინის ადმინისტრაციაში მოარული ხმების თანახმად, დაჰლანი თანამდებობას ბოროტად იყენებდა და, კორუფციის წყალობით, დიდი კაპიტალიც დააგროვა. მას შემდეგ, რაც დაჰლანი მიხვდა, რომ არაფატმა ის უბრალოდ მოატყუა და დაპირებული მრჩევლის თანამდებობა აღარ უბოძა, მან ღაზას სექტორში საკუთარ ოფისში პრესკონფერენცია გამართა და პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურს კორუფციასა და რეფორმების შეფერხებაში იქით დასდო ბრალი. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ "იერუსალიმ პოსტის" გუშინდელ ნომერში ნათქვამია: **"დაჰლანის განცხადება, პირველ რიგში, გათვლილი იყო მათზე, ვინც ვაშინგტონსა და ევროპის დედაქალაქებში გადაწყვეტილების მიღებაზეა პასუხისმგებელი." "ჩვენ შეცდომა დავუშვით, როცა "ჰამასი" და სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებები არ გავანადგურეთ,"** - განაცხადა დაჰლანმა. მან ისრაელის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებით ბრძოლაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ პალესტინელებმა შეცდომა მაშინ დაუშვეს, როდესაც თავიანთ ბრძოლას გასამხედროებული ფორმა მისცეს.

ამ დღეებში, როდესაც არაფატს დაუსვეს შეკითხვა: რატომ ეწინააღმდეგება შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დაჰლანის დანიშვნას, მან უპასუხა, რომ უშიშროების სამსახურში არის ხალხი, რომელთაც დაჰლანზე მაღალი ჩინები აქვთ და ამ თანამდებობასაც იმსახურებენ. მოჰამედ დაჰლანს მართლაც არ აქვს უმაღლესი სამხედრო განათლება მიღებული და ამასთანავე, ის მხოლოდ და მხოლოდ პოლკოვნიკია. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არაფატისათვის უბრალოდ საბაბია. მათი დაპირისპირების ფესვები უფრო ღრმაა.

**"ჩნდება კითხვა, თუ რატომ სურს პრემიერ-მინისტრ მაჰმუდ აბასს ახალ მთავრობაში დაჰლანის ჩართვა. მას შემდეგ, რაც მთავრობის ფორმირება სთხოვეს, ის დაჰლანს შეხვდა და უსაფრთხოების პრობლემები განიხილეს. ამბობენ, რომ აბასმა საერთო ენა იპოვა დაჰლანთან, რომელმაც ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებების ალაგმვისათვის მზადყოფნა გამოთქვა, როგორიც "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადია,"** - ნათქვამია "იერუსალიმ პოსტში." როგორც აღინიშნა, დაჰლანს ამ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. ცხადია, აბუ მაზენს, რომლის მუშაობაზეც დასავლეთი დიდ იმედებს ამყარებს, გვერდით სწორედ ასეთი პიროვნება სჭირდება.

როგორც ცნობილია, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა უკვე განაცხადა, რომ მზადაა კომპრომისებისათვის და თანახმაა, უარი თქვას პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილ ებრაულ დასახლებებზე. მაგრამ, ცხადია, ეს მშვიდობის დამყარებისათვის საკმარისი არ არის. ახლა ჯერი პალესტინის ადმინისტრაციაზეა, რომელიც უკვე, თამამად შეიძლება ითქვას, ორ ბანაკად არის გახლეჩილი. არაფატის გარშემო შეკრულ გუნდს პირობითად შეიძლება "ძველი გვარდია" ვუწოდოთ, რომელიც თავისი გავლენის შენარჩუნების მიზნით ყველაფრისათვის მზად არის. ხოლო აბუ მაზენის ბანაკს კი, უკვე "რეფორმატორული" იმიჯი აქვს შექმნილი, რომლის წევრებმაც კარგად იციან, რომ მშვიდობა ტერორიზმის გზით ვერ მიიღწევა. თუკი პალესტინელი "რეფორმატორები" შინაგან საქმეთა მინისტრად მოჰამედ დაჰლანის გაყვანას შეძლებენ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ანგარიში აბუ მაზენის სასარგებლოდ გაიხსნება.

# ჩვენ თქვენ გაკმარებთ კარგად!



"კმარა" მუშაობს

გუშინ დილიდან თბილისის ცენტრალური რაიონების ტროტუარებსა და ქუჩებზე საღებავებით დაწერილი სიტყვა "კმარა" გაჩნდა. მთელი ღამის განმავლობაში ამ წარწერებს სტუდენტური მოძრაობა "კმარას" წარმომადგენლები აკეთებდნენ.

"კმარა" დაიწერა ედპ-ს ოფისის, ტელევიზიის, რუსთავი-2"-ის, ცსკ-ს შენობის წინ და სხვა ადგილებში.

სტუდენტების განცხადებით, შემოდგომიდან თბილისში გაცილებით უფრო დიდი და ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყება, რასაც საქართველოს ყველა რეგიონის სტუდენტები შეუერთდებიან.

"კმარას" სახელით მოლაპარაკე თეა თუთბერიძემ სრული აბსურდი და შეურაცხყოფა უწოდა ედპ-ს ლიდერის ირინა სარიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი სტუდენტური აქციები რუსეთის სპეცსამსახურების ფართომასშტაბიანი გეგმის ნაწილია.

*"24 საათი"*

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს.)

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი | პასუხის ტექსტი |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

# ძრწოდეთ ძაღლებო, კატებო და თაგვებო - ლეიბორისტები მოდიან!

მაკა ჭაიანი

*რას-რას და, ორიგინალობას საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავკაცს ვერ დაუკარგავ. ჟურნალისტებთან გუშინ დანიშნულ მოკლე შეხვედრაზე, მაგალითად, ბატონმა შალვამ განაცხადა, უზედამხედველო ცხოველებს ჩვენ მივხედავთ, ძაღლებს პურით დავიჭერთ, კატებს - თაგვებით, ყველაფერს უსასყიდლოდ გავაკეთებთ, ოღონდ კი, ამ საქმისთვის გამოყოფილი ფული მეანაბრეების პრობლემის მოგვარებას მოხმარდესო. შეხვედრის თემაც ეს გახლდათ - ხელისუფლებისგან გაბრიყვებული მეანაბრეების დაკმაყოფილება.*



შალვა ნათელაშვილი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მეანაბრეები მიზანმიმართულად გააკოტრეს. **"ანაბრების წართმევით დაიწყო ქართული სახელმწიფოს დაღუპვა. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ქვეყანაში საშუალო ფენა არ შექმნილიყო. ფენა, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოს ხერხემალია,** - აცხადებს შრომის პარტიის ლიდერი. - **ჩვენ, პირველებმა საქართველოსა და პოსტკომუნისტური ქვეყნების პრაქტიკაში, ეს საკითხი საკონსტიტუციო დონეზე ავიყვანეთ."** რიხიანი გამოსვლებით ცნობილ ნათელაშვილს მხედველობაში აქვს 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით გამაგრებული კანონპროექტი, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებას ისახავს მიზნად და პარლამენტმა სახალხო განხილვას დაუქვემდებარა.

ლეიბორისტების პროექტის მიხედვით, კონსტიტუციის მე-40 მუხლს ემატება ასეთი შინაარსის მე-5 მუხლი: "დამნაშავისგან მოქალაქისადმი მიყენებული ზარალის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ზარალის კომპენსირება". ამავე დროს, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის წინადადება: "ანალოგიური წესი ვრცელდება მეანაბრეებზე და სხვა კატეგორიის მოქალაქეებზე, რომლებმაც დაკარგეს ქონება სახელმწიფოს ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე. აღნიშნული ზარალის კომპენსაცია ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით და ვადებში, ამ ქონების მიბარებისას არსებული კურსით".

შრომის პარტია, რომლის თავმჯდომარესაც აღარ სურს, თანამოქალაქეების პირში ჩალა და ლაგამი იხილოს, კატეგორიულად მოითხოვს პარლამენტისგან, დაჩქარდეს ამ ცვლილებების განხილვა და შესაბამისი ორგანული კანონის მიღება, რის საფუძველზეც მეანაბრეებს ახალი წიგნაკები მიეცემათ. ლეიბორისტები ასევე მოითხოვენ, ამ ვალად არსებული 5 მილიონი დოლარის ასანაზღაურებლად, ბიუჯეტმა თანხა ყოველწლიურად გამოჰყოს. მათ, ვინც ბიუჯეტის მწირ შესაძლებლობებზე ალაპარაკდება, ნათელაშვილი ასე პასუხობს: **"უზედამხედველო ძაღლებისა და კატების დასაჭერად, ქალაქის მარტო ერთ რაიონში, თვეში 10 ათასი ლარი იხარჯება. ჩვენ უსასყიდლოდ დავიჭერთ ძაღლებს და კატებს, ასე დაზოგილი ფულით კი ამ საქმის მოგვარება დავიწყოთ."**

# ახლა ზოდელავამ იმარჯვა

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მერმა საკრებულოს დაასწრო და მამასახლისის ინსტიტუტი აღადგინა. პირველი მერცხალი გახლავთ ფონიჭალის მე-11 კორპუსის მობინადრე, ნოდარ მიქავა, რომელიც მეზობლებმა გუშინ ერთხმად აირჩიეს.*

მამასახლისის ინსტიტუტი საკრებულოსა და მერიას შორის გამართული დავის მორიგ თემად იქცა. ორივეს ამ ინსტიტუტის აღდგენის თავისებური მოდელი აქვს შემუშავებული და ერთმანეთს ედავება. ვანო ზოდელავამ საკრებულოს წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში სარჩელიც შეიტანა. "მამასახლისის ინსტიტუტის შესახებ განკარგულება პირველად მე გამოვეცი, საკრებულომ საკუთარი ვარინტი მერე შეიმუშავა", - აცხადებს ზოდელავა.

მერიის ვარიანტის მიხედვით, მამასახლისი იურიდიული პირია, რომელსაც კორპუსის მობინადრეები ირჩევენ. იგი ხელშეკრულებას აფორმებს წყალკანალთან, დასუფთავების სამსახურთან, "ეი-ი-ეს თელასთან" და ვალდებულია, კორპუსის ყველა პრობლემა მოაგვაროს. მამასახლისი ინკასატორის მოვალეობასაც შეასრულებს და ანაზღაურებას სწორედ კორპუსის მობინადრეებიდან ამოღებული გადასახადებიდან გარკვეული პროცენტის სახით მიიღებს. "ამითი გადასახადების ამოღების პრობლემაც შედარებით მოგვარდება, რადგან მამასახლისი დაინტერესებული იქნება, მისმა მეზობელმა გადასახადები გადაიხადოს", - გვარწმუნებს მერია.

საკრებულოს მოდელი ზემოთაღნიშნულისგან არსებითად განსხვავდება. მისი მიხედვით, მამამსახლისი სახელმწიფო მოხელეა, რომელსაც ვიცეპრემიერი ნიშნავს და საკრებულო ამტკიცებს. იგი ხელფასს ბიუჯეტიდან იღებს. ვანო ზოდელავას კი ეს ზედმეტ ხარჯად მიაჩნია. ბიუჯეტში ამდენი თანხის გამოყოფის საშუალება თუ იქნება, ჯობს ხელფასები გავზარდოთო, - აცხადებს ის. თუმცა, საკრებულო დათმობას მაინც არ აპირებს და საკუთარი მოდელის დანერგვას კვლავ ეცდება.

რაც შეეხება მოსახლეობას, ფონიჭალის მობინადრეები გუშინ კმაყოფილნი ჩანდნენ. ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ დანიშნულ მამასახლისს ჩვენს მიერ არჩეული გვირჩევნია, ჩვენი პრობლემები ჩვენიანმა უკეთ იცისო, - ამბობდნენ. პრობლემა კი იმდენი აქვთ, მერთან შეხვედრისას მათ ჩამოთვლას ვერ აუდიოდნენ - მოშლილი საკანალიზაციო ქსელი, ულიფტო და ჭერჩამონგრეული კორპუსები, უტრანსპორტობა და უმუშევრობა. ზოდელავა მათ პირველი სამი პრობლემის მოგვარებას შეჰპირდა. მერის კეთილგანწყობით გათამამებულმა ახალგაზრდებმა მას მოედნის გაკეთებაც მოთხოვეს. ქალაქის მერი ამაზეც დაითანხმეს. ასე რომ, ფონიჭალელებმა გუშინ ორმაგად იხეირეს - მამასახლისიც ჰყავთ და მერის დაპირებებიც აქვთ. ახლა მთავარია, მათი იმედები ორივე მხრიდან გამართლდეს.

# ცოცხი და ვარდები

თამარ დვალი

*22 აპრილს მსოფლიო "დედამიწის დღეს" აღნიშნავდა. ამ დღესთან დაკავშირებით თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ დიპლომით და "გიგანტური ცოცხით" დაასაჩუქრა.*

მწვანეთა მოძრაობამ გუშინ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისადმი მიძღვნილი აქცია მუშტაიდის ბაღიდან დაიწყო და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურთან გამართული "დაჯილდოების ცერემონიალით" დაასრულა.

"ის, რაც თბილისში ხდება, არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. ქუჩაში მოგროვებული ნაგავი, ქუჩაშივე იწვის. ნორმალურ ქვეყანაში ამას, ყველაფერს, ნარჩენების შესახებ კანონი არეგულირებს. კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე - სამრეწველო ნარჩენები, მათი ექსპორტი და რეექსპორტი. უამრავი გაფრთხილებისა და აქციის მიუხედავად, ქალაქში მაინც საშინელი სიბინძურეა. მოუწყობელია ნაგავსაყრელები, გაუტანელია ნაგავი. მერიის კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც ქალაქში ამ პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს, უმოქმედოა. ამიტომ ჩვენ მათ, დამსახურებისამებრ, საჩუქრად "გიგანტურ ცოცხს" და დიპლომს გადავცემთ", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელმა დირექტორმა, რუსუდან სიმონიძემ.

ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, შალვა ბებოშვილმა "გულით მირთმეული" საჩუქარი არ მიიღო და "მწვანეებს" ქალაქის რაიონული გამგეობისკენ მიუთითა. "სამწუხაროდ, მისამართი შეგეშალათ. სანამ ამ აქციას დაგეგმავდით და ამხელა გზას ფეხით გამოივლიდით, აჯობებდა, ჯერ ის გაგერკვიათ, კეთილმოწყობის სამსახურის ფუნქციაში რა შედის და რა არა. თუ ვინმესგან რაიმეს მოთხოვნა გინდათ, რაიონის გამგეობებს მიმართეთ. ნაგავსაყრელზე რომ ნაგავი იქნება, არ იცით? თუმცა, თქვენ ისე ერკვევით ამ საკითხებში, როგორც მე - ჩინურში. ეს აქცია თავიდან ბოლომდე პროვოცირებულია", - განუცხადა ბებოშვილმა "მწვანეებს" და ურჩია, რაიონის გამგეობისთვის მიემართათ და ეს საჩუქარიც მათთვის მიეტანათ.

აქციის მონაწილეთა ლოზუნგმა - "საქართველოს დედაქალაქი ნაგავქალაქია! - მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსი, გივი რუხაძე ძალზედ აღაშფოთა: "მე როგორც მამა-პაპით თბილისელი კაცი, ძალიან შეურაცხყოფილი ვარ ამ ლოზუნგით და მიმაჩნია, რომ თბილისი ნაგავ-ქალაქი არ არის. აბა, სად ხედავთ ნაგავს?"

აღშფოთების მიუხედავად, ბატონმა გივიმ დღესასწაული არ დაივიწყა და "დედამიწის დღე" აქციის მონაწილე ქალბატონებს წითელი ვარდებით მიულოცა.

# მოსახლეობა „თბილგაზს" ველარ „გააცურებს"

ეთერ მამულაშვილი

*აპრილის თვეში ბუნებრივი აირის მომხმარებელ თბილისელებს მიმდინარე დავალიანებასთან ერთად 20-დან 100-მდე კუბური მეტრის გადასახადიც დაერიცხათ. "თბილგაზი" ამ გზით ამოღებული თანხით "იტერასადმი" მარტის თვის დავალიანების დაფარვას ცდილობს. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ დარიცხვების მეთოდი მომდევნო თვეებშიც გაგრძელდება.*

საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია "იტერასადმი" გასული თვის დავალიანებამ ექვს მილიონ ლარს გადააჭარბა. "თბილგაზმა" მარტის თვეში რუსეთიდან ბუნებრივი აირი 46.368.000 კუბური მეტრის მოცულობით მიიღო. საწარმოებსა და საცხოვრებელ სახლებში მრიცხველებზე დაფიქსირებულმა, მოხმარებული ბუნებრივი აირის საერთო მაჩვენებელმა კი თხუთმეტი მილიონიც ძლივს შეადგინა. ქსელში არსებული ტექნიკური დანაკარგები, ცალკეული ექსპერტების შეფასებით, ათ პროცენტსაც არ აღემატება. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის, ვახტანგ ცაავას თქმით, დანარჩენი ზოგიერთი ცუღლუტი მომხმარებლის და ინკასატორების წყალობით ქრება. იმის გამო, რომ დღეს არსებულ ბუნებრივი აირის მრიცხველზე ზემოქმედება ძალიან მარტივია, ვისაც ოდნავ მაინც ჩხირკედელობა ეხერხება, ყველა მშვენივრად ახერხებს "თბილგაზის" "გაცურებას". თუ არადა, ამ ფუნქციას მოსახლეობასთან "დაძმაკაცებული" ინკასატორებიც მარჯვედ ასრულებენ. სხვათა შორის, "თბილგაზში" ინკასატორებს ამისთვის არ კიცხავენ - პირიქით, გარკვეული ახსნა და გამართლებაც კი მოუძებნეს "უხელფასო ადამიანს ფულს რომ ანდობ, მოიპარავს, აბა რას იზამს", - აცხადებენ ორგანიზაციაში.

დღეიდან "თბილგაზის" "მოტყუება" არც ისე იოლი იქნება. უკანასკნელი რამდენიმე დღეა "თბილგაზის" თანამშრომლები ბუნებრივი აირის ყველა იმ მომხმარებელს, ვის მრიცხველზეც უმნიშვნელო მაჩვენებელია დაფიქსირებული, მიმდინარე დავალიანებასთან ერთად რამდენიმე კუბური მეტრის ღირებულების თანხასაც მიაწერენ. დარიცხვის მაჩვენებელმა 100 კუბურ მეტრს არ უნდა გადააჭარბოს და არც 20-ზე ნაკლები უნდა იყოს, ასეთია "თბილგაზის" დირექტივა.

იმის განსაზღვრას, თუ ვის რა რაოდენობის თანხა დაერიცხოს, "თბილგაზის" თანამშრომლები ოთახების, სულადობის და სახლებში დადგმული სიმძლავრეების მიხედვით არკვევენ.

ამის პარალელურად, "თბილგაზის" ტექნიკური თანამშრომლები მრიცხველების შემოწმებას იწყებენ და მასზე ზემოქმედების შემთხვევაში (ასეთი მრიცხველი კი, "თბილგაზის" ვარაუდით, 85-90 პროცენტი აღმოჩნდება), მოსახლეობას სერიოზული ჯარიმები დაეკისრება. ისინი კი, ვინც "მამა აბრამის" ბატკნები აღმოჩნდებიან, "თბილგაზის" თანამშრომლები დიდ ბოდიშს მოუხდიან და გადახდილ თანხას მომავალი თვის ბალანსზე დაუსვამენ.

ხსენებულ ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე "ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია და ქალაქის მერია "თბილგაზს" გადასახადების ამოღების ფიქსირებულ წესს არ დაუმტკიცებენ. ამის თაობაზე სემეკთან და მერიასთან უკვე, თითქმის, ერთი წელია მიმდინარეობს მოლაპარაკება.

# მე თქვენ დაგიმტკიცებთ!

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ამირან გამყრელიძე პოლიტიკურ პარტიებს ურჩევს, რომ ჯანმრთელობის სფეროს პროფესიული საკითხები პოლიტიკური სპეკულაციისათვის არ გამოიყენონ.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები განმარტავენ, პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია და მისი გაუქმება არ შეიძლება. ჯანდაცვის მინისტრი "ლეიბორისტული პარტიისა" და ნაციონალური მოძრაობის" წევრებს ღია დისკუსიისკენ მოუწოდებს, რათა მეცნიერულად დაუსაბუთოს მათ საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა.

*ინტერ-პრესი*

ვარ აფხაზეთის ომის ინვალიდი. მყავს 4 წლის დაბადებიდან ინვალიდი შვილი, საბა ენვერის ძე გაგნიძე, რომელიც საჭიროებს სისტემატურ, ძვირადღირებულ მკურნალობას და მასაჟებს.

გთხოვთ შემწეობას და წინასწარ გიხდით მადლობას.
ანგარიშის კოდი: 220101412;
ფიზიკური პირი: გაგნიძე ენვერი;
პირადი ანგარიში: 36010269;
ს/ს "საქართველოს სახალხო ბანკი",
ხაზინის ნომერი № 3.

# ენგურის ხიდზე მოწყობილ საგუშაგოზე მოსახლეობას ძარცვავენ



ენგურის ხიდი.

პირველი გვერდიდან

ვერ აცდება. არსებული სიტუაციით შეწუხებულმა მოსახლეობამ დახმარებისთვის პოლიციას მიმართა, მაგრამ მათ საჩივარს სამწუხაროდ, ჯერჯერობით, რეაგირება არ მოჰყოლია.

**"გემუდარებით, გვიშველეთ. თქვენი იმედიღა გვაქვს,"** – ნათქვამია გალის მოსახლეობის მიერ "24 საათისთვის" გამოგზავნილ წერილში.

**"ისედაც უკიდურესად გაჭირვებულ ხალხს ენგურის ხიდზე ველარ გაგვივლია. ხიდის თავში ჯერ რუსები გვჩხრეკენ და გვამცირებენ. შემდეგ ახალი უბედურება გველოდება. იქვე, 20 მეტრშია გახსნილი მეორე პოსტი, სადაც გალის პოლიციასთან ერთად დგანან შენგელიას ე.წ. "ასფალტის პარტიზანები" - ლევან ძძუა, ვინმე "კაბანა", ძმები კვირკველიები. მათი მეთაურები არიან დათო შენგელიას მარჯვენა ხელი, სლავიკ ბიგვავა და პოლიციელი ისკრა მალახია. ჩვენ, მოსახლეობა, გალიდან ზუგდიდში ვერ ჩავდივართ, რადგან, ფაქტობრივად, ისინი გვძარცვავენ; გვართმევენ პროდუქტებს; გვეუბნებიან, პარტიზანებს სჭირდებათო; ხიდზე გასასვლელად დაწესებული აქვთ გადასახადი – 2-3 ლარი. თუ თანხას არ გადავიხდით, გვჩხრეკენ, შეურაცხყოფას გვაყენებენ, საცვლებსაც კი გვიმოწმებენ; თუ გადამალული ფული იპოვეს, კაპიკს არ გვიტოვებენ. არსებული სიტუაციის თაობაზე პოლიციას მივწერეთ წერილი, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ.**

**ისინი ენგურის ხიდზე ყოველ დღე, 10-დან 6 საათამდე დგანან; შეგიძლიათ, ჩამობრძანდეთ და ადგილზე შეამოწმოთ სიტუაცია,"** – წერია გალელი ქალბატონების: ნელი ყოლბაიას, კლარა ზუხუბაიას, მანანა გელენავასა და ემა ფიფიას ბარათში.

ენგურის ხიდზე არსებულ სიტუაციას არ უარყოფენ არც ძალოვანები და არც პარტიზანები. ოღონდაც, რატომღაც არც ერთი მათგანისთვის ცნობილი არ არის, ვის ეკუთვნის საგუშაგო და ვინ ძარცვავს ხალხს.

**"ვერ გეტყვით, ვინ არის ის ხალხი, ვინც ასეთ რამეს აკეთებს. ისკრა მალახიას სახელი არც გამიგია... მართალია, არა ასეთი სიმძაფრით, მაგრამ ეს პრობლემა რეალურად მართლაც არსებობს. წლის შედეგების შეჯამებისას, კოლეგიაზე დავსვი ეს საკითხი და მოვითხოვე ოფიციალურად გახსნილიყო საგუშაგო, რომელიც იქ სიტუაციას გააკონტროლებს და წესრიგს დაამყარებს. ამ საკითხის თაობაზე წერილი მივწერე შს მინისტრსაც. მან თანხმობა განაცხადა და ერთ კვირაში ეს პრობლემა მოგვარდება. ენგურის ხიდზე გაიხსნება საგუშაგო, სადაც დადგებიან არა ვიღაცეები, არამედ ფორმიანი ხალხი – აფხაზეთის შს სამინისტროსა და სამხარეო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც იქ წესრიგს დაამყარებენ,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ.

ზუგდიდის პოლიციის უფროსი მამუკა შონია კი ირწმუნება, რომ პოლიცია ასეთ დანაშაულს არ ჩადის, **"ეს გამორიცხულია, არ არსებობს ასეთი რამ; პოლიცია წესრიგს ამყარებს და იცავს. აბსურდია ისიც, თითქოს ამას შენგელიას ხალხი აკეთებდეს. ვიღაც ინტრიგანი თუ მოიგონებს მსგავს ისტორიას.**

**საერთოდ, სიტუაცია ენგურის ზოლზე არ არის დალაგებული. პოლიცია ვერ ახერხებს, თავის ძალებით გააკონტროლოს 60კმ-იანი მონაკვეთი. ეს ძალიან ძნელია. აქ ათასი ჯურის ხალხია თავმოყრილი, იყო ძარცვის შემთხვევებიც, მაგრამ აღვძარით საქმეები. ახლა ერთობლივი საგუშაგო გაიხსნება, რომელიც აკრძალავს ხიდზე ვიღაც-ვიღაცეების დგომას,"** – ამბობს მამუკა შონია.

რაც შეეხება ძარცვაში ბრალდებულ პარტიზანულ დაჯგუფებას: გალელების მიერ "ასფალტის პარტიზანებად" მონათლული დაჯგუფების - "ტყის ძმების" ლიდერი, გალის რაიონის გამგებლის მოადგილე დავით შენგელია ენგურის ხიდზე გაჩაღებული ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტს არ უარყოფს, თუმცა პარტიზანებისთვის წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად გამორიცხავს. **"ენგურის ხიდზე ძალიან ცუდი სიტუაციაა. ეს არ არის დასამალი. შესაბამისად, ხალხი უკმაყოფილოა. მაგრამ ჩემი ხალხი ამას არ აკეთებს - ეს სისულელეა. მართალია, ბიგვავა პარტიზანია, მაგრამ არა "ტყის ძმების" წევრი. თანაც არ არსებობს, ბიგვავა ასეთ საქმეს არ იკადრებს. ისევე, როგორც სხვა პარტიზანები არ წავლენ ასეთ რამეზე. ენგურის ხიდზე უბედურება ხდება, მაგრამ ვინ აკეთებს ამას, ვერ გეტყვით. ჩემთვის ცნობილია, რომ ისინი პარტიზანთა სახელს იყენებენ, ამიტომაც მქონდა კობა ნარჩემაშვილთან საუბარი და მალე ენგურის ხიდზე საგუშაგო გაიხსნება, რომელიც სიტუაციას გააკონტროლებს. საგუშაგოს შენობის რემონტი უკვე ჩატარდა და ის მალე ამოქმედდება. თანაც, გარდა სამართალდამცველებისა, პოსტზე მოსახლეობის წარმომადგენლებიც დადგებიან,"** – აცხადებს დავით შენგელია.

ერთი სიტყვით, პოლიციისა და პარტიზანული დაჯგუფების მეთაურები გალის მოსახლეობის მიერ წერილში აღწერილ ვითარებას არ უარყოფენ, მაგრამ რატომღაც ვერავინ ასახელებს კონკრეტულ დამნაშავეებს და ვერც იმას, თუ რატომ არ იღონეს აქამდე არაფერი. ვნახოთ გამოასწორებს თუ არა სიტუაციას ახალი საგუშაგო და ერთ ხორცმეტს მეორე ხომ არ ჩაენაცვლება.

# ფრთხილად პოლიციაა!

ტვინის შერყევა, ნაკვეთი ჭრილობები, ბლაგვი საგნით მიყენებული დაბეჟილობები თავის არეში – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებმა გუშინ, გვიან ღამით, საავადმყოფოში მიყვანილ ორ ახალგაზრდას – დიმიტრი მამულაშვილსა და მამუკა კვესელაძეს.

დაზარალებულთა ოჯახის წევრები და ახლობლები მამულაშვილისა და კვესელავას მიმართ ფიზიკურ ძალადობაში ბრალს სდებენ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებს და აცხადებენ, რომ საკუთარი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მყოფი ახალგაზრდები უმიზეზოდ გახდნენ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი პოლიციელების მსხვერპლნი. **"ბავშვებს გამოეკიდნენ, სასტიკად და დაუნდობლად სცემეს ხელკეტებით და სასიკვდილოდ გაიმეტეს ისე, არც კი უთქვამთ რა უნდოდათ",** - ირწმუნებიან მამულაშვილისა და კვესელაძის ახლობლები.

**"ახალგაზრდები ვიღაც უცნობებმა სცემეს. პოლიციელთა დანაშაული, ჯერჯერობით, არ იკვეთება. ყველაფერს დავადგენთ, საქმეში ჩაერთო გენერალური ინსპექცია. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა მომხდართან დაკავშირებით ყველაფერს გაარკვევს და იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სამართალდამცველთა ბრალეულობა, შესაბამის ზომებს მივიღებთ",** - აცხადებენ ვეკე-საბუთალოს რაიონის პოლიციაში. სამართალდამცველები იმასაც ირწმუნებიან, რომ თავად ნაცემი ახალგაზრდები უარყოფენ ახლობლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პოლიციელთა მხრიდან თავდასხმისა და ცემის შესახებ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მამულაშვილისა და კვესელაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მკურნალი ექიმები, ჯერჯერობით, მათი დაკითხვის უფლებას სამართალდამცველებს არ აძლევენ.

ბოლო ორი დღის განმავლობაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ქუჩაში სასტიკად ნაცემები საავადმყოფოებში ხვდებიან სხვადასხვა მძიმე დაზიანებით და დანაშაულში პოლიციელებს ამხელენ. მხილების საპასუხოდ კი სამართალდამცველებს პასუხი გამზადებული აქვთ: **"მოკვლევა ყველაფერს დაადგენს, დამნაშავეები დაისჯებიან",** – ამ სიტყვებით იწყება და მთავრდება პოლიციელთა ახსნა-განმარტებები ბოლო ორ დღეში გამართულ ცემა-ტყეპასთან დაკავშირებით.

# პატიმართა აქციას გამოეხმაურნენ

ქვეყნის სხვადასხვა საპყრობილეში დღეს 700-მდე ვეტერანი პატიმარია, რომლებიც საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 20 აპრილის დადგენილების შეუსრულებლობას აპროტესტებენ. ეს დადგენილება მათთვის სასჯელის ზომის შემსუბუქებას და გარკვეული შეღავათების დაწესებას ითვალისწინებდა, მაგრამ შეღავათი დღემდე ყველა ყოფილ მეომარ პატიმარზე არ გავრცელებულა. სწორედ ამიტომ, ხონის კოლონიაში მოშიმშილე ყოფილმა მეომრებმა, რომლებიც თითქმის ერთი თვეა, რაც პროტესტის ნიშნად შიმშილობენ, ორშაბათიდან მშრალი შიმშილობა გამოაცხადეს.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის განცხადებით, ამჟამად მშრალ შიმშილობაზე კოლონიაში 43 ყოფილი მეომარი პატიმარი გადავიდა, რომლებსაც ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ლოთი ქობალიაც შეუერთდა.

ჩვენი ინფორმაციით, მოშიმშილეები ერთ ოთახში არიან ჩაკეტილნი და აქციის შეწყვეტას მანამდე არ აპირებენ, ვიდრე მათზე შეღავათების გავრცელების მიზნით, რეალური ნაბიჯების გადადგმა არ დაიწყება.

თუმცა, როგორც გუშინ ნანა კაკაბაძემ განაცხადა, ვეტერანი პატიმრების ამნისტიისა და მათთვის სასჯელის ზომის შემსუბუქების საკითხი მკვდარი წერტილიდან დაიძრა და უახლოეს მომავალში გადაწყდება კიდეც.

კაკაბაძის თქმით, ვეტერანი პატიმრების პრობლემებთან დაკავშირებით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რუსუდან ბერიძე ახლახან საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა და მისგან ვეტერან მსჯავრდებულთათვის გარკვეული შეღავათების დაწესების პირობა მიიღო. მისი თქმით, პრეზიდენტი შეღავათების გავრცელებაზე დათანხმდა, რისთვისაც მან რუსუდან ბერიძეს, სახალხო დამცველსა და პარლამენტარ გიორგი ყარყარაშვილს, რომელიც აღნიშნული კატეგორიის პატიმრების საკითხზე მუშაობდა, დაავალა შეიკრიბონ და ერთად გადაწყვიტონ, თუ რომელ პატიმარზე რა სახის შეღავათები უნდა გავრცელდეს.

**"ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოზადებული პროექტი სტიმული გახდა იმისათვის, რომ ვეტერან პატიმართა პრობლემების მოგვარების პროცესი ადგილიდან დაძრულიყო",** - აღნიშნა კაკაბაძემ. მისივე თქმით, კანონპროექტი, რომელიც მისმა ორგანიზაციამ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს გაუგზავნა, ვეტერან პატიმართა ეტაპობრივ გათავისუფლებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაცია ომის მონაწილე ყველა მსჯავრდებულისთვის სასჯელის დარჩენილი ვადის ერთი მესამედით შემცირებას ითხოვს.

*"24 საათი"*

# ვაზიანის სამხედრო პროკურატურა ექსპერტიზის დასკვნას უცდის

ქვემო ქართლის სამხარეო სამხედრო პროკურატურამ გუშინ სისხლის სამართლის საქმე აღძრა თავდაცვის სამინისტროს ორთაჭალის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტზე, რომლის დროსაც 21 წლის გიორგი კავთუაშვილი საყარაულო ოთახში აკმ-ის სისტემის ავტომატიდან გასროლით მძიმედ დაიჭრა.

თავდაპირველად მომხდარი შემთხვევითობას მიაწერეს. გუშინ კი სისხლის სამართლის საქმე ვაზიანის სამხედრო პროკურატურამ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით აღძრა, რაც სხეულის განზრახ მძიმე ხარისხის დაზიანებას გულისხმობს და 1-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

"გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, კავთუაშვილს იარაღი შემთხვევით გაუვარდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მას ესროლეს. ინციდენტის მიზეზების დადგენა სასამართლო და სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნების მიღების შემდეგ გახდება შესაძლებელი," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ვაზიანის სამხედრო პროკურორმა მამუკა ცაავამ.

ჩვენი ინფორმაციით, უკვე დაკითხულია ინციდენტის შემსწრე რვა ჯარისკაცი. თავად დაზარალებულის დაკითხვა კი მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. გიორგი კავთუაშვილი ისევ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება, სადაც მას სასწრაფო ოპარაცია გაუკეთეს.

ერთი სიტყვით, ვაზიანის სამხედრო პროკურატურას გარკვეული ინფორმაცია უკვე გააჩნია დაკითხული მოწმეების ჩვენებების საფუძველზე; თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯარისკაცთა დაკითხვის დეტალები ჯერ არ ხმაურდება.

# იუსტიციის მინისტრი ახალგაზრდა კადრებს აწინაურებს



იუსტიციის მინისტრმა სააღსრულებლო ბიუროს ახალი თავმჯდომარე დანიშნა.

თამარ კაციტაძე

იუსტიციის სამინისტროში საკადრო ცვლილებები გრძელდება. სააღმსრულებლო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ გადაყვანის შემდეგ გამოთავისუფლებულ თანამდებობაზე 27 წლის ალექსანდრე ტუშური დაინიშნა.

**"ალექსანდრე ტუშური პერსპექტიული ახალგაზრდაა. მჯერა, რომ იგი წარმატებით გაართმევს თავს ამ რთულ სამსახურს და გააგრძელებს იმ რეფორმატორულ კურსს, რომელიც ჩვენ ამ სისტემაში დავიწყეთ",** - აღინიშნა იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა, რომელმაც გუშინ ახალი თავმჯდომარე კოლეგებს წარუდგინა.

თუმცა, ტუშურისათვის აღნიშნული სისტემა უცხო არ არის. იგი ბოლო ერთი წლის მანძილზე დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

პირველი კლასის იურისტი - ტუშური, რომელიც რამდენიმე უხო ენას ფლობს, იუსტიციის სამინისტროში საგარეო საქმეთა სამინისტროდან მივიდა და დღემდე საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო – სამართლებრივ დეპარტამენტთან არსებული სამეცნიერო – საკონსულტაციო საბჭოს წევრია.

**"დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის. ყველაფერს გავაკეთებ კოლექტივთან ერთად, რათა გავაგრძელო ის გზა, რასაც სააღსრულებლო დეპარტამენტი და, საერთოდ, იუსტიციის სამინისტრო ადგას და თქვენს მიერ გამოცხადებული ნდობა გავამართლო",** - დაჰპირდა მინისტრს ახალი სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც დღეიდან ასევე ახლად დანიშნულ პირველ მოადგილესთან – გიორგი ჩალათაშვილთან და სხვა დაწინაურებულ თანამშრომლებთან ერთად მოუწევს მუშაობა.

**"სააღმსრულებლო დეპარტამენტში საკადრო ცვლილებები ამით არ დასრულდება. ჩვენ მომავალშიც დავაწინაურებთ იმ თანამშრომლებს, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას",** - სტიმული მისცა სააღმსრულებლო დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებს როლანდ გილიგაშვილმა.

# კონტრაბანდა ბიუჯეტის სასარგებლოდ

ქვემო ქართლის სამართალდამცველებმა ხუთი ავტომანქანა დააკავეს. მათ მფლობელებს აზერბაიჯანიდან საქართველოში კონტრაბანდული საქონელი შემოჰქონდათ.

ქვემო ქართლის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა დაკავებული მანქანები ლილოს ტერმინალზე გადაიყვანეს, სადაც საქონელს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპრეტიზის დასკვნის თანახმად, კონტრაბანდული საქონლის საერთო ღირებულება 50 ათასი ლარია.

ქვემო ქართლის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის უფროსის გოდერძი ჩაქსელიანის ინფორმაციით, 20 დღის განმავლობაში წითელი ხიდის საბაჟოზე დაკავებული კონტრაბანდული საქონლიდან ბიუჯეტში 25 ათასი ლარი შევიდა. კონტრაბანდის წინააღმდეგ ქვემო ქართლის შესაბამისი სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად კი ქვეყნის ხაზინას 110 ათასი ლარი შეემატა.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**ახმეტა.** 20 აპრილს, გვიან ღამით, ახმეტის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს დაჭრილები - პაატა ნაკუდაიძე და არკადი სულაკაური. პაატა ნაკუდაიძე მიყენებული ჭრილობებით საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, აღნიშნული პირები ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით დაჭრა ზურაბ კახოიძემ, რომელიც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საქმეს ახმეტის რაიონის პროკურატურა იძიებს.

იმავე დღეს მკვლელობა ახმეტის რაიონის სოფელ მატანშიც მოხდა. შინაგან საქმეთა ახმეტის რაიონულ განყოფილებას შეატყობინეს, რომ საკუთარ საცხოვრებელ ბინაში აღმოაჩინეს სოფელ მატანში მცხოვრები იმედა ხოხობაშვილის გვამი, რომელსაც თავისა და მარჯვენა ფეხის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები ჰქონდა მიყენებული. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა ამავე სოფლის მცხოვრებმა, ადრე ნასამართლევმა ნიკოლოზ მამუკელაშვილმა. საქმეს ახმეტის რაიონის პროკურატურა იძიებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილი ასამდე პირი დააკავეს კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში", - აცხადებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზურაბ ტუშური. მისი თქმით, დაკავებულთა შორის არიან ქურდობის, ყაჩაღობის, მკვლელობისა და ადამიანის გატაცებისათვის ძებნილი პირები. რაც შეეხება პანკისის ხეობას, სამხარეო პოლიციის უფროსის თქმით, იქ ამჟამად სიტუაცია სტაბილურია. პოლიცია დასახული გეგმის შესაბამისად მოქმედებს, რათა ხეობაში არსებული პრობლემები საბოლოოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან. ყოველდღიურად ხორციელდება სამძებრო ღონისძიებები. ოპერატიული ინფორმაციების გადამოწმების მიზნით ხდება ბინების ჩხრეკაც.

"პოლიცია კვლავაც აქტიურად მუშაობს ორი წლის წინ გატაცებული ბერის ბასილ მაჩიტაძის გათავისუფლებისა და მისი ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით და ვიდრე საქმე ბოლომდე არ იქნება მიყვანილი, აღნიშნულ საკითხზე სამხარეო პოლიცია პასუხისმგებლობას არ მოიხსნის", - ამბობს ტუშური. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქსნის N7 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში შიდსით ინფიცირებულ პატიმართა გამოსავლენად სამედიცინო გამოკვლევა ჩატარდა. აღნიშნულ კოლონიაში 200 პატიმარი გამოიკვლიეს და არც ერთ მათგანს შიდსის ვირუსი არ აღმოაჩნდა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, შიდსით ინფიცირებულ პატიმართა გამოსავლენად იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ცენტრი გამოკვლევებს გასული წლის დეკემბრიდან ატარებს. შიდსით ინფიცირებულ პატიმართა გამოკვლევა მომავალშიც გაგრძელდება და იგი ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებას მოიცავს. ამ დრომდე უკვე შემოწმდა თბილისის N5 საპყრობილე, ბათუმის, ქუთაისის საპყრობილეები და ქალთა კოლონია.

ამჟამად შიდსით ინფიცირებული 8 პატიმარი იხდის სასჯელს. ადრე 19 პატიმარი იყო დაავადებული, ზოგიერთი მათგანი გათავისუფლდა, ზოგი კი გარდაიცვალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციამ ჩაატარა მონიტორინგი, რომლის მიზანი კოლონიაში პატიმრების სოციალური მდგომარეობის შესწავლა იყო. როგორც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი გიორგი თევზაძე აცხადებს, კოლონიაში სასჯელს 26 არასრულწლოვანი მსჯავრდებული იხდის. იქ ფუნქციონირებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, სასადილოში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საცხოვრებელი შენობა, სადაც პატიმრები არიან განთავსებულნი, წესრიგშია.

ე.წ. „კარცერში", რომელიც შენობის პირველ სართულზეა, კოლონიის ხელმძღვანელობის თქმით, ჯერჯერობით, არც ერთი არასრულწლოვანი არ მოხვედრილა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მცხეთა-მთიანეთი**. მცხეთა-მთიანეთის შს სამხარეო სამმართველოსა და სხვა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა მცხეთის რაიონის სოფელ მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს გორში მცხოვრები რევაზ ანანიაშვილი, რომელმაც გურამიშვილის გამზირიდან გაიტაცა ნიკოლოზ ასათიანის კუთვნილი „მერსედესის" მარკის ავტომანქანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მარტვილი.** მარტვილის რაიონის პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა განზრახ მკვლელობისათვის ძებნილი, 44 წლის ნინო კახნიაშვილი, რომელმაც წლეულს, 9 მარტს, ნაჯახით მოკლა მეზობელი, 79 წლის ნიკანდრო ძიძიგური. **მედია-ნიუსი**

# ჯეი გარნერი - მგელი ფარაში


აღდგენისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის ხელმძღვანელის, ჯეი გარნერის პირველი დღე ერაყში.
REUTERS

მელორ სტურუა
აშშ, მინეაპოლისი

იანვარში, როდესაც თეთრ სახლს ერაყის ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავდაცვის მინისტრის, დონალდ რამსფელდის წარდგენით, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ჯეი გარნერი აღდგენისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისის ხელმძღვანელად დანიშნა (office of reconstuction and humaniterian assistans). ამ, ერთი შეხედვით, კეთილშობილური დასახელების უკან ერაყის ომის შემდგომი ამერიკული სტრუქტურაა დაფარული, რომელშიც მის ხელმძღვანელს პროკონსულის ან, თუ გნებავთ, ვიცემეფის როლი აკისრია. ეს სამსახური გარნერს "ავალებს," ჰერკულესის შესაფერი გმირობები ჩაიდინოს – რადაც უნდა დაუჯდეს, გაადემოკრატიულოს ერაყი, შექმნას ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები და ამ ქვეყნის ეკონომიკა ააღორძინოს, რასაკვირველია - ერაყელი ხალხის ნებით.

უახლოეს თვეებში გარნერი ყველაზე "გამოჩენილი" ამერიკელი იქნება არა მარტო ერაყში, არამედ - მთელ შუა აღმოსავლეთში, ასე ვთქვათ, ერაყელი დუგლას მაკარტური გახდება. მაინც ვინ არის ის და საიდან მოვიდა?

მის ბიოგრაფიას ძალიან ნუ ჩავუღრმავდებით და ვიეტნამით დავიწყოთ. გარნერი იქ ორჯერ მსახურობდა (1967-68 და 1971-78 წლებში). პირველ ჯერზე ქვეითთა შენაერთების მრჩეველი იყო; მეორედაც მრჩეველი იყო ეგრეთ წოდებული სტრატეგიული დასახლებების შექმნის დარგში - ვიეტნამის მოსახლეობის ყრუ სოფლებიდან ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასახლებას მეურვეობდა. ვიეტნამში გენერალმა ერთობ საგულისხმო გამოცდილება შეიძინა. მისივე თქმით: "ვიეტნამში ჩვენი წარუმატებლობა საომარ სტრატეგიაში დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა. ძალიან დიდი დრო დავუთმეთ "მოთელვას". საომარი მოქმედებები ჩრდილოეთისკენ უნდა გაგვეგრძელებინა, სამხრეთში კი არ უნდა ვმდგარიყავით. ჩვენი პრეზიდენტი მაშინაც უმცროსი ბუში რომ ყოფილიყო, იმ ომს მოვიგებდით." მოკლედ – "ვივა ცეზარ"! – როგორც პროკონსულს შეეფერება. "ჩვენ იმით გამოვირჩევით, რომ ერებს მივუთითებთ, რა უნდა აკეთონ. მაგალითად - ვიეტნამში სტრატეგიული დასახლებების მშენებლობა",- ამბობს გარნერი. ერთი სიტყვით, ამ მხრივ, გენერალს გამოცდილება არ აკლია.

1994 წლიდან, 1996 წლის ჩათვლით, გარნერი აშშ-ს თავდაცვის კოსმიურ და სტრატეგიულ სარდლობას ხელმძღვანელობდა ანუ "ვარსკვლავური ომების" მწვავე სტრატეგიაში იყო ჩართული. ამ პოსტზე ყოფნისას ის ფრიად დაუახლოვდა რამსფელდს, რომელიც სარაკეტო თავდაცვას ედგა სათავეში (ახლა ისინი, თითქმის, ყოველდღე საუბრობენ ვიდეოტელეფონით). "ვარსკვლავური ომების" გენერალმა კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარა სამხედრო სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით – კალიფორნიულ ფირმა "საი ტექნოლოჯისთან" ("საი კოულმენთან"), რომელიც რაკეტების ("პატრიოტის") წარმოებით იყო დაკავებული. ეს რაკეტები ორჯერ გამოიცადა ერაყში - 1991 და 2003 წელს.

"პატრიოტულად" განწყობილმა გენერალმა გადადგომა ( 1997 წელს) და პენტაგონის მიტოვება განიზრახა. გარნერი "საის" პრეზიდენტი გახდა, რაც საწარმოს საქმეებზე ერთობ დადებითად აისახა. თუ 1999 წელს ფირმა 8,5 მილიონის ღირებულების სამთავრობო კონტრაქტებს ფლობდა, 2001 წლისთვის ეს თანხა უკვე 46,8 მილიონს გაუტოლდა. შეკვეთები პენტაგონიდან, გენერლის ყოფილი სამუშაო ადგილიდან მოდიოდა – სპეციალური პრეფერენციით... მცირე ბიზნესი, რომელსაც " კონტრაქტორის უპირატესობა არ გააჩნდა"! გასულ წელს "საი" სხვა სამხედრო კომპანიას, "L- კომუნიკეიშენზს" შეერწყა. "ბიზნესმენის კარიერა სიამოვნებას მანიჭებდა, რადგან ამ ბიზნესში ჩემი ბევრი სამხედრო "ძუძუმტე" იყო ჩაბმული, თან – უამრავ ფულსაც ვშოულობდი,"- სრულიად გულახდილად აღიარებს ერაყის პროკონსული.

ფირმამ გარნერი უკან, პენტაგონში მიავლინა უვადო, მაგრამ ანაზღაურებული შვებულებით. ის საწარმოს პრეზიდენტად რჩება, რასაც ინტერესთა კონფლიქტი ახლავს, რადგან ფირმა სადაზვერვო მიზნებისთვის საჭირო აღჭურვილობას აწარმოებს (ეს რაკეტების გარდა), რომელიც ახლა მთელ ერაყში გამოიყენება. პოლიტიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორის, ჯონ კავანახის თქმით, "გარნერს სრულიად არ გაეგება, როგორ უნდა მოეწყოს დემოკრატიული საზოგადოება. მან მხოლოდ იარაღის სისტემების აწყობა და ადამიანების დახოცვა იცის." პენტაგონიდან წასულმა გარნერმა "საი" მხოლოდ რაკეტებთან კი არა, ერაყთანაც დააკავშირა, იქ დაბრუნებულმა კი, უკვე ერთი თვის თავზე, საკუთარი ფირმის პრაქტიკაში ყველაზე დიდი, 1,5- მილიონიანი შეკვეთა ჩამოიტანა – ერაყისა და მისი "შემოგარენის" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის.

2001 წელს "საი ტექნოლოჯის," ის-ის იყო, მრავალმილიონიანი, კონკურსგარეშე კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, მაგრამ საქმე ჩაშალა პოდპოლკოვნიკმა, ვინმე ბილ ბეიკერმა, ინსპექტორმა, რომელიც პენტაგონის ერთ-ერთმა თანაკონტრაქტორმა დაიქირავა. სკანდალი პრესაში გახმაურდა. ნათლიმამობისთვის მხილებულმა გენერალმა პოდპოლკოვნიკს სასამართლოში უჩივლა, დეფამაციის გამო. გენერალი ირწმუნებოდა, რომ მისი გარიგება აშშ-ს მთავარი სამეცნიერო სამმართველოს მიერ იყო შემოწმებული და ნებადართული. მაგრამ, სამეცნიერო სამმართველომ განაცხადა, რომ მას არანაირი შემოწმება არ ჩაუტარებია. ამის შემდეგ გარნერი იმის მტკიცებას მოჰყვა, თითქოს მოშურნეებს მისი დასჯა უნდოდათ. "შეკვეთების მისაღებად მეგობრებთან მე კი არ მივდივარ (პენტაგონში.- მ.ს.), თვითონვე მიკვეთავენ, ჩემი ხვეწნის გარეშე," - ამბობდა ის. როგორც გაირკვა, ეს ჩვენი გენერალი, ბიზნესმენობის გარდა, სოფისტიც ყოფილა.

ამჯერად ერაყის ვიცე-მეფეს კიდევ ერთ საქმეს აბრალებენ. "საის" კონკურენტი კომპანია "Dese რისერჩი" მას ბრალად სდებს, რომ გარნერმა, თავის ყოფილ პენტაგონელ ხელქვეითებზე ზეწოლით, მათი კუთვნილი შეკვეთები "საისკენ" "გადაქაჩა."

როგორც Dese-ს ადვოკატმა, ხოუველ რიგსმა განაცხადა, ეს საქმე უმოკლეს დროში სასამართლოს გადაეცემა. გარნერს და "საის" ბრალად ედებათ "უკანონო ჩარევა, სიცრუე და შეთქმულება". ჟურნალი "ნეიშენალი" გარნერის ერთ-ერთი პარტნიორის სიტყვებს აქვეყნებს: "ჯეი უკიდურესად აგრესიულია. კონტრაქტის მისაღებად ყველაფერზე მიდიოდა და საჭიროების შემთხვევაში პენტაგონურ ნაცნობობასაც იყენებდა." ამ საქმეში გარნერი მარტო არ არის. გავიხსენოთ, თუნდაც, ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის კავშირი "ჰოლიბარტონთან", ან რიჩარდ პერლთან დაკავშირებული ამასწინდელი აურზაური.

ჯეი გარნერს კიდევ ერთი უდავო, სადამის შემდგომი ერაყის მფარველი ანგელოზისთვის აუცილებელი "ღირსება" ახასიათებს - მას ახლო ურთიერთობა აქვს ისრაელის "ქორებთან," რომელთაც ის "ეროუსა" და "პატრიოტის" რაკეტების კომპონენტებით ამარაგებდა. კონსერვატიული გონებრივი ტრესტის – "ებრაული ნაციონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის" დაფინანსებით, 1998 წელს გარნერი ისრაელში იმყოფებოდა. მისი ხელმოწერები ზოგიერთ ანტიპალესტინურ დეკლარაციასაც ამშვენებს. "გენერალ გარნერის ერაყში დანიშვნა უხეში პოლიტიკური შეცდომაა,"- მიაჩნია ხუსეინ აიბიშს, ამერიკულ-არაბული კავშირის ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის დირექტორს. მისივე თქმით, არაბული სამყაროს თვალში, ამერიკის მიერ ერაყის ოკუპაცია ისრაელისგან დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციას დაემსგავსება. ესღა გვაკლდა! გარნერი ჯერ ისევ კუვეიტურ "ხიტონში" გახლდათ გამოწყობილი, როცა ზოგიერთ არაბულ წრეში მოძრაობა დაიწყო, ლოზუნგით – "შეაჩერეთ ჯეი გარნერი!"

ერაყის მომავალი პროკონსული ამ ქვეყანას მხოლოდ რუკებიდან და წიგნებიდან არ იცნობს. სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ პენტაგონში გაახსენდათ, რომ გენერალი ვიეტნამში სამხედრო დასახლებების დამფუძნებელი იყო და გადაწყვიტეს, იგი ჩრდილოეთ ერაყში, ქურთ მოსახლეობასთან მიევლინათ. იქ ის მეთაურობდა კამპანიას, რომელსაც ოპერაცია "პროვაიდ კომფორტი" უწოდეს. გენერალი ქურთებს იმდენად წარმატებულად ამშვიდებდა, რომ ამ უკანასკნელებს მისი გამოშვებაც კი არ უნდოდათ. გარნერს იქ მართლაც ხელის გულზე ატარებდნენ - როგორც ცეზარს, ან უფრო პოლიტიკურად, როგორც ლოურენს ქურთს, იმ იმედით, რომ ის დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას შეუწყობდა ხელს. გენერალი, რა თქმა უნდა, ასე არ მოქცეულა და ერაყელებსაც არ დავიწყებიათ ეს, ისევე, როგორც არ დავიწყებიათ მომავალი მბრძანებლის თავგამოდება ისრაელში.

გასულ ოთხშაბათს, 15 აპრილს ნაზარიაში ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მიერ მთელი მსოფლიოდან მოკრებილი ერაყში მოღვაწე პირების შეხვედრა შედგა. ქილაში გამომწყვდეული ობობების ამ შეკრებას ჯეი გარნერი თავმჯდომარეობდა. გენერალი გაცისკროვნებული გახლდათ. მან ნაზარიულ თავყრილობებს "ასწლეულების განმავლობაში პირველად შემდგარი დიალოგის სეზონის გახსნა" უწოდა. ობობებს შორის რაიმე უთანხმოება მას არ აშინებს. "მეეჭვება, რომ 1797 წელს ფილადელფიაში შეკრებილებსაც სულ სიამტკბილობა ჰქონდათ. როცა დიალოგი იწყება, დაძაბულობასა და ზეწოლას ვერ ასცდები", - ამბობს გენერალი. ნუთუ ნაზარიაში შეკრებილი ერაყში მოღვაწე ამერიკელები მას მართლაც თანამედროვე ჯეფერსონები, ფრანკლინები, ადამსები და შეერთებული შტატების დამაარსებელი სხვა "ერის მამები" ჰგონია, საკუთარი თავი კი - გენერალი ჯორჯ ვაშინგტონი?

საგულისხმოა ის დეტალიც, რომ ეს შეკრება შიგ ნაზარიაში კი არ მიმდინარეობდა, არამედ უძველეს ქალაქ ურში, ჩარდახგადაფარებულ ადგილას - იქ, სადაც ბიბლიური აბრამი დაიბადა. ნეტავ როდესმე თუ წარმოიდგენდა იგი, რომ სადამი ამ ადგილას სამხედრო-საჰაერო ბაზას მოაწყობდა, "ამერიკის დამფუძნებელი მამები" კი სპეცრაზმებისა და მშვიდობიანი ქვეითების გაძლიერებული დაცვის იმედად შეიკრიბებოდნენ?

გენერალი გარნერი ისევე ჰგავს წმინდა აბრამის კრავს, როგორც სადამ ჰუსეინი – ჯორჯ ვაშინგტონს. შეკრების ბოლოს გენერალმა ხოტბა შეასხა არაბ ხალხს: "არაბები ისეთივე ხალხია, როგორც ჩვენ – ამერიკელები. მათ ჰყავთ თავისი ინტელიგენცია; გამოცდილი ვაჭრები არიან; უთვალავ სიმდიდრეს ფლობენ; ინიციატივიანები არიან და ორგანიზებულები, თუმცა, საუკუნის მეოთხედი ჩალით დახურულ ქვეყანაში გაატარეს." შემდეგ მან გამოთქვა იმედი, რომ ამ ჩალის საფარს მალე ამერიკელი პროკონსულის მფარველობა შეცვლის და ერაყელებიც გადემოკრატდებიან.

გარნერს მიაჩნია, რომ ერაყს ახალი ვალუტა ესაჭიროება. ამიტომ მან აშშ-დან ფინანსთა სამინისტროს ექსპერტები ჩაიყვანა. "ერთი კითხვა მინდა დავუსვა ერაყელებს: როგორი ვალუტა გინდათ გქონდეთ და, კუპიურებზე ვისი სურათების ხილვას ისურვებდით"? – კითხულობს გენერალი. სადამის გამოსახულებიანი დინარი ჯერ ისევ ბრუნავს ერაყში. გენერალი ფულის გამყალბებლებს უფრთხის: "არ ვიცით, სადაა მატრიცები", - ამბობს ის ( მასიური განადგურების იარაღის ადგილ-სამყოფელი თუ ვიცით?)!

გადამდგარ გენერალს და "სეი ტექნოლოჯის" პრეზიდენტს, ჯეი გარნერს, თუნდაც უკვე ერაყის პროკონსულად დანიშნულს, კარგად ესმის, რომ ახალ დინარს მისი ფოტო არ დაამშვენებს, ისევე, როგორც იაპონურ იენზე არ არის მაკარტურის ფოტო. არადა, მაკარტურს რომაელი ცეზარების პროფილი ჰქონდა, გარნერივით გაბუშტული ცხვირი კი არა! მგონი, გარნერი ამას უნდა განიცდიდეს. მთავარი კი ისაა, რომ ეს მგელი იმ ფარაში შეუშვეს, რომლის მოშენებაზეც ყოველწლიურად 20 მილიარდი დოლარი გამოიყოფა (კუპიურებზე პრეზიდენტის სახის ოვალით).



www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ვერ მოვერევით ამ სისტემას, თუ არ ვიქნებით ბევრნი

*წიგნის საერთაშორისო და ლიტერატურული პრემია "საბა"-ს დაჯილდოების დღეს ერთი და იგივე ადამიანი ემთხვევა - საქართველოს ეროვნული (საჯარო) ბიბლიოთეკის დირექტორი და ლიტერატურული პრემია "საბა"-ს ერთ-ერთი ნომინანტი - ლევან ბერძენიშვილი. ამას გარდა, ეს ადამიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სათავეებთანაც იდგა. იმ საზოგადოებისა, რომლის არსებობაც დღეს ჰაერივით საჭიროა. სამოქალაქო აქტივობა, მართალია, მხოლოდ იატაკქვეშეთში, მაგრამ მაინც საბჭოთა კავშირის დროს, 1970-იან წლებში, დისიდენტური მოძრაობით დაიწყო (ამ მოძრაობისთვის ის და მისი ძმა - დათო - ციხეში მოხვდნენ). 1975 წელს ხელი მოეწერა "ჰელსინკის ხელშეკრულებას". **სსრკ ფარისევლური ქვეყანა იყო, მაგრამ, სისტემა იმდენად "გამართული და მოვლილი" ჰქონდათ, რომ ეგონათ, ადამიანის უფლებათა დაცვა დღის წესრიგში ხმამაღლა არასდროს დადგებოდა**, - ამბობს ლევან ბერძენიშვილი.*
*დღეს ის პოლიტიკიდან შორს დგას, მაგრამ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, დეპოლიტიზებული არ არის და პოლიტიკურ დინებებს დისიდენტის გამოცდილი თვალით უყურებს.*

მაია ჭალაგანიძე

- პირველი შოკი, რომელიც ახალგაზრდა კაცმა მივიღე, აკრძალული დოკუმენტის - "ადამიანის უფლებათა დეკლარაციის" - გაზეთ "კომუნისტში" წაკითხვა იყო.

სსრკ-ში მიხვდნენ, რომ მარტო ლანძღვა-გინება და საგაზეთო რუბრიკები - "ესეც შენი თავისუფალი სამყარო!" - საკმარისი არ იყო და საჭირო გახდა კონტრპროპაგანდა. ამიტომაც სოკოებივით მომრავლდნენ უფლებადამცავი ორგანიზაციები. ერთ-ერთი მათგანი იყო "ჰელსინკის კავშირი", რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. იქ მოღვაწეობდნენ მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვანი. მათთან ურთიერთობა მომიხდა. ეს იყო აფორიაქებული და ძალზე საინტერესო წლები, რომელმაც ჩემს თაობას ღრმა კვალი დააჩნია... ჩემთვის სწორედ იმ მომენტიდან იწყება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა.

**- იყო თუ არა მაშინ რაიმე ნიშნები იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში აქტიური სამოქალაქო საზოგადოება შედგებოდა?**

- დასაწყისში სერიოზული მოლოდინი გვქონდა. ჯერ გაურკვეველი იყო, რა იქნებოდა მთავარი: ეროვნული მოძრაობა თუ მოძრაობა დემოკრატიისთვის. დღეს ქვეყანას ერთიც სჭირდება და მეორეც, მაგრამ ამათი პირველ-მეორეობა სერიოზული საკითხი იყო. ქართველებს ეროვნულობის პრიმატი გვქონდა. ეს მერე გამოჩნდა, რომ ორივე გვჭირდება, თორემ მაშინ გულუბრყვილოდ გვჯეროდა, რომ ოღონდ დამოუკიდებლობა გვქონოდა და დანარჩენს თავად მივხედავდით.

თავისუფლება - თავისუფლებაა. ამას დემოკრატიაც სჭირდება, დამოუკიდებლობაც და კეთილდღეობაც. ყველაფერი იყო სსრკ-ში - სიყვარული, ქორწინება, ყვავილები, სიმღერები, მაგრამ ეს იყო ცოტა... საზოგადოება მაშინ ამ პროცესებში ნაკლებად იყო ჩართული - სამოქალაქო აქტივობა არ იყო. კი, არსებობდა ორგანიზაციები: "ცოდნა", "მონადირეთა კავშირი", მაგრამ აქ უფროსობას კომპარტია ნიშნავდა და ფინანსურადაც მასზე იყვნენ დამოკიდებული. მომღერალთა გუნდის რეპერტუარსაც სახელმწიფო ადგენდა. თავისუფლად საუბარი და სიმღერა მხოლოდ "სამზარეულოს საზოგადოება"-ში შეიძლებოდა.

1991-1992 წლებში პირველმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა დაიწყეს არსებობა. პატრიარქი გია ნოდია გახლდათ. ამ პერიოდში მხოლოდ დამკვირვებელი ვიყავი (სხვათა შორის, გია ნოდიას გვარი სამოქალაქო ურთიერთობის გარკვეულ ფორმას შეიცავს - "ნოდი" მეგრულად "ნადს", "მამითადს" ნიშნავს).

მე და ჩემნაირები სამოქალაქო აქტივობის მეორე ტალღას წარმოვადგენდით, რომელიც უფრო ადრე აგორდა და ამის გამო მეტი გადავიტანეთ. ეს ორი რაღაც უნდა შერწყმულიყო და ასეც მოხდა. ჩვენ ნელ-ნელა დავიწყეთ იმის გაგება, თუ სად ვცხოვრობდით.

**- რა არის სამოქალაქო საზოგადოების არსებობის მთავარი იდეა?**

- 1995 წელს "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" დაარსდა. ჩვენს პარალელურად სხვა საზოგადოებებმა დაიწყეს არსებობა. დაიწყო დიალოგი ამ ორგანიზაციებს შორის და ნელ-ნელა მოძრაობა გაფართოვდა. ამ პროცესებმა, პირველ ხანებში, პოპულარობა მოიპოვა და საზოგადოებაში მეტი ავტორიტეტი ჰქონდა, ვიდრე პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს. როგორც კი სექტორით პოლიტიკა და ჟურნალისტიკა დაინტერესდა - საქმის გაფუჭება დაიწყო. არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარ საფრთხეს პოლიტიკასთან დამოკიდებულება - ზედმეტი პოლიტიზება ან დეპოლიტიზება წარმოადგენს... მეორე საფრთხე ბიზნესთან ურთიერთობა, რაც ფულის საკეთებელ ორგანიზაციად არ უნდა იქცეს... პოლიტიკოსებმა საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა ან შექმნილის გადაბირება დაიწყეს. ასე რომ, პროცესის წახდენა და გაკეთება ერთდროულად დაიწყო. როგორც ჩანს, სწორედ ეს არის სიცოცხლის ნიშანი.

საქართველოში სამოქალაქო ურთიერთობა გაცილებით სხვაა და ისეთი ღრმა არ არის, როგორც ნათესაური ურთიერთობები. სხვათა შორის, საშინელი წლები სწორედ ამ ნათესაურმა ურთიერთობებმა გადაგვატანინეს - ერთმანეთი გავიტანეთ და შიმშილით არ დავიხოცეთ.

ნათესაურისგან განსხვავებით, სამოქალაქო კავშირი რაც უფრო მსუბუქი და სუსტია, მით უფრო ძლიერ ქსელს ქმნის. ეს არის ძალა უძლურთა და პოტენციალი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს და არ არის გამოყენებული.

**- არის თუ არა რაიმე სხვაობა სამოქალაქო ურთიერთობების მცოდნე ადამიანსა და ამის არმცოდნეს შორის?**

- ბუნებრივია, ამ ადამიანებს განსაკუთრებული და სხვაზე უკეთესი არაფერი სცხიათ, მაგრამ მათ კარგად იციან მსუბუქი კავშირების მნიშვნელობა და ამ ურთიერთობებში სიღრმეებს არ ეძებენ. ისინი გაცილებით რეალისტები არიან და მოვლენებსა და საგნებს ადვილად არქმევენ თავის სახელებს.

არსებობს განზომილებათა გარკვეული სქემა, რომელშიც როინ მეტრეველიც ნორმალური ადამიანია, მაგრამ როგორც კი ახალ სქემას მიუყენებ, აღმოჩნდება, რომ ეს ადამიანი ნეანდერტალელია, ცხოვრებას ჩამორჩა. და არამხოლოდ იმიტომ, რომ მექრთამეა. შეიძლება სამოქალაქო გზაგავლილი ადამიანი მასზე მაგარი მექრთამე იყოს. იმიტომ ჩამორჩა, რომ მას კარგი ჰგონია, როდესაც ყველა მხარს გიჭერს, რათა მუდმივად იყო თანამდებობაზე. მან ვერ დაინახა, სად არის სიკეთე უნივერსიტეტისთვის. ვერ დაინახა, რომ უნივერსიტეტს ახალი სისხლი სჭირდება.

**- რადგანაც უნივერსიტეტს შევეხეთ - საბჭოეთს ხომ არ ჩაბარდა ცნება "დისიდენტი" და რას დაარქმევდით სტუდენტთა დღევანდელ მოძრაობას. უნივერსიტეტის სისტემასთან ბრძოლა ხომ არ არის პრობლემისადმი ლოკალური მიდგომა, რომელსაც დემაგოგები სათავისოდ კარგად გამოიყენებენ?**

- სტუდენტთა მოძრაობა - "კმარა" - ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა, რაც დღეს ხდება. პოლიტიკოსები და შეიძლება მეც - ვფიქრობთ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არჩევნებს აქვს; ვილაცისთვის წყლისა და გაზის უქონლობაა მთავარი... თუ ავწონდავწონით, აღმოვაჩენთ, რომ ყველაზე მთავარი ისაა, რაც იბადება, რაც ახალგაზრდობაში ხდება. ამასთან შედარებით ყველაფერი უმნიშვნელოა.

მოძრაობისადმი ასეთი მიდგომა - ისინი მართლები არ არიან, რადგან უმცირესობაში არიან - ჩემთვის ძალზე ნაცნობია და ეს ავტორიტარული არგუმენტია. სიმართლე და პატიოსნება ყოველთვის უმცირესობაში იყო, არის და იქნება. ქრისტე, საერთოდ, ერთი იყო. უმრავლესობა არასდროს არ არის მართალი.

დემოკრატიას ეს ნაკლი აქვს - ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ ყველაფერი არჩევნების მექანიზმით გადაწყდეს. მაგალითად, არჩევნებით დავასახელოთ... კარგი პოეტი. ერთხელ, სამოქალაქო გმირობა გამოვიჩინე და ვთქვი, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსები არ მომწონს, მაგრამ ილია ჭავჭავაძე - მოვლენა, მოღვაწე - მიყვარს და ვაფასებ... არ მაპატიეს.

**- მართალია, უნივერსიტეტში სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ახალი მიდგომები უცხოა, მაგრამ ამის მიღება დრომ მოიტანა. შეუძლებელია, ეს ისტორიკოს რექტორს არ ესმოდეს...**


ლევან ბერძენიშვილი

- ახალგაზრდები დღესაც ოცნი არიან, როგორც ოცნი ვიყავით ჩვენ და სულ ასე იქნება, მაგრამ მათ ხალხის აყოლიების უნარი აქვთ.

სტუდენტები როინ მეტრეველის პიროვნებას კი არ უპირისპირდებიან, არამედ - სისტემას - უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც არანაირ განათლებას არ იძლევა. ეს ახალგაზრდები სიმართლეს ლაპარაკობენ. მათთვის ეს მიუღებელია და ორნიც რომ იყვნენ, რექტორატის საქმე დამთავრებულია... პარმენ მარგველაშვილით უნდათ პასუხი გასცენ? როინ მეტრეველი თავად პასუხის გასაცემად არ გამოვა, რადგან ის ერთ-ერთი ცუდი ორატორია. ეს "დონები" ახალგაზრდებს უპირისპირდებიან. გუშინ როინ მეტრეველმა დაამტკიცა და აჩვენა, თუ რა მოხდება ჩვენ ქვეყანაში სამოქალაქო განვითარების თვალსაზრისით. მან საზიზღარი რამ გააკეთა - სტუდენტებს სტუდენტები დაახვედრა. ციხეებში ახალ პატიმრებს "დუბინალით" შეიარაღებულ "სუკებს", ანუ რეჟიმისთვის მომუშავე პატიმრებს დაახვედრებდნენ და მათ აცემინებდნენ ხოლმე. როდესაც უნივერსიტეტის რექტორი ისე აზროვნებს, როგორც ეკატერინბურგის რომელიმე ციხის უფროსი - რა უმაღლეს განათლებაზეა საუბარი?

**- რექტორი უკვე არჩეულია, შემდეგ?**

- მას დაამხობენ - წასვლა მოუწევს და ამას სტუდენტები აიძულებენ.

**- თქვენ უნივერსიტეტში აღარ მუშაობთ?**

- მადლობა ღმერთს, რომ აღარ ვარ და უნივერსიტეტიდან ზუსტად იმ მიზეზით წამოვედი, რა მიზეზითაც უამრავი ლექტორი მოდის. 1994 წელს მივხვდი, რომ ამ სისტემაში მუშაობა შეუძლებელია, სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ფულმა და უსინდისობამ წალეკა იქაურობა.

**- ხელისუფლებამ აქცია "კმარა" ოსტატურად გამოიყენა და ამ სათაურით უცხო ქვეყნების მიერ მართულ მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ალაპარაკდა. ეს "ევრიკა" სარიშვილი-ჭანტურიამ უშიშროებასთან ტანდემში განაცხადა. თქვენ კარგად იცნობდით სუკ-ს და ჩვენც ვხედავთ, რამდენად წინმსწრებად შეუძლია ამ ორგანიზაციას მოვლენების "განჭვრეტა". რასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში?**

- როდესაც სარიშვილი ხელისუფლების ბლოკში დავინახე, თავიდან შემეცოდა, მაგრამ ჩემი ციხიდან გამოყოლილი გამოცდილებით ვიცი - ჩაშვებულები და დაცემულები არ უნდა შეიბრალო. სარიშვილის ნათქვამი ვიტალი ხაზარაძის ნათქვამისგან ნამდვილად განსხვავდება - ეს უფრო გულის ამრევია. რა თქმა უნდა, ვიტალი ხაზარაძე გაცილებით სიმპათიურად გამოიყურება, რადგან ერთიც და მეორეც ქართული პოლიტიკის ლექია.

ირინა სარიშვილი მოღალატეა, მან უღალატა იდეას, თავისი მეუღლის ხსოვნას. მან ეჭვის ქვეშ დააყენა გია ჭანტურიას პოლიტიკური ორიენტაციაც. გარდაცვლილთა სახელს ცოცხლად დარჩენილებისგან გაფრთხილება ესაჭიროება.

ერთადერთხელ მქონდა დაპირისპირება მიხეილ სააკაშვილთან. ჩემს ერთ ტელეგადაცემაში - "მჯერა" - სააკაშვილმა ცუდად მოიხსენია სარიშვილი. ამის გამო გამოვედი და მეორე დღეს სააკაშვილს დავცხე - რისთვისაც დღეს ბოდიშს ვუხდი.

ყოველთვის, როცა ადამიანები ცუდად იქცევიან, ეჭვი მებადება, რომ მათ ასე მოქცევის საფუძველი აქვთ. ანუ, მათზე ისეთი კომპრომატი არსებობს, რითიც "ამუშავებენ". სარიშვილისთანა ადამიანი, რომელიც ყველგან იყო - აბაშიძესთან, შევარდნაძესთან და კიდევ რა ვიცი, სად - მეტი აღარ არსებობს. ეს - ერთია. მან კაკო ასათიანის რეკორდიც კი მოხსნა, მაგრამ ასათიანი ინტელექტუალურია. მან ამდენი იმოძრავა და რესპექტაბელური იმიჯის შენარჩუნება მოახერხა.

პოლიტიკაში უშეცდომონი დათო ბერძენიშვილისა და ივლიანე ხაინდრავას მეტი არავინ მეგულება და ისინი ამიტომაც არ არიან არც პირველი, არც მეჩვიდმეტე. ივლიანე საერთოდ წავიდა პოლიტიკიდან. ამ ქვეყანას, ჯერ-ჯერობით, მამალაძე სჭირდება.

იმდენი სისულელე ვაკეთეთ და შეცდომა დავუშვით, რომ ჩვენი, როგორც ქვეყნის გადარჩენა - სასწაულია. ჩვენ სიმართლე არ გვინდა. გვინდა, რომ ყველა ჩვენი წინაპარი მართალი იყოს. ჩვენ ხომ ძალად დავამეგობრეთ წინაპრები - ერთ კვარცხლბეკზე დავდგით აკაკისა და ილიას ძეგლი. მიკვირს, იქ როგორ არ მივუყენეთ ნიკო ნიკოლაძის ძეგლი...

**- დღეს შეიძლება ლიტერატურული პრემია "საბა"-ს მფლობელი გახდეთ. თარგმანის ნომინაციაში მართლაც ყველაზე უფრო სერიოზული კონკურენცია იყო (ამგვარ კონკურენციას სხვა დანარჩენ ნომინაციებშიც ვისურვებდი). რისი მოლოდინი გაქვთ?**

- პრემიას დადებითად ვუყურებ. ეს მოვლენა, პირველ რიგში, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ განსაკუთრებული სფეროს განსახელმწიფოებრიობა მოხდა. ანუ, საზოგადოებრიობას გადაეცა ის, რაც აქამდე ყოველთვის სახელმწიფოს პრეროგატივა იყო - პრემიებს სახელმწიფო არიგებდა და მისი შედგენილი კომისია ადგენდა, ვინ იყო კარგი მწერალი, ვინ თარგმნა კარგად და ა.შ.

საზოგადოება გაცილებით უკეთ ერკვევა ხელოვნებაში, მწერლობასა და თარგმანში. ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო ამ ნომინაციის გამოჩენა. მსოფლიო ცოდნა იმდენია, რომ ყველანი რომ დავჯდეთ, და თარგმნა დავიწყოთ - ვერ აუვალთ. როდესაც ყველაფერი არ არის თარგმნილი ენაზე - ნიშნავს, რომ დამოუკიდებლობას ვერ უზრუნველყოფ. დამოუკიდებლობა კი - პრინციპულად ნიშნავს ერთეროვნებას. მასები ერთი ენის ადამიანები იქნებიან. ამას კარგი მხარეც აქვს და ცუდიც, მაგრამ ეს ფაქტია.

ყველაზე ბევრი ნომინანტი სწორედ თარგმანს ჰყავს. მათ შორის არიან ბაჩანა ბრეგვაძე, დათო წერედიანი, ვახუშტი კოტეტიშვილი... ამიტომ დიდი ინტერესით ველი შედეგებს.

**- რამდენად ობიექტური იქნება შეფასება და რამდენად ასახავს ჯილდო მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს...**

- მონაწილეთ რომ გადავხედე, მათ ძირითად ნაწილს ნომინანტებად დავტოვებდი და ხმას ვერ მივცემდი... უდავოა, რომ ჟიურიმ დიდი მუშაობა გასწია. და კარგია, თუ გამარჯვება არ მოხდება იმის მიხედვით, თუ ვინ არის კარგი ადამიანი ან "ჩვენიანი"... თარგმანის ხარისხის განსასაზღვრად, ჩემი აზრით, თან კარგი ავტორი უნდა იყოს და თან კარგად თარგმნილი. შეიძლება, უმნიშვნელო ავტორის თარგმანი ბრწყინვალე იყოს და პირიქით... ამიტომ, ეს ბალანსი დაცული უნდა იყოს. არ ვიცი, რა პრინციპებით იხელმძღვანელებს ჟიური, მაგრამ წინასწარ ვაცხადებ, რომ ვენდობი ყველა მის გადაწყვეტილებას. მათ მთავარი გააკეთეს, სახელმწიფოს უთხრეს, ლიტერატურის ბედს ახლა ჩვენ გადავწყვეტთო...

"საბა" სერიოზული გარღვევაა საზოგადოების ცნობიერებაში. მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას.

**- დღეს, წიგნის საერთაშორისო დღეს, საჯარო ბიბლიოთეკის წინ წიგნების გამოფენა გაიმართება. ბევრი ადამიანი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას წიგნისადმი. რა ტენდენციები შეინიშნება?**

- მკითხველთა რაოდენობა იზრდება და მოხმარებულ წიგნთა სტრუქტურა იცვლება. ადრე ბიბლიოთეკაში კითხულობდნენ მხატვრულ, შემეცნებითი ხასიათის მსუბუქ ლიტერატურას. მათ შორის - მეც. ახლა ძალზე სპეციფიკურ ლიტერატურას კითხულობენ.

ბიბლიოთეკის დანიშნულება მთელ მსოფლიოში არის, მისაწვდომი გახადოს ყველა სახის ლიტერატურა. წიგნები ძვირი ღირს და ასეც უნდა იყოს. ყველას ყველა წიგნი ვერ ექნება სახლში. მსოფლიო ცოდნა დიდია, ყველაფერს ვერ მოიცავ. ამიტომ, ბიბლიოთეკაში მაქსიმალურად ყველაფერი უნდა იყოს.

**- თქვენ ვიზუალურად ფორმა შეიცვალეთ, შინაარსი?**

- რა თქმა უნდა, ფორმასთან ერთად შინაარსიც იცვლება, მაგრამ პოლიტიკური და სამოქალაქო თვალსაზრისით, ეს არ მომხდარა.

**- საზოგადოების ერთ ნაწილს და მათ შორის მეც, მაშინ უფრო მარწმუნებდა თქვენი მჭერმეტყველება...**

- სწორია, იმიტომ, რომ მსუქანი ადამიანის მიმართ აგრესია არ არის... მსუქანზე არ არის ეჭვი, რომ თავისთვის რაღაც უნდა. მსუქანი ადამიანების მიმართ სიმპათია თავადვე დამრჩა. პოლიტიკაზე მოსაუბრე მსუქან კაცზე საზოგადოება ფიქრობს - ეს ხომ თვითონ პრეზიდენტი ვერ იქნება... სიმსუქნე ყველაფერთან ერთად იმასაც ნიშნავს, რომ ეს კაცი კმაყოფილია. შთაბეჭდილება ისეთია, რომ მსუქანს ყველაფერი აქვს. ასევე იყო ზვიადიც. ხალხი ფიქრობდა, ზვიადს ხომ ყველაფერი აქვს, ე.ი. ჩვენთვის რაღაც კარგი უნდა... ზვიადი და მსუქნები, ამ მხრივ ერთმანეთს გვანან.

**- დღეს, სიმართლე ხშირად დესტრუქციად აღიქმება. უწყლობის, უშუქობის, მატერიალური სიდუხჭირის გამო ქუჩაში გამოსული ხალხი ზოგჯერ მათსავით უქონელი ადამიანების აგრესიის საგნად იქცევა ხოლმე.**

- ფარისევლობა დღეს მთავარი ქართული თვისებაა. ქუჩაში გამოვალთ კი არა, ცხოვრებას გავუმწარებთ და სისხლს გავუშრობთ, სანამ არ გვექნება დენი, წყალი, ხელფასი, ქვეყანა, წესიერი დროშა, ჰიმნი და ა.შ.

ფარისევლობა მთავარი უბედურებაა. ვიცი, რატომ არ გვაქვს შუქი - იმიტომ, რომ ხმა არ ამოვიღეთ, როცა ხელისუფლება ენერგეტიკის ფულს ჭამდა... ყველას ჰგონია, რომ ეს სხვისი გასაკეთებელია.

ფარისევლობის საზომად თამაშები - "ხალხის პირისპირ" და "ვის უნდა 20 000" საკმარისია. როცა ჭავჭავაძის ან წერეთლის პოეზიიდან რაიმე შეკითხვა მოდის, პასუხი შემდეგია – "არ ვიცი", ან "შემდეგი"... ვთქვათ, მე ერთი დეგენერატი ვარ, ამდენ ხალხს რას უზამ? ფარისევლობა მთავარი უბედურებაა.

ახალგაზრდების პროგრესული ნაწილი ცოტაა, მაგრამ ისინი შეძლებენ და სწორედ იმ ხალხს აიყოლიებენ, რომელსაც არ აქვს შუქი, წყალი და ა.შ. და მათ მაგივრად ამას სხვა არავინ გააკეთებს. ჩვენ ვერ მოვერევით ამ სისტემას, თუ არ ვიქნებით ბევრნი.

**- და საზოგადოებამ დენთან და წყალთან ერთად ოპოზიციის გაერთიანება უნდა მოითხოვოს?**

- ჩემი აზრით, რაღაც ტიპის გაერთიანება შედგება, მაგრამ ყველა ვერ გაერთიანდება. ყველა რომ გაერთიანდეს, ისეთივე სისულელეს მივიღებთ, როგორსაც "მოქალაქეთა კავშირი" აკეთებს.

თუკი ჩვენს პოლიტიკაში რაიმე ცუდი იყო, შევარდნაძემ ყველაფერს თავი მოუყარა და ვაქებ ყველას, ვისაც თავი ვერ მოუყარა... უკვე - ყოჩაღ!

ვფიქრობ, რომ "ნაციონალური მოძრაობა" (რომელიც უკვე გაერთიანებაა), "გაერთიანებული დემოკრატები", შესაძლოა, "ტრადიციონალისტები" - ერთად აღმოჩნდნენ. "ახლები" თუ მივლენ, მივლენ, არადა, ქვეყანა არ დაიქცევა.

სხვისი აზრების გამოცვლა მაინც შეუძლებელია და ამიტომაც ხალხისთვის მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლია - გიჟირს?! ხელი გაანძრიე...

## გაუმარჯოს არტ-ვილას!

### გარიყულას პროექტი ღარიბი ქართველებისთვის



ჯეროლინ ბამ-კოლომბიკი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების საპროექტო ესკიზების და ამერიკელი ფულბრაიტის მკვლევარის, როჯერ კოლომბიკის და მისი მეუღლის, ჯეროლინ ბამ-კოლომბიკის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ამ ბოლო დროს სხვადასხვა გალერეებში, თითქმის, ყოველ დღე წარმოდგენილი ფერწერის თუ ფოტო-ნამუშევრების მოზღვავებული გამოფენების ფონზე, ხსენებულმა პროექტმა, რომელიც გარიყულაში (კასპის მახლობლად მდებარე სოფელი) მომზადდა და "ხელოვნება სოციალური ცვლილებებისთვის" სახელწოდებითაა ცნობილი, ჩვენი ყურადღება ერთი მიზეზის გამო მიიპყრო – იგი ღარიბი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი ანუ ისეთებისთვის, როგორიც საქართველოა. თუმცა, გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს წუნს ვერ დავდებთ, ისინი ხომ პროფესიონალმა ხელოვანებმა მთელი გულით შექმნეს.

ამ წამოწყების სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელია პროფესიონალი მხატვარი ყარამან ქუთათელაძე, რომელიც არტ-ვილა გარიყულას (ისტორიულ ნაგებობაა) და შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებისა და განვითარების ფონდის თავმჯდომარეა. ეს ორგანიზაცია ორი წლის წინ დაარსდა იმ მიზნით, რომ სტუდენტებისა და პროფესიონალებისთვის შექმნილიყო სივრცე, სადაც თანამედროვე ხელოვნებისა და ტრადიციული ქართული თემის საინტერესო თანაცხოვრება იქნებოდა შესაძლებელი.

ამერიკელი ცოლ-ქმარი კოლომბიკები უკვე სამი თვეა, რაც საქართველოში იმყოფებიან და მუშაობენ პროექტზე, რომელიც გარიყულაში ხორციელდება. პროექტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება - ცოლ-ქმარი ქმნის იმ ისტორიების აუდიო, ვიდეო და ფოტო დოკუმენტაციას, რომლებსაც რეგიონის მოსახლეობისგან ისმენს. ეს კი მათ შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ რეგიონის კულტურას და მოსახლეობის პირად გამოცდილებას. გარიყულა თავისი მრავალეროვანი შემადგენლობით და თვითმყოფადობის შეინარჩუნების განსაკუთრებული უნარით გამოირჩევა.

კოლომბიკები, ასევე, ჩართულები არიან თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მომზადების პროგრამაში.

**"ამერიკელი პროფესიონალები მთელს მსოფლიოში დადიან და ისეთი ტიპის ღარიბ ქვეყნებს ეხმარებიან, როგორიც საქართველოა, რომელსაც რეფორმა და წინსვლა სჭირდება. როჯერი მოქანდაკე, ფოტოგრაფი, პოეტი და ფულბრაიტის პროფესორია, ჯეროლინი კი - ფერმწერი. ეს გამოფენა გარიყულაში სტუდენტებთან სამთვიანი მუშაობის შედეგია. როჯერი ასწავლის, თუ როგორ უნდა დაიწეროს პროექტი, განხორციელდეს და დაფინანსდეს,** " – ამბობს ყარამან ქუთათელაძე.

გამოფენაზე როჯერმა ფოტო ნამუშევრები წარადგინა, ხოლო ჯეროლინმა - ფერწერული ტილოები, რომლებიც ერთი საერთო ნიშნით ერთიანდებოდნენ – სახეები, პორტრეტები, ტიპიური ქართული, განსხვავებული, ზოგი სევდიანი, დაღლილი ("მღორე ღორებით ხელში", "ვაკელი როზა", "თაფლის გამყიდველი ქალი" და სხვა).

ჯეროლინს ძალიან უყვარს თაფლის გამყიდველი ქალი, რომელიც რუსია და დაღლილი სახე აქვს - მისი სახეც და თაფლიც განსხვავებულია. გარდა ამისა, ამერიკელი ქალბატონი ქართველი სტუდენტებითაც არის აღფრთოვანებული და სურს, რომ ჩვენმა მთავრობამ და პრეზიდენტმა დაინახონ, - **"საქართველოს შეუძლია ხელოვნებით იცხოვროს და იამაყოს".**

გარდა სოციალური იდეების რეალიზებისა, რაც ჩვენში ჯერ მხოლოდ ფეხს იკიდებს, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის იმ ჩვევების და გამოცდილების გაზიარება, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ფორმის ანუ სწორედ ჩანაფიქრის რეალიზებამდე მიყვანის შესწავლას გულისხმობს.

გარიყულას პროექტი ამერიკის მთავრობის დაფინანსებით განხორციელდა. კოლომბიკები საქართველოში კიდევ სამ თვეს დარჩებიან. ხსენებული პროექტის შემდეგ ისინი საქართველოში ახალი პროექტების განსახორციელებლად თანხების მოძიებას შეუდგებიან.

# მწერლები, ფასდაკლება, მთაწმინდა

### დღეს "საბას" ჯილდოები გაიცემა

A1 გვერდიდან

### დიდი ფასდაკლება - სიურპრიზი, რომელსაც დიდი ხანია ველოდით

იმ სიურპრიზზე, რომელიც დღეს ქართველ მკითხველს ეროვნული ბიბლიოთეკის წინ დახვდება, უკვე რამდენიმე კვირაა ლაპარაკობენ დედაქალაქში. ამ სიურპრიზის ავტორები არიან საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტო - საქპატენტი (ეს უკანასკნელი ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას საავტორო უფლებების დარგში). ოთხი საათის განმავლობაში (პირველიდან ხუთ საათამდე) წიგნები სერიოზული ფასდაკლებით გაიყიდება. "ეს სოციალური აქციაა. გვინდა, რომ 23 აპრილი წიგნის ჩუქების დღედ იქცეს. ეს ღონისძიება ამ კეთილი ტრადიციის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს," - განმარტავს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის პრეზიდენტი მერაბ ქათამაძე.

დღეს წიგნებს სავაჭრო ფასნამატი მოაკლდება - 25-30 პროცენტი; ამას გარდა, გამომცემლები, თავის მხრივ, გარკვეულ პროცენტსაც დააკლებენ.

გამომცემლებს დიდი სურვილი აქვთ, რომ ასეთი საჩუქარი მკითხველს ყოველწლიურად გაუკეთონ, მკითხველი კი ასეთ საჩუქარზე უარს ნამდვილად ვერ იტყვის.

აქვე ქართველი გამომცემლები კიდევ ერთი საქველმოქმედო აქციის ინიციატორებად მოგვევლინებიან. ისინი წიგნებს შესწირავენ რამდენიმე ორგანიზაციას, მათ შორის, ძეგვის ბავშვთა სახლს და საინგილოს დახმარების საქველმოქმედო საზოგადოებას.

წიგნებს რომ შეიძენთ, გირჩევთ, აუცილებლად შეიაროთ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზშიც წიგნის მხატვრობის გამოფენაზე. და კიდევ, კინაღამ დამავიწყდა, გუდიაშვილის ქუჩის ამ პატარა მონაკვეთის მოწყობასა და მხატვრულ გაფორმებაზე დილიდანვე იზრუნებენ მხატვარი გია ბუღაძე და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები.



### შეხვედრის ადგილი მთაწმინდა

საღამოს მთაწმინდის პარკში - "ფუნიკულიორზე" "საბას" დაჯილდოების ცერემონიალია დანიშნული, ცერემონიალი ლიტერატურული კონკურსისა, რომელიც სულ ახლახანს დაარსდა და უკვე დიდი თავგადასავალი გადახდა: ხან რა დააბრალეს, ხან - რა. მის კონიუნქტურულ ხასიათზეც ლაპარაკობდნენ და პოლიტიკურ სარჩულზეც; ვილაცეები გაუნაწყენდნენ კიდეც. რას ვიზამთ, პატარ-პატარა უსიამოვნებები თუ გაუგებრობები ყველა ლიტერატურულ (თუ არალიტერატურულ) კონკურსს ახლავს ხოლმე თან, ზოგი კმაყოფილია, ზოგი - უკმაყოფილო. ზოგს უკმარობის გრძნობა უჩნდება. გასაკვირი არაფერია. ჩვენ უბრალოდ ლიტერატურულ კონკურსებს შეუჩველნი ვართ, ესაა და ეს...

პრინციპში "საბას" კონკურსის საფუძველშივე ჩაიდო ის მექანიზმები, რაც აუცილებელი პირობაა კონკურსის ობიექტურობისათვის. მაგალითად ის, რომ კონკურსის მხარდამჭერები არ ერევიან ჟიურის მუშაობაში; ის, რომ ჟიური კომპეტენტურია; ის, რომ ჟიური ყოველწლიურად იცვლება და ა.შ. რაც შეეხება კონკურსის უპირველეს მიზანს, მიზანი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შეფასება და წიგნის პოპულარიზაციაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ "საბა" ერთჯერადი ლიტერატურული პაექრობა არაა, ეს კონკურსი ამიერიდან უკვე ყოველწლიურად ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ლიტერატურული პრემია "საბას" დამფუძნებლები არიან TBC-ბანკი, გაზეთი "24 საათი" და ქართული პენ-კლუბი; საინფორმაციო მხარდაჭერა ეკუთვნის "რუსთავი-2"-სა და გაზეთ "24 საათს".

ჩვენს ლიტერატურას ბევრი რამ აკლია. სწორედ ამ ვაკუუმის შევსებისათვის არის საჭირო "საბას" ლიტერატურული კონკურსი, - ამბობენ ორგანიზატორები, - "საბა" ერთადერთი და განუმეორებელი, რა თქმა უნდა, არაა; პირიქით, იმედი გვაქვს, რომ ეს კონკურსი ერთგვარი სტიმული იქნება და სულ მალე სხვა ლიტერატურული კონკურსებიც გაჩნდება.

დაბოლოს, "საბას" ორგანიზატორებს მთაწმინდის პარკი ცერემონიალის ჩატარების ადგილად შემთხვევით არ შეურჩევიათ. ამ არჩევანს ერთგვარი სიმბოლური ხასიათი ჰქონდა: მუზათა საუფლო პარნასი ქართველებისთვის მთაწმინდაა, თანაც წელს პარკის მშენებლობის დაწყების 100 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, თანაც მთაწმინდაზე გამართულ ცერემონიალს აღარ სჭირდება დეკორი, დეკორი ჩვენი ქალაქია, ამაზე უკეთეს ხედს სად იშოვი; ფუნიკულიორი და მისი მიმდებარე ტერიტორია რომ გაპარტახებულია (მარტო იგნატოვის პანოს გახსენებაც საკმარისია) - ეს ჩვენი რეალობაა, ლიტერატურა კი რეალობას ასახავს, ამიტომაც, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ლიტერატურული დაჯილდოების ცერემონიალის მთაწმინდაზე გამართვა კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მწერლობა რეალობას მოწყვეტილი არაა.

ასე რომ, დაჯილდოების ცერემონიალი იქნება სადა, ჩვენი დღევანდელი ყოფის შესაფერისი.

"საბას" დაჯილდოების ცერემონიალი დღეს საღამოს შვიდის ნახევარზე დაიწყება, იმ მსურველებს, რომლებიც მთაწმინდაზე ასვლას ვერ მოახერხებენ, შეუძლიათ მშვიდად მოკალათდნენ სახლში ტელევიზორის წინ და შვიდი საათიდან "რუსთავი-2"-ს ეთერით დაჯილდოების ცერემონიალის ტრანსლაციას უყურონ.

დანარჩენს დღეს საღამოს შევიტყობთ.

ახლა მთავარი ამინდის პროგნოზია. აი, სკეპტიკოსთა პროგნოზი კი, იმედია, არ გაამართლებს.

## ფერებით გადმოცემული სიბრძნეები

ნინო ყიფიანი

გუშინ "ძველ გალერეაში" ახალგაზრდა მხატვრის, ლია სადაღაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ლიამ ჯერ იაკობ ნიკოლაძის სახელბის სამხატვრო სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი თბილისის სამხატვრო აკადემია. ლია სადაღაშვილი თვლის, რომ კარგი პედაგოგების წყალობით, თითქმის, ყველაფერი ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში ისწავლა; არანაკლებ გაუმართლა აკადემიაშიც, როცა ზურა ნიჟარაძის ჯგუფში მოხვდა. აკადემიის დასრულების შემდეგ მხატვრისთვის ყველაზე საინტერესო პერიოდი დადგა - საკუთარ თავთან მარტო დარჩა.

ამჟამად "ძველ გალერეაში" ლიამ ფერადი გრაფიკა გამოფინა, რადგან, - ზეთის საღებავებს და, მით უმეტეს, დიდი ზომის ტილოებს დისტანცირება სჭირდებაო. ტექნიკა, რომელშიც მხატვარი მუშაობს, წარმოადგენს სხვადასხვა მასალის სინთეზს, რომელიც მუყაოზე სრულდება. ერთი ნამუშევრისთვის ის იყენებს: გუაშს, პასტელს, პანდას, აკრილს. "ამ ტექნიკაში მუშაობას ექსპერიმენტის სახე აქვს, უცებ შეიძლება ისეთ საინტერესო რაღაცას მიაგნო, რასაც სრულიად არ ელოდები. შირად, როცა მუშაობას ვიწყებ, თემაც არ ვიცი ხოლმე, და ნამუშევრის იდეაც პროცესში იბადება, მერე შეხედავ და ნახატი დასრულებულია".

მართალია, ტექნიკას, რომელშიც ლია მუშაობს, გრაფიკა ჰქვია, მაგრამ მხატვრის შემოქმედებაში გამომსახველობა მაინც ფერით ხდება. მის ნამუშევრებში - "დაბრუნება ბავშვობაში", "პასტორალი", "სამი დრო," განწყობა და შინაარსი სწორედ სხვადასხვა ჟღერადობის ფერით გადმოიცემა.

გარდა სახელოსნოში გამუდმებული მუშაობისა, ლია "რაინდთა სკოლაში" ბავშვებს ასწავლის ხატვას. "ბავშვებში იმხელა თავისუფლებაა, რომ ზოგჯერ მეც ბევრ რამეს ვსწავლობ მათგან," – ამბობს მხატვარი.

ლია სადაღაშვილის გამოფენა "ძველ გალერეაში" ერთ კვირას გასტანს.






# ცეკვა დაღლამდე

### სი სი როჯერსისა და დი-ჯეი დევიდ დი-ს ოთხსაათიანი საკონცერტო პროგრამა

ვერა ნეფარიძე

"ნესკაფე დენს ფართი" დღეს კვლავ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაგრძელდება. "ნესკაფეს" ფავორიტი ამჯერად სი სი როჯერსია. ამერიკელი მუსიკოსი თბილისს მეორედ განსხვავებული პროგრამით ეწვევა - მასტერ დი-ჯეი დევიდ დი-სთან ერთად. იგივე, ოთხსაათიანი საცეკვაო მიქსით სტუმრები თბილისიდან ერევანში მიემგზავრებიან. სომხეთში კონცერტი 25 აპრილსაა დაგეგმილი.

დღევანდელი კონცერტი წელს "ნესკაფე დენს ფართის" ეგიდით გამართული ბოლო ღონისძიებაა. როგორც "ისთერნ პრომოუშენში" გვითხრეს, 2003 წელს ამ ორ კომპანიას კიდევ აქვს დაგეგმილი თანამშრომლობა – "ნესკაფე" ზაფხულში, თბილისის მეშვიდე ჯაზ-ფესტივალზე რომელიმე ახალგაზრდული, პოპულარული ჯგუფის ჩამოყვანას გეგმავს. ამჯერად, რასაკვირველია, შემთხვევით არ გაუკეთებიათ სი სი როჯერსზე არჩევანი თბილისში. ამერიკელი მუსიკოსის პირველი გასტროლი, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებული გამოდგა. როჯერსის კონცერტი შარშან, 31 დეკემბერს "შერატონ-მეტეხი პალასში" გაიმართა - მუსიკოსი საკუთარ ჯგუფთან Ce Ce Rogers & The Nu Phonk Project-თან ერთად იყო ჩამოსული. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სი სი როჯერსი სწორედ ამ ჯგუფთან ერთად გამოდის ყველა მნიშვნელოვან ფესტივალსა თუ კონცერტზე. ბოლო დროს Ce Ce Rogers & The Nu Phonk Project ამ შემადგენლობით (რომელიც თბილისში გამართულ საახალწლო კონცერტზე გამოდიოდა) გამოვიდა მონტროს ჯაზ-ფესტივალზე, ასევე ცალკეულ საღამოებზე ტიტო პოენტესთან და ჯო ზავინულთან ერთად. რვაკაციანმა ჯგუფმა თბილისში თავისი ტრადიციული, ფანკისა და რიტმ-ენდ-ბლუზის პროგრამა შეასრულა, რაც სრულიად განსხვავდება სი სი როჯერსის მიერ დღევანდელ საღამოს დაგეგმილი პროგრამისგან.



დი-ჯეი დევიდ დი და სი სი როჯერსი

დღეისათვის ამერიკელ მუსიკოსს ორი პროექტით იცნობენ: პირველზე, რომელსაც საკუთარ ცოცხალ ჯგუფთან ერთად ახორციელებს, უკვე მოგახსენეთ, მეორე - საკლუბო მუსიკალური პროგრამაა მასტერ დი-ჯეი დევიდ დი-სთან ერთად. სი სი როჯერსი ხუთი წელიწადია შვეიცარელ დი-ჯეისთან, დევიდ დი-სთან თანამშრომლობს. მათი ერთობლივი, წარმატებული ჰიტები წლების განმავლობაში საცეკვაო მუსიკის ჩარტებში მოწინავე ადგილებს იკავებს. თუკი სი სი როჯერსი The Nu Phonk Project-თან ერთად ფანკს ემსახურება, დევიდ დი-სთან თანამშრომლობით იგი ჰაუს მუსიკაში მოღვაწეობს.

სი სი როჯერსი ჰაუს-მუსიკის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შემსრულებელი, ვოკალისტი, მუსიკოსი და კომპოზიტორია; მუსიკამ ბავშვობიდანვე გაიტაცა. იგი იმდენად წარმატებულად ეუფლებოდა ფორტეპიანოს, რომ რვა წლის ასაკში ყოველკვირეულ სატელევიზიო გადაცემაში, ჯინ ქეროლის შოუში მიიწვიეს, როგორც ვუნდერკინდი. მუსიკოსის ნამდვილი სახელი და გვარი კენეტ როჯერსია. მეტსახელი chocolate chip ბავშვობაში მეგობარმა შოკოლადის ნამცხვრების სიყვარულის გამო შეარქვა. მოგვიანებით როჯერსის "ნათლია" ჯეიმს ბრაუნი გახდა, რომელმაც მეტსახელი შეუმოკლა და დღეს ამ მუსიკოსს ყველა ასე იცნობს – სი სი-დ. ლეგენდარულ მუსიკოსთან თანამშრომლობის ბედნიერება როჯერსს საკმაოდ ადრე, 11 წლის ასაკში ჰქონდა. მაშინ მან მონაწილეობა მიიღო ბრაუნის Soul City Show-ის საკონცერტო გამოსვლაში.

სი სი როჯერსი ცოტა ხნით სტუდიურ მუსიკოსადაც მუშაობდა მელბი ურთან და ფრედი ჯექსონთან ერთად. მუსიკოსის ბავშვობიდანვე წარმატებული კარიერა წლების განმავლობაში იხვეწებოდა; ჰყავდა რამდენიმე საკუთარი ბენდი, რომლებთან ერთადაც აქტიურად მუშაობდა ფანკისა და რიტმ-ენდ-ბლუზის ჟანრში; უთანამშრომლია არეტა ფრანკლინთან, ჯენეტ ჯექსონთან და (რაც ცოტა გასაკვირია) "დურან დურანთანაც" კი. ჰაუს-მუსიკით სი სი მოგვიანებით დაინტერესდა, როდესაც ბრიტანელ დი-ჯეი დევიდ დი-სთან ერთად ჩაწერა ერთი კომპოზიცია. წარმატებულ ნომერს მათი საბოლოო თანამშრომლობა მოჰყვა. თავად დევიდ დი ერთ-ერთი პიონერია ჰაუს-მუსიკაში მომუშავე დიჯეებს შორის. იგი ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს, ხელმძღვანელობს ხმის ჩამწერ ფირმას USB-ს და, პარალელურად, სხვადასხვა ჯგუფებსა თუ შემსრულებლებს პროდუსერობს.

სი სი როჯერსისა და დი-ჯეი დევიდ დი-ს დღევანდელი პროგრამა საკმაოდ ხანგრძლივია – დევიდ დი "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სცენაზე ოთხი საათის განმავლობაში შექმნის საცეკვაო განწყობას; სი სი როჯერსი კი სამჯერ ნახევარ-ნახევარსაათიანი პროგრამებით ჩაერთვება. როჯერსი მღერის და თან ქიბორდზე უკრავს. კავკასიური ტურნეს შემდეგ დუეტი შვეიცარიაში, ავსტრიასა და იტალიაში გეგმავს კონცერტების გამართვას.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## უვე როსლერი გარდაიცვალა

ორშაბათს საღამოს, 34 წლის ასაკში გარდაიცვალა "მანჩესტერ სიტის" ყოფილი თავდამსხმელი, უვე როსლერი. ამ გერმანელი ფეხბურთელის გვარი, შესაძლოა ქართველ გულშემატკივრებსაც ახსოვდეთ, რადგან როსლერი "მანჩესტერ სიტიში" სწორედ იმ დროს თამაშობდა, როდესაც ამ კლუბის ღირსებას გიორგი ქინქლაძეც იცავდა. ქინქლაძეც და როსლერიც, იმ ხანად "სიტის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები იყვნენ.

"სიტის" შემადგენლობაში, როსლერი 4 წლის განმავლობაში თამაშობდა და 50 გოლი გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი იყო. 2000 წელს, როსლერი "საუთჰემპტონში" გადავიდა, თუმცა იქ გატარებული 2 წლის მანძილზე, უწინდელი ფორმის დაბრუნება ვეღარ შეძლო.

უკანასკნელ დღემდე, როსლერი ნორვეგიის "ლილესტრომის" ღირსებას იცავდა. გუნდის შემადგენლობაში მან გასულ კვირასაც კი ითამაშა, როდესაც "ლილესტრომმა" 1:0 გაიმარჯვა, ეს ერთადერთი გოლი სწორედ როსლერმა გაიტანა.

ცნობილია, რომ სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, როსლერმა ექიმს მიმართა იმის გამო, რომ ძლიერი ხველა და მკერდის არეში აუტანელი ტკივილები ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ როსლერს კიბო ჰქონდა. სწორედ ეს გახდა მისი ნაადრევი სიკვდილის მიზეზი.

## შესაძლოა, აზერბაიჯანი UEFA-ში დააბრუნონ

მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე დღის წინათ, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია გარიცხულ იქნა ყველა საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციიდან, მათ შორის FIFA-დან და UEFA-დან. მაგრამ ჩვენი მეზობლების საქმე არც თუ ისე უიმედოდ ყოფილა: UEFA-ს ერთ-ერთი განცხადებით, რამდენიმე კვირაში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია, შესაძლოა, მსოფლიოს საფეხბურთო "ოჯახში" დააბრუნონ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ ქვეყანაში საგრძნობლად აიწევს საფეხბურთო შეჯიბრების ორგანიზების დონე.

დღემდე გაურკვეველია, თუ როგორი გრაფიკით წარიმართება ევროპის ჩემპიონატის იმ საკვალიფიკაციო ჯგუფის მატჩები, რომელშიც აზერბაიჯანი იღებს მონაწილეობას. UEFA-ს განცხადებით, აზერბაიჯანის ნაკრების მეტოქეებს, სერბეთს, ჩერნოგორიეს, უელსს, იტალიას და ფინეთს, ცვლილებების შესახებ მოგვიანებით აცნობებენ.

## ტოპმიოლერმა "შახტიორს" უარი უთხრა

ცნობილია, რომ უკრაინის მოქმედი ჩემპიონი, დონეცკის "შახტიორი", ლევერკუზენის "ბაიერის" ყოფილ მწვრთნელს, კლაუს ტოპმიოლერს ეპატიჟებოდა თავისთან.

მიმდინარე წლის 16 თებერვლის შემდეგ, ტოპმიოლერი უმუშევარია, თუმცა მისი გადაბირებით ევროპის მრავალი კლუბია დაინტერესებული, მათ შორის "შახტიორიც" იყო. ტოპმიოლერმა დონეცკში გადაბარგებაზე უარი განაცხადა. "შახტიორის" ხელმძღვანელობა დამიკავშირდა, თუმცა მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა. დონეცკში წასვლას არ ვაპირებ", - განაცხადა ტოპმიოლერმა.

51 წლის მწვრთნელი ამბობს, რომ თავისი ახალი კლუბის ვინაობას ორ კვირაში დაასახელებს. ტოპმიოლერის ინფორმაციით, მისით ევროპის რვა სხვადასხვა კლუბია დაინტერესებული, მათ შორის სტამბულის "ფენერბახჩე".

## დან პეტრესკუ კარიერას ასრულებს

რუმინეთის ნაკრების ყოფილმა წევრმა, 36 წლის დან პეტრესკუმ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

"სანამ საბოლოოდ დავკიდებ ბუცებს ლურსმანზე, კიდევ რამდენიმე მატჩს ვითამაშებ. ზაფხულიდან კი სამწვრთნელო საქმიანობას შევუდგები. ვაპირებ რომ პროფესიონალი მწვრთნელი გავხდე, ამიტომაც მთელ ჩემ დროს ამ პროფესიის შესწავლას მოვანდომებ", - განაცხადა პეტრესკუმ.

დან პეტრესკუ 10 წლის განმავლობაში თამაშობდა ბუხარესტის "სტიაუას" შემადგენლობაში, ხოლო 1991 წელს ის იტალიაში გადაბარგდა, სადაც ჯერ "ფოჯას", შემდეგ კი "ჯენოას" ღირსებას იცავდა.

1994 წელს პეტრესკუ ინგლისის "შეფილდ იუნაიტედში" გადავიდა, მერე კი "ჩელსიში". რუმინელი მცველი ინგლისის თასის ორგზის გამარჯვებულია.

სამშობლოში დაბრუნებამდე, პეტრესკუმ "ბრედფორდში" და "საუთჰემპტონშიც" მოასწრო თამაში, ბოლოს კი "სტიაუას" მწვრთნელის "მოთამაშე თამაშემწე" იყო.

## კაკა "მილანში"?

ბრაზილიური "სან პაულუს" ნახევარმცველი, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონი კაკა, შესაძლოა, კახა კალაძის თანაგუნდელი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, თავად ფეხბურთელს ამის დიდი სურვილი აქვს.

"ლეონარდო, როკე ჟუნიორი და რივალდო ჩემი ახლო მეგობრები არიან და, შესაძლოა, ივნისში მეც "მილანში" გადავიდე", - განაცხადა 20 წლის კაკამ. "სან პაულუსთან" მისი კონტრაქტი 2004 წლამდეა ძალაში, თუმცა იტალიურ კლუბში გადასვლა მას მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე სურს.

უცნობია "მილანის" პოზიცია. მას ადრე კი სურდა კაკას შეძენა, მაგრამ კარგა ხანია ამ თემაზე აღარ საუბრობენ.

### ისტორიული ფოტო

## ეს იყო 21 წლის წინათ...



1982 წლის 23 თებერვალი, პარიზი. საფრანგეთის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი მიშელ ფრანსუა იდალგო (მარჯვნივ).

### ფეხბურთი

# ფორცა იტალია!

ბარსელონა - **იუვენტუსი** 1:2 (1:1)
ვალენსია - **ინტერი** 2:1 (0:1)



REUTERS

*პაველ ნედვედმა "იუვენტუსის" გამარჯვებას დასაბამი მისცა*

როგორც ჩანს, ევროპაში იტალიური ერა ბრუნდება. ესპანურ-იტალიური დუელი აპენინელთა სრული ტრიუმფით დასრულდა. მილანის "ინტერი" და ტურინის "იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშებენ.

როცა "ნიუ-კამპზე" მეორე დამატებით ტაიმში მარსელო ზალაიეტამ "ბარსელონას" კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, ტურინის "იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ შვებით ამოისუნთქა. ხუმრობა ხომ არ არის - დავიდ ტრეზეგეს არყოფნაში ლიპიმ ზალაიეტასა და დი ვაიოს შორის არჩევანი გააკეთა და ძირითად შემადგენლობაში ალესანდრო დელ პიეროს მარკო დი ვაიო შეუწყვილა. გადამწყვეტი გოლი კი "ბარსას" კარში სწორედ მარსელო ზალაიეტამ გაიტანა.

შეტევაში "იუვენტუსის" წყვილი არ დაიწუნებოდა, მაგრამ "ბარსელონა" სერიოზულად იყო განწყობილი. "გუნდი არავითარ შემთხვევაში არ შეეცდება ტურინში მიღწეული შედეგის შენარჩუნებას, რადგან გულშემატკივარი ასეთ მიდგომას უბრალოდ არ გვაპატიებს", - განაცხადა რადომირ ანტიჩმა და თავისი შეგირდები სტუმართა კარს შეუსია.

პირველი წუთები მართლაც "ბარსას" კარნახით წარიმართა და ხავიერ სავიოლას ანგარიშის გახსნის რეალური შანსიც მიეცა, მაგრამ მახვილი კუთხიდან მისი დარტყმული ბურთი ჯან ლუიჯი ბუფონისთვის იოლი ლუკმა აღმოჩნდა. საერთოდ კატალონიელების უპირატესობა სავიოლას, კლუივერტისა და ლუის ენრიკეს ზუსტმა თამაშმა განაპირობა. ისინი მარკ ოვერმარსთან ერთად სრულიად აკონტროლებდნენ სტუმართა ნახევარზე მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ ეს პირველ წუთებში ხდებოდა და მას შემდეგ, რაც მოედნის ცენტრში "იუვეს" ჩეხმა ლეგიონერმა პაველ ნედვედმა თავისი გუნდის თამაში გაშალა უკვე ალესანდრო დელ პიეროსაც მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ სავიოლაში არ იყოს ვერც მან ივარგა.

მეორე ტაიმში თამაში გაიხსნა. მინდორზე გაისკა მენდიეტა გამოჩნდა. "ბარსას" შეტევები უფრო მწვავე გახდა, მაგრამ ლუის ენრიკემ რეალური საგოლე მომანტი ვერ გამოიყენა. მატჩის კულმინაცია კი 79-ე წუთზე გათამაშდა, რაცა მეორე ყვითელი ბარათის გამო მინდვრიდან ედგარ დავიდსი გააძევეს. ამ დროისთვის ანგარიში 1:1 იყო. ნედვედის გოლს ხავიმ უპასუხა. "ბარსელონას" უპირატესობის რეალიზების რეალური შანსი მიეცა, მაგრამ გაუთავებელ იერიშებს კატალონიელებმა ვერაფრით მოუძებნეს ლოგიკური დასასრული. სამაგიეროდ მარსელო ზალაიეტამ გააკეთა ის, რასაც "ნიუ-კამპზე", ალბათ არავინ მოელოდა. 10-კაციანმა "იუვენტუსმა" გადამწყვეტი გოლი გაუტანა ამბიციურ კატალონიელებს და ამით ჩემპიონთა ლიგაში "ბარსელონას" წლევანდელ წაუგებელ სერიას ბოლო მოუღო.

"ბარსელონას" ბედი გაიზიარა ჩემპიონთა ლიგის, ალბათ, ყველაზე შეუპოვარმა გუნდმა "ვალენსიამ". "ინტერის" მწვრთნელის ექტორ რაულ კუპერისთვის "მესტალიაზე" გამოჩენა მძიმე იყო. "ძნელია ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაში. მით უფრო, თუ ეს გუნდი მშობლიურია შენთვის, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია მწვრთნელის ცხოვრება" - განაცხადა კუპერმა, მაგრამ ფეხბურთელები თამაშისთვის სერიოზულად განაწყო. მე-5 წუთზე ვიერის გოლს პაბლო აიმარმა ორ წუთში გოლითვე უპასუხა, ხოლო 51-ე წუთზე ბარახამ იმედი ჩაუსახა თავის ქომაგებს. მან შესანიშნავი გოლი გაიტანა და ამ წუთიდან მოყოლებული "ვალენსიას" შეტევები არ დამცხრალა, მაგრამ ამჯერად სანუკვარი მიზანი მიუღწეველი დარჩა. კუპერის გუნდი ნახევარფინალში ითამაშებს.

# ფერგიუსონი დილემის წინაშე

## "მანჩესტერის" წინააღმდეგ რაული ვერ ითამაშებს

*დღეს უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის კიდევ ორი ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვევა. ფერგიუსონის "მანჩესტერ იუნაიტედი" საკუთარ მოედანზე მადრიდის "რეალს" მიიღებს. მილანში კი სერიოზული გამოცდა ელის ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდულ კლუბს, ამსტერდამის "აიაქსს". როგორც იტალიაში თვლიან, "მილანი, გარკვეული პრობლემების მიუხედავად, მაინც იოლად გავა ნახევარფინალში, რადგან ამ ეტაპზე მთავარი მაინც გამოცდილებაა. კუმანის განკარგულებაში კი მხოლოდ ერთი გამოცდილი ფეხბურთელია - იარი ლიტმანენი.*

დიმიტრი ოზოლაძე

### "მანჩესტერი" - "რეალი"

რამდენიმე დღის წინათ მანჩესტერელთა შოტლანდიელმა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ "რეალის" ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტად ეშინია რაულის და არა ზიდანის ან ფიგუსი. ფერგიუსონს შეუძლია, აღარ შეეშინდეს: დღეს საღამოს რაული ვერ ითამაშებს. მადრიდელთა თავდამსხმელს ბრმა ნაწლავის შეტევა დაემართა, რის გამოც სასწრაფოდ საოპერაციო შეიქნა. რაულს, სავარაუდოდ, ერთთვიანი იძულებითი დასვენება მოუწევს. ნებისმიერი სხვა კლუბისთვის ასეთი დანაკლისი კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ არა "რეალისთვის". მიუხედავად იმისა, რომ რაული "სამეფო კლუბისთვისაც" შეუცვლელი ფეხბურთელია, ამ დანაკლისს "რეალი", ალბათ, მაინც შეავსებს. მადრიდელებს ხომ ზიდანი, ფიგუ და რობერტო კარლოსი ჰყავთ - ფეხბურთელი, რომელიც უკვე მანჩესტერელი დევიდ ბექჰემის კოშმარად არის ქცეული.

აქვს თუ არა აზრი ისეთი ფეხბურთელის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას, რომელსაც წლების განმავლობაში აშკარად ჩაგრავს და ამწარებს მეტოქე გუნდის მცველი? ალბათ, არა, თუნდაც მას დევიდ ბექჰემი ერქვას. ინგლისის პრემიერლიგის უკანასკნელ ტურებში ეროვნული ნაკრების კაპიტანი სათადარიგოთა სკამზე ზის. "დევიდ ბექჰემს რობერტო კარლოსი ესიზმრება და ეს სიზმარი მხოლოდ კოშმარულია", - შეიძლება ასე დავახასიათოთ ბრაზილიელ მცველსა და ინგლისელ ნახევარმცველს შორის რამდენიმე წლის წინ დაწყებული დაპირისპირება. "მე დევიდის არ მეშინია, - განაცხადა კარლოსმა, - მეტიც: მის წინააღმდეგ ყოველთვის ძლიერად ვთამაშობ", - განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა პირველი მატჩის წინ. თქვა და შეასრულა კიდეც. ბექჰემი, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, დაბნეული დარბოდა, კარლოსი კი არა მარტო დაცვაში თამაშობდა, არამედ შეტევებში ერთვებოდა და გატანილ გოლებშიც თავისი დიდი წვლილი შეიტანა. ინგლისში ისმის კითხვა: ხომ არ აპირებს ფერგიუსონი ესპანელთა წინააღმდეგ ბექჰემის გარეშე თამაშს? პასუხს დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე გავიგებთ. გარისკავს თუ არა შოტლანდიელი მწვრთნელი? ფერგიუსონისთვის ავტორიტეტი არ არსებობს, რისი დასტურიცაა ბექჰემის გახეთქილი წარბი. და მაინც, რატომ ვერ თამაშობს კარლოსის წინააღმდეგ ინგლისელი, რომელსაც ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნევენ? შესაძლოა, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი საკმაოდ სწორხაზოვანი თამაშით გამოირჩევა. მას არ შეუძლია, რადიკალურად შეცვალოს თამაშის სტილი, გადაეწყოს, ითამაშოს ცენტრში ან მარცხენა ფლანგზე. ყველაფერ ამას კი იდეალურად ასრულებენ ფიგუ და ზიდანი, რაც "რეალს" ნებისმიერი მეტოქისთვის განსაკუთრებით საშიშს ხდის. "მანჩესტერ იუნაიტედი" ბევრს განწირული ჰგონია. ნუთუ არსებობს გუნდი, რომელსაც ფერგიუსონის გუნდი ორ გოლს ვერ გაუტანს? ალბათ, არა. ერთადერთი, რაც განსაკუთრებით ამძიმებს ინგლისელთა მდგომარეობას, სქოულზის დისკვალიფიკაციაა - მის გარეშე ინგლისელებს უკიდურესად გაუჭირდებათ. დელ ბოსკეს პრობლემა კი ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. უკანასკნელი ორი მატჩი სამეფო კლუბისთვის უიღბლო გამოდგა. ჯერ იყო მარცხი უშუალო კონკურენტ "სოსიედადთან", შემდეგ კი ბერნაბეუს "ბარსელონა" ესტუმრა და იქიდან ქულა წაიღო. სწორედ ეს შეხვედრა ბადებს ეჭვს: ზიდანი ცუდად გამოიყურებოდა, ინერტული იყო ფიგუ. მიუხედავად ამისა, მადრიდელებმა ამ მატჩშიც დაადასტურეს რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლიათ.

დღეს, 23 საათსა და 45 წუთზე, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში: "მანჩესტერ იუნაიტედი" - "რეალი".

### მილანი - აიაქსი

"მთავარია გამოცდილება, რომელიც ჩვენ უფრო მეტი გვაქვს", - განაცხადა იტალიელთა მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ და, ალბათ, მართალიც გახლავთ. პირველი შთაბეჭდილება ასეთია: მწვრთნელი დარწმუნებულია საკუთარი გუნდის წარმატებაში. მაგრამ, ცხადია, გულის სიღრმეში ანჩელოტის სერიოზული ეჭვები აქვს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. კლარენს ზეედორფი, მუხლის სერიოზული ტრავმის გამო, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს, თითქმის იმავე ტიპის დაზიანების გამო ერთი თვე მოედანზე ვერ გავა პირლო, დისკვალიფიკაციის გამო "აიაქსის" წინააღმდეგ დღეს ვერ ითამაშებს ჯენარო გატუზო. ამის გარდა, ტრავმირებულია რუი კოშტა, რომლის გამოჯანმრთელების ალბათობა საკმაოდ დიდია. საეჭვოა მილანურ დერბიში ცხვირგატეხილი მალდინის თამაშიც. ყოველივე ამას დაამატეთ ისიც, რომ რივალდო ის რივალდო აღარ არის და ცხადი გახდება, რომ ანჩელოტის სერიოზული პრობლემები ექმნება, პირველ რიგში, ნახევარდაცვის ხაზში. რაც შეეხება კახა კალაძეს, როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედი არა აქვს. ამსტერდამის "აიაქსი" კი აღმავლობის გზაზეა. გუნდს სანერვიულოც არაფერი აქვს. შიდა პირველობაზე კუმანის გუნდი მეორე ადგილს ვერ ასცდება, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში წაგების გამო კი ამსტერდამელებს არავინ დაძრახავს (იტალიელთაგან განსხვავებით). აღსანიშნავია ისიც, რომ "აიაქსი", ტრადიციულად, ძლიერად თამაშობს გასვლით შეხვედრებში და თითქმის ყოველ მატჩში გააქვს გოლები. "მასირებულ დაცვაზე აქცენტის გაკეთებას არ ვაპირებთ, - განაცხადა კუმანმა, - მე რომ დავავალო კიდეც, ფეხბურთელებს 90 წუთის განმავლობაში საკუთარი კარის დაცვა, უბრალოდ, არ შეუძლიათ. "აიაქსის" სტიქია შეტევაა, სულ ცოტა, სწრაფი კონტრშეტევა". კუმანმა გამოცდილების შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ თუ მის ფეხბურთელთა უმრავლესობას სწორედ გამოცდილება აკლია, თავად კუმანმა კარგად იცის, როგორ მიაღწიოს წარმატებას.

# იერო: „ჩვენი უპირატესობა სახიფათოცაა"

*დღეს "რეალი"-"მანჩესტერია", მატჩი, რომელიც ბევრმა "ვადამდელ ფინალად" მონათლა. გთავაზობთ ინტერვიუს მადრიდელთა კაპიტანთან, რომელიც დღევანდელი მატჩის შესახებ საუბრობს.*

**- ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩები "რეალისთვის" საკმაოდ წარუმატებელი იყო. გააანალიზეთ ამ ჩავარდნის მიზეზები?**

- ახლა არ არის ამ ჩავარდნის გაანალიზების დრო, რადგან მომავალი მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. "სოსიედადისა" და "ბარსელონას" წინააღმდეგ არცთუ ისე კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მზად ვართ, "მანჩესტერთან" საუკეთესო ფეხბურთი ვაჩვენოთ.

**- შესაძლოა, ამ მატჩების დროს თქვენ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობდით. იქნებ ამიტომ მოხდა ეს ჩავარდნა?**

- არა, არავითარ შემთხვევაში. ჩემპიონთა ლიგა არ არის ჩვენი ერთადერთი მიზანი. არ არსებობს გუნდი, რომელიც რომელიმე ტურნირზე ხელს ჩაიქნევდა. მადრიდის "რეალი" ყველა ტიტულისთვის იბრძვის. ახლა ორ ტურნირში ვიღებთ მონაწილეობას და ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, რომელიმეზე უარი ვთქვათ - გუნდმა, რომელიც ორივე ამ ტურნირის ლიდერია.

**- როდესაც "მანჩესტერს" 3:1 მოუგეთ, თითქოს უკვე ფინალში იყავით. ახლა კი მეჩვენება, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნაც რეალურია.**

- ჩვენს შემთხვევაში არ არსებობს შუალედი. ერთ დღეს "არაამქვეყნიურ" გუნდად მოგვიხსენიებენ, შემდეგ კი, როდესაც უარყოფითი შედეგი გვაქვს, მიწასთან გვასწორებენ. არ მესმის: ან "არაამქვეყნიურები" ვართ, ან კიდევ, თუ დავმარცხდით, თითქოს მთელი სამყარო ინგრევა.

**- რას ფიქრობ, რა გელით "ოლდ ტრაფორდზე"?**

- ვფიქრობ, უმძიმესი მატჩი გველის. "მანჩესტერ იუნაიტედი" უდიდესი გუნდია და იქ უდიდესი ფეხბურთელები თამაშობენ. "ოლდ ტრაფორდზე" გაგვიჭირდება თამაში.



*ფერნანდო იერო*

მგონია, რომ გარდამავალი უპირატესობა იქნება - ხან ჩვენი, ხან "მანჩესტერის".

**- რა იქნება ამ შეხვედრაში წარმატების მიღწევის უმთავრესი საწინდარი?**

- ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ჩვენი პირველი მატჩია და ანგარიშია არა 3:1, არამედ 0:0. ისეთი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც "მანჩესტერია", ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში დიდი შეცდომა იქნება.

**- როგორ "მანჩესტერს" ელი ამ მატჩში?**

- ალბათ, საუკეთესო "მანჩესტერს" ვნახავთ. პირველი მატჩის შემდეგ უპირატესობა "რეალს" აქვს, მაგრამ ასეთი სიტუაცია სახიფათოც არის.

**- იცი, რომ მსაჯი კოლინა იქნება?**

- დიახ, და ეს გარანტიაა. იცი, რომ არავინ იქნება შენი მოწინააღმდეგისკენ და არც შენკენ, რადგან კოლინა საუკეთესო მსაჯია მსოფლიოში. ის ადამიანია და, რა თქმა უნდა, შეცდომებიც მოდის, მაგრამ ის კარგი მსაჯობის გარანტიაა.

კალათბურთი

# დაიწყო! - პირველი რაუნდი

NBA-ის წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატი, რამდენიმე მიზეზის გამო, კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ. გულშემატკივრის მეხსიერებაში ის დარჩება, როგორც მაიკლ ჯორდანის უკანასკნელი, იაო მინისა და ამარ სტადემაიერისთვის კი სადებიუტო სეზონი. მაგრამ წარსულზე ფიქრი ახლა უადგილო იქნებოდა. წინ სეზონის ყველაზე თვალსასეირო და ამაღელვებელი მოვლენა - პლეი-ოფები გველოდება.

მართალია, პლეი-ოფის პირველი შეხვედრები უკვე შედგა, მაგრამ მაინც მგონია, რომ აღმოსავლეთში პირველი ეტაპი ამოუცნობი და უჩვეულოდ საინტერესო იქნება. სიმართლე რომ ითქვას, აქ ძნელია ივარაუდო - 4:0 ან 4:1. ასეთი ანგარიში, ვფიქრობ, აღმოსავლეთში არ დაფიქსირდება. ეს აქსიომაა და შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ აღმოსავლეთში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისა თუ კლასის გუნდებმა მოიყარეს თავი. არგუმენტად რეგულარული ჩემპიონატის შედეგები გამოგვადგება. საკმარისია, აღმოსავლეთ კონფერენციის სატურნირო მდგომარეობას გადავხედოთ, რომ აღმოვაჩინოთ: პირველი გუნდი მერვეს მხოლოდ რვა მოგებით უსწრებს. დასავლეთში, მაგალითად, ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტია. საერთოდ, აღმოსავლეთში გუნდები სატურნირო ცხრილში მეტად კომპაქტურად განლაგდნენ - 50, 49, 48, 47. ეს რაღაც მათემატიკას ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში გამარჯვების მაჩვენებელია იმ გუნდებისა, ვინც აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველი ხუთი ადგილი დაიკავა (ფილადელფიასა და ინდიანას - 48-48 გამარჯვება დაუგროვდათ).

წლეულს პლეი-ოფის მატჩები პირველი ეტაპიდანვე ოთხ მოგებამდე იქნება. ეს სიახლე მხოლოდ სიკეთეს მოიტანს. ფავორიტები სენსაციებისგან თავს დაიზღვევენ და, რაც მთავარია, ახალი ფორმატი მაყურებლისთვის უფრო საინტერესო გახდება. წლეულს აღმოსავლეთში გამოკვეთილი ფავორიტი არ ყოფილა, ამიტომ ფინალში გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვს. დასავლეთში ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა. სან-ანტონიო, საკრამენტო და დალასი რეგულარულ ჩემპიონატში სხვებთან შედარებით აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ. თუ ამას დავუმატებთ შაკილ ო`ნილისა და კობი ბრაიანტის "ლეიკერსს", გამოდის, რომ დიფერენციაცია მაინც არსებობს. მაშ ასე.

**აღმოსავლეთი**

**ორლანდო - დეტროიტი 99:94 (1:0)**

ტრეისი მაკგრეიდიმ წლეულს საუკეთესო სეზონი ჩაატარა. გახდა მისი ბომბარდირი და სურს, დაამტკიცოს, რომ პლეი-ოფშიც ბევრი სიურპრიზის მომზადება შეუძლია. ძრავების ქალაქის გუნდს ალმავლობაც ჰქონდა და ჩავარდნაც, მაგრამ ის კონკურენტებთან შედარებით ოდნავ უკეთესი იყო. ამას გარდა, "დეტროიტ პისტონსის" დაცვა აღმოსავლეთში საუკეთესოა, მაშინ როცა ორლანდოელი "ჯადოქრების" დაცვის ხაზი ოზონის ხვრელივით ფართო და ბავშვივით უმწეოა. მაკგრეიდის შეჩერებას დეტროიტი მაინც ვერ მოახერხებს. მისი დანარჩენი პარტნიორების ნეიტრალიზება კი, ალბათ, შეუძლია. როგორც წესი, ეს გამარჯვებისთვის საკმარისია, მაგრამ მაკგრეიდის პოტენციალის დავიწყებაც არ შეიძლება. ამასთან, თავისი სიტყვა უნდა თქვან დებიუტანტებმაც - დრიუ გუდენმა და გორდონ გირიჩეკმა.

პირველი მატჩი ორლანდოს გამარჯვებით დასრულდა. მაკგრეიდის ანგარიშზე 43 ქულაა. გუდენმა 18 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა. დეტროიტის შემადგენლობაში საუკეთესო თამაში აჩვენა უოლესმა - 13 მოხსნა, მაგრამ მისი ძალისხმევა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ჰამილტონი და ბილაპსი სუსტად გამოიყურებოდნენ. მათ ქულები, ძირითადად, საჯარიმო ტყორცნებით მოიპოვეს.

**ნიუ-ჯერსი - მილუოკი 109:96**

არა მგონია, რომ "ნიუ-ჯერსი ნეთსი" სიხარულით შეხვდა "მილუოკი ბაქსთან" დაპირისპირებას, მაგრამ, ვფიქრობ, გარი პეიტონისა და დესმონდ მეისონის მოსვლით "ბაქსს" ფერი ეცვალა. დანაკარგი რეი ალენის სახით, რა თქმა უნდა, შესამჩნევია, მაგრამ სამაგიეროდ ჯორჯ კარლს შემადგენლობით ვარირების მეტი საშუალება მიეცა. პეიტონი და კასელი დაცვაში ერთ-ერთ საუკეთესო ტანდემს ქმნიან, ხოლო თავდასხმაში შთამბეჭდავად გამოიყურება მეისონ-ტომას-


ალენ აივერსონმა პირადი რეკორდი დაამყარა

კუკოჩის ტრიო. "ბაქსის" მთავარი პრობლემა ცენტრის პოზიციაა, მაგრამ ანალოგიური პრობლემა ნიუ-ჯერსისაც აწუხებს. როგორც ჩანს, წლევანდელ სეზონში ძირითადი ცენტრის პოზიციაზე ველარ ვიხილავთ დიკემბე მუტომბოს, რომელიც მყარად დაფუძნდა სათადარიგოთა სკამზე.

ეს სერია ჯეისონ კიდისა და გარი პეიტონის საინტერესო დუელი იქნება, რომელიც განსაზღვრავს კიდეც წყვილში გამარჯვებულის ბედს. პირველ შეხვედრაში ჯეისონმა პირწმინდად დაჩაგრა თავისი ვიზავი - 14 ქულა და 14 გადაცემა, შესაბამისად, პეიტონის 8 და 10-ის წინააღმდეგ. "ბაქსს" ჩემპიონატის მაჩვენებლების მიხედვით აღმოსავლეთში საუკეთესო შეტევა აქვს, მაგრამ "ნეთსი" მრავალფეროვანი თამაშით გამოირჩევა. პირველ შეხვედრაში მასპინძელთა ერთბაშად შვიდმა მოთამაშემ დააგროვა 10 და მეტი ქულა. უახლოეს შეხვედრებში პეიტონ-კასელის ტანდემი ვალდებულია, უკეთ ათამაშდეს და მაშინ ვერავინ იტყვის, როგორ დამთავრდება ნიუ-ჯერსისა და მილუოკის დაპირისპირება.

**ინდიანა - ბოსტონი 100:103**

**ინდიანა - ბოსტონი 89:77**

თუ "ინდიანა პეისერსი" მომდევნო წრეში ვერ გააღწევს, მის გამოსვლას სამარცხვინოს მეტს ვერაფერს დავარქმევთ. ერთ დროს ლეგენდარულ "სელტიკსს" ორად ორი მაღალი კლასის მოთამაშე და ამდენივე "მუშა" გამთამაშებელი შერჩა. ინდიანას კი აღმოსავლეთში ყველაზე პერსპექტიული და თანაბრად კარგად დაკომპლექტებული გუნდი ჰყავს. ლეგენდარული გუნდის ერთადერთი იმედი პოლ პირსისა და ანტუან უოკერის ტყორცნებია. ტყორცნები კი, მოგეხსენებათ, არასტაბილური იარაღია. მოკლედ, ყველაფერი იქით მიექანება, რომ ბოსტონის მომავალი მეტისმეტად ბუნდოვან ფერებში გამოიხატება. თუმცა, პირველმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ყველაფერი არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

როცა პირსს ტყორცნები არ მისდის, მას იმედად ჯარიმები რჩება. პირველ მატჩში 21-დან 21 რეალიზებულ ჯარიმას პირსმა თამაშიდან 6 ზუსტი ტყორცნაც დაუმატა და ჯამში 40 ქულა გამოუვიდა. ეს კი გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. პირსმა ამ მატჩში 11 მოხსნაც მიითვალა და საბოლოოდ სწორედ ის გამოვიდა მთავარი "დამნაშავე" "პეისერსის" კაპიტულაციის საქმეში. 34:21 - მეოთხე, გადამწყვეტ მეოთხედში ასე მოუგო ბოსტონმა ინდიანას. არადა, "სელტიკსმა" წინა სამივე მეოთხედი დათმო. რა თქმა უნდა, სტუმრებს დაეხმარნენ ინდიანას ლიდერები - რონ არტესტი და ბრედ მილერი, რომლებმაც 6 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დროზე ადრე დატოვეს. ჯერმეინ ო`ნილმა და ელ ჰარინგტონმა კი 5-5 შენიშვნა მიიღეს. ზანტად გამოიყურებოდა რეჯი მილერიც, რომელიც მომავალი სეზონიდან შეიძლება სასტარტო შემადგენლობას დაემშვიდობოს კიდეც. მეორე შეხვედრაში "პეისერსმა" მდგომარეობა გამოასწორა. მოიგო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მილერის ანგარიშზე 18 ქულაა. საუკეთესო კი ჯერმეინ ო`ნილი იყო (23 ქულა, 20 მოხსნა).

**ფილადელფია - ჰორნეთსი 98:90**

ერთწლიანი შესვენების შემდეგ, როგორც ჩანს, ალენ აივერსონი კვლავ მზად არის ფინალზე სალაშქროდ. ფილადელფია კი საკმაოდ დაბალანსებული გუნდია იმისთვის, რომ თავისი მიზანი რეალობად აქციოს. გამოდის, რომ ნიუ-ორლეანის სიმპათიურ გუნდს სტატისტის როლი რჩება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ჯამალ მეშბერნი, რომელიც კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ფილადელფიამ წლეულს ბევრი აღმოჩენა შემოგვთავაზა. ირკვევა, რომ კოულმენი სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ ათამაშდა და თავისუფლად შეუძლია ცენტრის პოზიციაზე თამაში. აღმოჩნდა, რომ გუნდს დაცვაში მუტომბოს გარეშეც წარმატებით შეუძლია თამაში. ამას გარდა, ნამდვილ აღმოჩენად იქცა კენი ტომასი, რომელიც ფილადელფიაში ჰიუსტონიდან გადავიდა. ტომასი თავის ძველ კლუბშიც კარგად თამაშობდა, მაგრამ გუნდის ლიდერი არასოდეს ყოფილა. სამაგიეროდ, ფილადელფიაში მეორე სუნთქვა გაეხსნა. თავისი ამპლუისთვის არცთუ ისე მაღალი ტომასი (203 სმ.) მსუბუქი ცენტრის პოზიციაზე სტაბილურად უხვ მოსავალს იმკის, როგორც თავის, ისე მეტოქის ფარქვეშ და შეტევაშიც ზუსტი ტყორცნების მაღალი პროცენტით გამოირჩევა.

ვინც ამ გუნდების პირველ მატჩს დაესწრო, ალბათ, კარგა ხანს დაამახსოვრდება და წლების შემდეგ იტყვის, რომ ალენ აივერსონი ნახა. ფილადელფიამ მოიგო. აივერსონმა კი გუნდს 55 ქულა შესძინა - პლეი-ოფის პირადი რეკორდი. "ეს იყო მისი საუკეთესო შედეგი", - განაცხადა ფილადელფიას მთავარმა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა. ამ 55 ქულიდან 20 აივერსონმა უკანასკნელ მეოთხედში მოაგროვა და თავის გუნდს პირველი გამარჯვება გაუნაღდა. კარგა ხანია, ასეთი აივერსონი არავის უნახავს. ის, პრაქტიკულად, მარტო მიუძღოდა გუნდს გამარჯვებისკენ და თავისი გაიტანა.

ამ მაჩვენებლით აივერსონმა ადგილი დაიმკვიდრა ისეთი გრანდების გვერდით, როგორებიც არიან მაიკლ ჯორდანი, უილტ ჩემბერლენი, რიკ ბერი, ჩარლზ ბარკლი და ელჯინ ბეილორი. "მეჩვენებოდა, რომ კალათი დიდი ოკეანე იყო და მე, უბრალოდ, ქვებს ვყრიდი", - ამბობს აივერსონი. ვინ აღარ შეეცადა, შეეჩერებინა აივერსონი - უესლი, დევისი, ოგმენი, ალექსანდერი, მაგრამ ფილადელფიელთა ლიდერი ვერავინ შეაჩერა.

**დასავლეთი**

**ფინიქსი - სან-ანტონიო 96:95 (ო.ტ.)**

**ფინიქსი - სან-ანტონიო 76:84**

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა პლეი-ოფი ნაგებით დაიწყო. თუმცა, ამ მოვლენას სპეციალისტები დროებითს უწოდებენ. ტიმ დანკანის სახით სან-ანტონიოს საკმარისი რეზერვი აქვს მდგომარეობის გამოსასწორებლად. დანკანი თანდათან გამოდის ჩრდილიდან და მისი აქტიურობა გუნდის თამაშსაც დაეტყო. სან-ანტონიომ სერიაში ანგარიში გაათანაბრა. დანკანმა კი მეოთხე მეოთხედში 11 ქულას მოუყარა თავი. სულ დანკანის ანგარიშზე 22 ქულა და 12 მოხსნაა. ამდენად, მარბერის (32 +10 მოხსნა) და ჰარდევეის (17 +11 მოხსნა, +4 ჩაჭრა) დანკანის შესაჩერებლად დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ.

**საკრამენტო - იუტა 96:90**

**საკრამენტო - იუტა 108:95**

მართალია, იუტელი "ჯაზმენები" სახელოვანი დუეტის, სტოქტონ-მელოუნის, ბევრისთვის კვლავაც დიდ წინააღმდეგობას წარმოადგენს, მაგრამ მათ აშკარად უჭირთ საკრამენტოელ "მეფეთა" ლიდერების - სტოიაკოვიჩის, დივაცის, ჯექსონისა და უებერის შეჩერება. ამ გუნდების მეორე მატჩში კრის უებერს ზურგის კუნთი დაეჭიმა და მოედანი დატოვა, მაგრამ საკრამენტომ ლიდერის გარეშეც იოლად გაუმკლავდა მეტოქეს. იმ დროისთვის მასპინძლები 25 ქულის სხვაობით იგებდნენ. სერიაში საკრამენტო საგრძნობლად დაწინაურდა - 2:0. შეიძლება იუტამ საკუთარ კედლებში კიდევ გაიბრძოლოს, მაგრამ აშკარაა, რომ "ჯაზმენების" ძალისხმევა საერთო გამარჯვებისთვის საკმარისი არ იქნება.

**დალასი - პორტლენდი 96:86**

დალასი რეგულარულ ჩემპიონატში მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ ბოლოს პირველობა დათმო და დასავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილს დასჯერდა. ეს არც გადაღლაა და არც კრიზისი. გუნდი, უბრალოდ, პლეი-ოფისთვის ემზადებოდა. პლეი-ოფი კი ის ეტაპია, სადაც მნიშვნელობა არა აქვს, მეექვსე ადგილზე მყოფს გადაეყრები თუ მეშვიდეს. ყველა გუნდს აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და, რაც მთავარია, ამ ეტაპზე ყველა მათგანი ფინალზე ოცნებობს. ამ მხრივ დალასისთვის რეგულარული ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი, შეიძლება ითქვას, მთავარი ტურნირისთვის მოსამზადებელი პერიოდი იყო.

დალასმაც დაისვენა და პორტლენდს გადაეყარა. გუნდმა მაშინვე დაადასტურა თავისი ამბიცია. შეუდარებელი იყო დალასელთა ტრიო - ნოვიცკი-ნეში-ფინლი. ნოვიცკის ანგარიშზე 46 ქულაა. პორტლენდელთაგან ყველაზე გამორჩეული უოლესის მონაგარმა კი 26 ქულა შეადგინა. აშკარაა, რომ პორტლენდს უაღრესად გაუჭირდება დალასური სუპერტრიოს შეჩერება.

**მინესოტა - ლეიკერსი 98:117**

მინესოტაში კევინ გარნეტისა (23 +14 მოხსნა, +7 გადაცემა) და "ლეიკერსის" ცნობილი დუეტის - კობი ბრაიანტისა (39 +8 გადაცემა) და შაკილ ო`ნილის (32 +10 მოხსნა) დუელი გაიმართა. დუეტმა აშკარად აჯობა გარნეტს და, მიმომხილველთა აზრით, ასეც გაგრძელდება. როცა გუნდში კობი ბრაიანტი და შაკილ ო`ნილი გყავს, შეგიძლია მშვიდად იყო, - ამბობენ ლოს ანჯელესში და არც გაემტყუნებათ. "შაკმა" წლევანდელი სეზონი არასტაბილურად ჩაატარა, ბევრი თამაშიც გაუცდა, მაგრამ, როგორც თვითონ ამტკიცებს, პლეი-ოფში ქომაგებს ბევრ სიურპრიზს ჰპირდება. თუ მას დავუჯერებთ, მთავარი ინტრიგა - "ლეიკერსის" ტურნირიდან გამოთიშვა - შეიძლება არც შედგეს.



ნინო I

## იტალიური კინოს მერყევი ვარსკვლავი და „რომას„ ფრანგი მცველი

1998 წლის ზაფხულში 20 წლის ჯონათან ძებინა საფრანგეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე "კანმა" სარდინიაში გაუშვა - სერია A-ში ახლად გადასულ "კალიარიში" სათამაშოდ. ახალგაზრდა ფრანგი თავის გამოჩენის სურვილით იწვოდა, გულით სურდა, იტალიელებისთვის თავი მოეწონებინა და "კალიარიდან" რომელიმე გრანდში გადასულიყო. ორ წელიწადში შეძლო კიდეც დასახული მიზნის შესრულება: 2000 წელს ფრანკო სენსის "რომაში" ამოყო თავი და პირველსავე სეზონში იტალიის ჩემპიონი გახდა. 2001 წლის მაისში ფაბიო კაპელოს გუნდმა თვრამეტწლიანი ინტერვალის შემდეგ დიდი ხნის ნანატრი "სკუდეტო" დაისაკუთრა.


რომინა მონდელო

"რომას" ფეხბურთელები გმირებად იქცნენ. ფრანჩესკო ტოტისთან, ვინჩენცო მონტელასთან, კრისტიანო ძანეტისთან და სხვებთან ერთად ჯონათან ძებინაც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც იმ დღეებში ნახევარი "რომი" აღმერთებდა, მეორე ნახევარი კი, ანუ "ლაციოს" ტიფოზები, დასანახავად ვერ იტანდა. მომხიბვლელი რომაელი მსახიობი რომინა მონდელოც "რომას" ფანი აღმოჩნდა... ზებინას დიდხანს არ სჯეროდა თავისი ბედნიერების. რომინა იტალიელი ახალგაზრდების საყვარელი მსახიობი იყო, თაყვანისმცემელთა ყურადღებით დიდად განებივრებული და, რომ მოესურვებინა, ახალბედა ზებინას კი არა, ალბათ, თვით ფაბიო კაპელოსაც აცდუნებდა...

2001 წლის ზაფხულში ყველამ შეამჩნია, რომ "გოგონა ესპანეთის მოედნიდან" (რომინას ყველაზე პოპულარული ფილმის სახელწოდება) ოთხი წლით უმცროსი ფრანგი ფეხბურთელით იყო გატაცებული. ძებინაც თავდავიწყებით შეყვარებული ჩანდა. რომინა დაშორდა თავის მეგობარს, ცნობილ მსახიობ რაულ ბავოს, რომელსაც იტალიელი ქალები სიმპათიურ მამაკაცად თვლიდნენ და ძებინას დაუმეგობრდა. რავულ ბავომ ნუგეში იპოვა კიარა ჯორდანოსთან, რომელიც ცოლად შეირთო და ვაჟიშვილიც შეეძინა. რომინას და ზებინას სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ ყურადღებას აღარაფერს აქცევდნენ - არც ასაკობრივ განსხვავებას, არც ენობრივ ბარიერს, არც ხასიათის შეუთავსებლობას. ძებინა მონდომებით სწავლობდა იტალიურს, საზოგადოებაში მუდამ რომინასთან ერთად ჩნდებოდა და, მომავალ წელსაც ჩემპიონები გავხდებითო, - იქადნებოდა. მოკლედ, რომის ლურჯი ცის ქვეშ ორივე უსაზღვროდ ბედნიერი იყო, მაგრამ არა დიდი ხნით...

### „გოგონა ესპანეთის მოედნიდან„

ესპანეთის მოედანი და კიბეები რომის იმ ღირსშესანიშნაობათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ტურისტებიც და რომაელებიც დიდი სიამოვნებით სეირნობენ. გოგონამ, რომელმაც ესპანეთის მოედანზე თავისი სიყვარული იპოვა, სულ იოლად შეძლო, რომიდან გაუსვლელად, ბრწყინვალე კარიერა გაეკეთებინა. ღმერთმა რომინა მონდელა სილამაზესთან ერთად დიდი ნიჭითაც დააჯილდოვა. ის ბავშვობიდან სწავლობდა როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ცეკვებს და მღეროდა კიდეც. 1992 წელს 18 წლის რომინა ჯერ ტელევიზიაში მოხვდა, სადაც ორ გადაცემაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი ორნელა მუტისთან ერთად გადაიღეს ფილმში "ექსტაზი". სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ესეც საკმარისი იქნებოდა პოპულარობის მოსაპოვებლად, მაგრამ რომინა მარტო კინოში და ტელევიზიაში მიღწეულ წარმატებებს არ დასჯერდა და 1999 წელს თეატრშიც მოსინჯა ძალები. მისი სადებიუტო როლი სპექტაკლში "პულჩინელა" იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ 2000 წელს ფსიქოლოგიური სახის შექმნაც შესთავაზეს - დოსტოევსკის ნოველა "თეთრი ღამეების" რომანტიკული გმირი ქალი ნასტენკა განასახიერა. რა თქმა უნდა, უცებ გახდა პოპულარული. მის გვერდით ყოფნას არაერთი მამაკაცი ნატრობდა, რომინამ კი ძებინა აირჩია. საერთოდ, მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალები ფეხბურთელებს მეტწილად იმიტომ უმეგობრდებიან, რომ იქნებ ამ გზით მაინც მიიქციონ საზოგადოების ყურადღება. რომინას ეს არ სჭირდებოდა, ის თავად ზრუნავდა საკუთარ პოპულარობაზე. იმდენად ცნობილი იყო, რომ მისი წყალობით ძებინა იმათაც კი გაიცნეს, ვისაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებდა. ისინი სულ ორწელიწადნახევარი იყვნენ ერთად, მაგრამ ეს დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფრანგი მცველით იტალიელი მანდილოსნები დაინტერესებულიყვნენ. როცა რომინა ძებინას დაშორდა, ეს უკანასკნელი უკვე ბევრისთვის საოცნებო მამაკაციც კი იყო...

რომინამ სულ მალე იპოვა თავისი ოცნების პრინცი - ნიკოლას ვეჩა სკავალი იტალიური წარმოშობის პარიზელია. როგორც ჩანს, რომინას ფრანგული სიყვარული ახლაც ურჩევნია იტალიურს. ისინი დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს, დაქორწინება კი სულ რაღაც ერთ თვეში გადაწყვიტეს. აპრილის დასაწყისში ულამაზეს თეთრ კაბაში გამოწყობილმა "გოგონამ ესპანეთის მოედნიდან" და პარიზელმა "ოცნების პრინცმა" რომის კამპიდოლიოში იქორწინეს. ჯონათან ძებინა აღარავის ახსოვდა. ფრანგი მცველი ჯერჯერობით ისევ მარტოა და ახალ სიყვარულს ელის...

კრივი

# ამღვრეულ წყალში მილიონები ტივტივებს

გიგა გურასაშვილი

*საქმე ისეა, შესაძლოა, პროფესიონალ მოკრივეთა შორის ყველაზე პატივდებული კრივის მსოფლიოს საბჭო (WBC) ახლო მომავალში გაკოტრებულად გამოცხადდეს. მით უმეტეს, პროცედურის მრიცხველი ჩართულია. მიზეზი 1998 წლის სასამართლო განაჩენია, რომელიც ნახევრად მძიმე წონის აბსოლუტურ ჩემპიონს, ამჟამად მძიმე წონაში აზარგებული კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ჩემპიონის, როი ჯონს-უმცროსის გამოისობით გამოიტანეს. როი ჯონსის წონებს შორის აღმა-დაღმა სიარულის გამო WBC ვალდებულია, გერმანელ მოკრივეს, გრაციანო როკიჯანის, 31 მილიონი დოლარი გადაუხადოს.*

ნახევრად მძიმე წონის რაგინდარა ტიტულების პატრონმა, როი ჯონს-უმცროსმა, საკრივო სამყაროში ისე აამღვრია წყალი, რომ კრივის მსოფლიო საბჭოს საჩემპიონო სარტყელს, რომელიც ყველაზე მეტად ფასობს მოკრივეებს შორის, შესაძლოა, ეშმაკები დაეპატრონონ. წყლი კი 1998 წელს აიმღვრა.

ხუთი წლის წინათ, ანუ მაშინ, როდესაც როი ჯონსი საბჭოს საჩემპიონო ქამრის მატარებელი გახლდათ, მან ქვეყანას ამცნო: თვალი მძიმე წონისკენ მიჭირავს, რადგან ნახევრად მძიმეში მუშტების ქნევა აღარ მხიბლავსო. საკუთარი სამწყსოს უძლიერეს მოკრივეს WBC სიტყვაზე ენდო და ჯონსის მიერ ბრძოლით მოპოვებული ქამარი ვაკანტურად გამოაცხადა. უპატრონოდ დარჩენილ ქამარს, მით უმეტეს საბჭოსას, აბა, ვინ გააცივებდა.

ჰოდა, რინგზე გერმანელ გრაციანო როკიჯანსა (იგივე როკი, როგორც მას საკრივო სამყაროში იცნობენ) და მაიკლ ნუნის უხმეს. საჩემპიონო შეხვედრა 1998 წლის 21 მარტს შედგა. იგი როკიჯანიმ მოიგო და, რა თქმა უნდა, ნახევრად მძიმე წონის ახალ გამგებლად გამოცხადდა. თუმცა, გრაციანოს ზეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. როი ჯონსმა სიტყვა გადათქვა - არსადაც არ მივდივარო. საბჭოში მიხვდნენ, რომ გააცურეს და სასწრაფოდ განაცხადეს: როკიჯანი ჩემპიონობისთვის კი არ იბრძოდა, არამედ შუალედურისთვისო. ნამდვილ ჩემპიონად კი ისევ ჯონსი შერაცხეს.

არეულობაც აქედან დაიწყო. გერმანელმა მოკრივემ - რას მიედ-მოედებითო. მოვლენათა ასეთი განვითარებით უკმაყოფილო როკიჯანიმ რკინის ქალამნები ჩაიცვა და დახმარებისთვის ნიუ იორკის სასამართლოს მიმართა. ბუნებრივია, გერმანელი ტიტულის დაბრუნებას ითხოვდა, ამასთან, მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებასაც. დავა-კამათი ოთხ წელიწადს გაგრძელდა. საოლქოს მოსამართლემ, ვინმე რიჩარდ ოუენმა, შარშან გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვითაც კრივის მსოფლიო საბჭო ვალდებულია, გერმანელ მოკრივეს, კომპენსაციის სახით, 31 მილიონი დოლარით "შეეწიოს".



ჯონსმა როკიჯანი საბჭოს დაუპირისპირა, თვითონ კი ჩემპიონის ქამარი მოირგო

აღსანიშნავია, რომ სასამართლო მოსმენა შედგა მაშინ, როდესაც თავად მომჩივანი პოლიციელებთან ჩხუბისთვის ბერლინის ციხეში სასჯელს იხდიდა. როკიჯანისთვის ეს სამართალდამცველებთან ურთიერთობის პირველი შემთხვევა არ იყო. 1988 წლიდან მოყოლებული, მას არაერთხელ მოუხდია პირობითი სასჯელი. ბოლოს, იმდენი ქნა, რომ ციხეში ამოაყოფინეს თავი. თუმცა, განაჩენის გამოტანისას გერმანელი შარისთავი საპყრობილიდან გამოუშვეს.

ერთი სიტყვით, როკიჯანიმ თავისი გაიტანა, მაგრამ ნაწილობრივ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ განაჩენში არაფერია ნათქვამი ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებაზე. ამასთან, თანხაც დროებით გაყინულია.

საბჭო კი, საკუთარ იურისტთა ბედოვლათობის წყალობით, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ისტორია იმით გაგრძელდა, რომ კრივის მსოფლიო საბჭომ, რომელსაც მექსიკაში დაუდია ბინა, გაკოტრების პროცედურა წამოიწყო. ჯერჯერობით WBC-ს იურისტები საბუთებში იქექებიან - იქნებ რამე ხელჩასაჭიდი ვიპოვოთ და თავი ვიმართლოთო. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო გაკოტრებულად გამოცხადდა, მაშინ ის როკიჯანის მიმართ დავალიანებისგან ავტომატურად გათავისუფლდება. ამასთან, იურიდიული პირის სტატუსსაც შეინარჩუნებს და ორთაბრძოლების გამართვის უფლებასაც.

ახლა კი რა ხდება? როი ჯონსმა, ჯერ იყო და, ყველას თავგზა აუბნია და როკიჯანი და საბჭოს მამები ერთმანეთს წაჰკიდა, ახლაა და, ისევ მძიმე წონაშია.

მას შემდეგ, რაც 1 მარტს ისტორიულ დაპირისპირებაში როი ჯონსმა მასზე ზომა-წონით აღმატებულ, ანუ მძიმეწონოსან ჯონ რუისს ასოციაციის ჩემპიონის ქამარი აართვა, მიიჩნევდნენ, რომ ჯონსის საქციელი ერთჯერადი იქნებოდა. თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, მოსაფიქრებლად დრო მისცეს (ვადა 15 აპრილს ამოიწურა. - რედ.).

ასეა თუ ისე, თავად როი ჯონსს თუ ვენდობით, მან კრივის მსოფლიო ასოციაციას ოფიციალურად ამცნო, რომ მძიმე წონაში ყოფნა სურს. დამაჯერებლობისთვის კი დასძინა, ნახევრად მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონის ქამარზე ყველა უფლება თქვენთვის მომინიჭებიაო.

**ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო აწყობს სასკოლო ინტერნეტის გვერდების კონკურსს**

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღება 1 მაისამდე

კონკურსის პირობები კავშირის გვერდზე

**www.idg-georgia.org.ge**

ან

თვით კავშირში

თბილისი, რუსთაველის 22

ტელეფონი: **990037**

ელ. ფოსტა: **idg@idg-georgia.org.ge**

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კვითარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვაკანსიები, მომსახურება, სამუშაო, გაცნობა

23.04.03 N-111

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"

გთავაზობთ:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა ვინდოუს.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**„აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
"ნესკაფე დენს ფართი"
სისი როჯერსისა და დი-ჯეი დევიდ დის მონაწილეობით
დას: 23 სთ; ფასი 45 ლარი

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
გივი თოიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"გაანალიზე" 2"
დას: 14:00; 18:00; 22:00 სთ; ფასი 6-8 ლარი
"რვა მილი"
დას: 16:00; 20:00 სთ; ფასი 6-8 ლარი

**„რუსთაველი"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სახიფათო ადამიანის აღსარება"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,9 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„ელისო"**
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"სახიფათო ადამიანის აღსარება"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული კუთხის ნათელი ბინა კაპიტალურ ავტოფარეხთან ერთად. წერეთლის გამზირზე (გამოფენის პირდაპირ) 7(8). ფასი 22 000$. ტელ: 33-25-20.

იყიდება 11-ოთახიანი კეთილმოწყობილი კერძო სახლი საბურთალოზე 400 000-ად ან ქირავდება უცხოელებზე 5 000-ად. 98 32 80

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება 2-სართულიანი სახლი ზღვის პირას, სოფელ ანაკლიაში, 8000-კვ.მ. მიწის ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-30-73, 877-44-77-37.

იყიდება ორსართულიანი სახლი ზღვისპირას სოფელ ანაკლიაში 8000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-30-73 მობ: 877 44-77-37

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442

სატენდერო წინადადებების მომზადების და ექსპერტიზის ტრენინგ-პროგრამა პროფესიონალებისთვის. 38-54-78. 899 115545.

## სხვადასხვა

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566**

მოვუვლი ბავშვს იდეალური პირობებით. 32-37-22

ვიმუშავებ მზარეულად პრესტიჟულ რესტორანში. 32-37-22.

მოდელების სააგენტო "ფიესტა" იწვევს 10-დან 20 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს მანეკენებისა და ფოტომოდელების სტუდიაში. მიღება 14-დან 31 აპრილამდე. 38 59 71, 38 94 69

სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების კონსულტირება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში. ტელ: 38-54-78, 899 115545.

ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობის მიღების მსურველი კომპანიების კონსულტირება სატენდერო წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში. ტელ: 38-54-78, 899 115545.

ვამზადებთ უმაღლესი ხარისხის მასიურ ავეჯს, კარ-ფანჯრებს და კიბეებს, ჯიქიას N8; 8(93) 319707 - რამაზი

ქირავდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა რუსთაველის ქუჩასთან ახლოს, ბესიკის ქუჩა N9-ში დღიურად. ფასი 1 დღე $30. ტელ: 92-03-85, 899 9169-98




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

ვაქირავებ ოროთახიან გარემონტებულ ბინას სოლოლაკში მუდმივი დენით, ტელეფონით, იაფად ტელ: 98-71-70

ყველაფერი საუკეთესო ჩვილ ბავშვებს! იზრუნეთ მათ კეთილდღეობაზე. ინფორმაციისათვის დარეკეთ: 899 33-09-35

შევიძენ მანქანის მიზნობრივ ანგარიშსწორების ქვითრებს, 1990-1992 წლების ტელ: 899 21-24-02

მასაჟის კურსები ქალბატონებისათვის კლასიკური და ჩინურ-იაპონური. ტელ: 32-11-17

შევასწავლი გერმანულ ენას ტელ: 32-03-71, 899 29-88-05

მოვუვლი ბავშვს, ინვალიდს ან მოხუცებულს ტელ: 32-37-22

ვიმუშავებ მზარეულად ან მიმტანად ტელ: 32-37-22

ბრიტანეთში ასპირანტურა დამთავრებული და ამერიკაში სტაჟირებული სპეციალისტი მოამზადებს ინგლისურში ნებისმიერ მსურველს თანამედროვე სტანდარტებით. ტელ: 30-46-09, 893 32-01-34

გთავაზობთ უნიკალურ **ფრანგულ კოსმეტიკას**, რომელიც შესანიშნავია აგრეთვე მოზარდებისთვისაც.
**საგაზაფხულო ფასდაკლება.**
ჩაწერა წინასწარ 899 551722.










## TV პროგრამა 23 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერ. „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
14.50 ტელეკაზინო
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.20 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.45 ტელეკაზინო
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერი"-"რეალი"
02.00 ჩემპიონთა ლიგა. „მილანი"-"აიაქსი"
04.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „კეთილშობილი მარტა"
11.30 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 „ქართული მთამსვლელობის ისტორია"
15.15 ჯ. ვერდი. „ბალ-მასკარადი"
16.30 პალიტრა
17.05 ტელესერიალი „ქილის წინ"
17.20 50-50 18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 „მათი შვილები"
22.35 ტელესერიალი „ქილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „კონდორის სამი დღე"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ორასი წლის კაცი" მთ.რ-ში რობინ უილიამსი
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 ფილმი ბრავო „გოსფორდ-პარკი" მთ.რ-ში ემილი უოტსონი
01.40 ფილმი ღამურა „კვალზე მიმავალი" მთ.რ-ში კრის კრისტოფერსონი
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ჩვენი მისამართია
21.00 და არს მუსიკა
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „პოლიციელის სიტყვა"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.30 ფ. „ოთხი ქორწილი და ერთი გასვენება"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „ვატერლოოს ხიდი"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „მაგარი ჯო"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „კოქტეილი"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუს. ენის გაკვ. ინგლისური ენის გაკვ.
12.00 „სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საბავშვო მუსიკ. კოლაჟის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუს. ენის გაკვეთილი, ინგლ. ენის გაკვეთილი
19.30 სცენის ოსტატები
20.30 მულტფილმი
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 თინეიჯერი
23.30 მუსიკალური პაუზა
23.45 ტელესერიალი „ყვავახანა"
00.00 მხ. ფილმი „კავკასიელი ტყვე"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" 1-ლი ს.
10.25 მულტფილმი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ. ფილმი „გორტს იქით"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „გაყინვის წერტილი ნული"
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტფ. „ბანანების ზოოპარკი" მე-2 ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „მადა"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „შეწყვეტილი სიცოცხლე"

### იმედი

17.00, 01.10 იმედის მელოდიები
18.00, 21.00, 01.05 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „სული და სხეული" 1-ლი ს.
20.30 8 1-2 „არტ-ბულვარი"
21.05 სერიალი „მოქალაქე უფროსო"
22.45 ფანების კინოკლუბი „მთიელი" კ. ლამბერტი

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 საბავშვო ფილმი „პატარა პრინცესა"
11.10 დეტექტ. „კონკიაზე ნადირობა" 3 სერია
12.10 თრილერი „ბაზა"
13.50 დეტექტივი „ათი ზანგის ბიჭუნა"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 „ნოვოსტი"
16.15 მულტფილმი „მაუგლი"
17.50 თრილერი „სისხლით ძმები"
19.35 „პრესდაიჯესტი"
20.00 მელოდრამა „ამელი"
22.00, 00.00 „დღეს"
23.00 „ალტენატივა"
00.35 საინფორმ. გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.45 საინფორმ. გამოშვება გერმანულ ენაზე
00.50 საინფორმ. გამოშვება ფრანგულ ენაზე
00.55 თრილერი „შესანიშნავი"
03.20 მუსიკა
03.50 დრამა „რომეო და ჯულიეტა"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 „ბიორითმი" - .
13.05 მობილურები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 კომპიუტერული თამაშები
14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.45 მელოდია
23.00 „კინოკლუბი „ - „ერთი შეშლილი ზაფხული". კომედია. რეჟ-სევიჯ სტივ ჯოლანდი როლებში: დემი მური და ჰონ კიუსაკი
00.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.10 „ბიორითმი".

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 „Земля любви, земля надежды"
11.10, 22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
12.05, 17.25, 01.00 „Фабрика звезд-2"
12.35 „Ллойд в космосе"
13.15 Худ. фильм „ЖЕНИТЬБА БАЛЬЗАМИНОВА"
15.00 „Русский экстрим"
15.30 „сила йоги"
16.15 Солдаты свободы: „Минское кольцо"
17.10 „Ералаш"
18.00 „Большая стирка"
19.25 Смехопанорама
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.35 Время
23.45 „Александр 2-й. Жизнь. Любовь. Смерть" фильм 4-й
01.15 „Русский „Шаттл".
01.45 „Гении и злодеи"
02.15 Апология 03.10 Худ. фильм „ТОЧНО ПО РАСПИСАНИЮ"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „СМОТРЯЩИЙ ВНИЗ"
10.50 Сериал „ТАЙГА"
11.40, 05.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 04.05 Агентство одиноких сердец
18.20 Футбол. „Спартак" (Москва) - „Зенит" (Санкт-Петербург)
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
23.05 „Создать „Группу „А". „Павшие и живые"
00.00 Вести+
00.30 Вести-Спорт
00.40 Детектив „ГРОМОВОЕ СЕРДЦЕ"
02.55 Дорожный патруль
03.15 „ТВИН ПИКС"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.20 „Внимание розыск!"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Растительная жизнь". С. Миронов.
12.35 „Вы будете смеяться"
13.05 Худ. фильм „ОДИН ШАНС ИЗ ТЫСЯЧИ"
14.40 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.05, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Чистосердечное признание
20.40, 01.35 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.35 ФУТБОЛ. „Манчестер Юнайтед" - „Реал"
02.40 „Доктор"
03.30 Дневник лиги чемпионов

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*




# დღესასწაული, სახელად წიგნის კითხვა




წიგნი და წითელი ვარდი, ალბათ, ყველაზე სათუთი კომბინაციაა, რომელიც ხშირად გამოყენების შემთხვევაში ვულგარულობად იქცევა. თუმცა, წელიწადში ერთხელ – ზუსტად ის დოზაა, რაც ბიბლიო და ვარდოფილებს, რომლებიც ამავე დროს დიდი ესთეტებიც არიან, ეს ნაზავი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. დღეს სწორედ ამგვარი სიამოვნების მიღების დროა. 23 აპრილს, UNESCO-ს მიერ დაწესებულ წიგნის საერთაშორისო დღეს ფონად სწორედ წითელი ვარდები გასდევს.

ამ ლამაზ ტრადიციას – ყოველ ნაყიდ წიგნთან ერთად მყიდველს ერთი წითელი ვარდი აჩუქონ, მსოფლიო ესპანელებს უნდა უმადლოდეს. სანამ UNESCO 23 აპრილს საერთაშორისო თარიღად აქცევდა, სიყვარულის დღეს წიგნებისა და ვარდების თანხლებით კატალონიაში აღნიშავდნენ. ეს გახლდათ წმინდა ვალენტინის ესპანური ვარიანტი, რომელსაც რომანტიკას მატებდა კატალონიის მფარველი წმინდანის, წმინდა გიორგის შესახებ გავრცელებული ლეგენდა: ადგილობრივებს დღემდე სწამთ, რომ როდესაც წმინდანმა გველეშაპი განგმირა, სისხლის წვეთიდან წითელი ვარდი აღმოცენდა, რომელიც მხედარმა პრინცესას უძღვნა. სწორედ ამ ისტორიიდან იღებს დასაბამს 23 აპრილს წითელი ვარდის ჩუქების ტრადიცია, რომელსაც შემდეგ წიგნი და ამბორიც დაემატა.

ასე რომ, UNESCO რომ არც გამოჩენილიყო, ბარსელონაში წიგნის, ვარდისა და სიყვარულის ფასს ისედაც გრძნობდნენ. 1920-იანი წლებიდან დაწყებული, კატალონიელი შეყვარებულები ერთმანეთს სწორედ ამ სამ აუცილებელ "ატრიბუტს" ჩუქნიან. უფრო ზუსტად, ქალები მამაკაცებს წიგნებით ახარებენ, ისინი კი მანდილოსნებს ვარდებით პასუხობენ. გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" არაფერს ამბობს ამ დღეს გაყიდული წიგნების რაოდენობის შესახებ, აი, წითელი ვარდი კი, მხოლოდ 23 აპრილს დაახლოებით 4 მილიონი ცალის ოდენობით იყიდება.

როგორც მასობრივ დღესასწაულებზე ხშირად ხდება ხოლმე, 23 აპრილსაც ბარსელონა ხალხით ივსება. ათასობით შეყვარებული წყვილი უმიზნოდ დახეტიალობს ხმელთაშუაზღვისპირეთის ამ ულამაზესი ქალაქის ქუჩებში და თითქმის ყოველ მათგანს ხელში წიგნი და ვარდი უჭირავს. ტურისტების მისაზიდად ქალაქი მრავალფეროვან ღონისძიებებსაც მასპინძლობს. ბარსელონაში არც ის ავიწყდებათ, რომ 23 აპრილი შექსპირის დაბადება-გარდაცვალების და ესპანეთის სიამაყის – სერვანტესის გარდაცვალების დღეა და მრავალ ღონისძიებას სწორედ ამ ორ დიდ ლიტერატურულ სახელზე აგებენ. ტურისტებიც სიამოვნებით ერთვებიან ხოლმე "დონ კიხოტის" ე.წ. მარათონულ კითხვაში, რომელიც ქალაქის რამდენიმე კაფესა და წიგნის მაღაზიაში მიმდინარეობს. ამ დღეს იხსენებენ 23 აპრილს დაბადებულ თუ გარდაცვლილ სხვა დიდ მწერლებსაც, მათ შორის გახლავთ პოეტი ხოსე პლაც, რომელსაც, როგორც კატალონიელს, განსაკუთრებული სიამაყით იგონებენ ხოლმე.

ბარსელონა გახლავთ კიდევ ერთი საერთაშორისო ტრადიციის ფუძემდებელიც. კატალონიის დედაქალაქის მიბაძვით წიგნებთან დაკავშირებული ღონისძიებები მსოფლიოს ყოველ კუთხეში ღია ცის ქვეშ იმართება. თვითონ ბარსელონაში კი დღეს ყველაზე დიდი რაოდენობის წიგნები, ერთ ცალ წითელ ვარდთან ერთად, ლას რამბლას ქუჩაზე გაიყიდება. ღონისძიებაში, როგორც წესი, მონაწილეობას კატალონიელი მწერლებიც იღებენ. სპეციალურ ფასდაკლებებია გამოაცხადებული წიგნის მაღაზიებშიც. მაგალითად, ყველაზე ცნობილ მაღაზიაში Fnac გამოცემები 10-პროცენტიანი ფასდაკლებით იყიდება. ხოლო ის, ვინც ორ წიგნს შეიძენს, მესამეს, კერძოდ კი, სერვანტესის პრემიის ლაურეატის, ხოსე ხიმენეს ლოზანოს ბოლო ნაწარმოებს საჩუქრად მიიღებს. წიგნის ზეიმი ბარსელონაში დღეს საღამოს, 8 საათზე დასრულდება.



ბავშვები ირჩევენ წიგნს


სერვანტესი


შექსპირი

დროის თითქმის იგივე მონაკვეთში, დილის 10-იდან საღამოს 8 საათამდე, წიგნის ზეიმი შვეიცარიაში, შვედეთში, ფინეთში, იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, კანადაში, საბერძნეთში, მაროკოში, მოზამბიკში, პუერტო რიკოში, კუბაშიც იმართება. წიგნის დღესასწაულის ასეთი მასშტაბური აღნიშვნა კი 1995 წლიდან დაიწყეს, მას შემდეგ, რაც UNESCO-ს გენერალურ კონფერენციაზე 23 აპრილი წიგნის ოფიციალურ დღედ გამოაცხადეს. თუმცა, თავიდან ეს დღესასწაული ლოპე დე ვეგას გარდაცვალების დღეს დაამთხვიეს და მხოლოდ მოგვიანებით გაიხსენეს, რომ 23 აპრილი სერვანტესისა და შექსპირის გარდაცვალების დღეც არის.

UNESCO წიგნის დღესასწაულს, პირველ რიგში, ახალგაზრდებისთვის აწყობს და მოვლენას საგანმანათლებლო ფუნქციას ანიჭებს. 23 აპრილს დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების წყალობით სწორედ ბავშვებმა უნდა შეიმეცნონ, რომ არსებობს ყველაზე ინტიმური და ყველაზე სასიამოვნო ზეიმი, რომელსაც წიგნის კითხვა ჰქვია. ამ მიზეზით დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, ბარსელონისგან განსხვავებით, მსოფლიო წიგნის დღე სწორედ საშუალო სკოლებთან ასოცირდება. ღონისძიებას იქ, ძირითადად, წიგნის გამომცემლები და გამავრცელებლები აფინანსებენ. იმისათვის, რომ ბავშვებს კითხვა შეაყვარონ რა ხერხს აღარ იგონებენ. მაგალითად, შარშან დიდ ბრიტანეთში თითქმის ყოველ დიდ ქუჩას ამშვენებდა პლაკატები, რომლებზეც ცნობილი სახეები თავიანთ საყვარელ წიგნს კითხულობენ და კითხვისკენ თინეიჯერებსაც მოუწოდებენ. შვედეთშიც მსხვილი გამომცემლები ათასობით წიგნს სკოლებს უფასოდ ურიგებენ. სხვა ქვეყნებში ზრუნავენ ავადმყოფებსა და პატიმრებზე და 23 აპრილს ახალ-ახალი გამოცემებით ამდიდრებენ ციხეებისა და კლინიკების ბიბლიოთეკებს. ძალზე ორიგინალური ღონისძიებებით ხვდებიან ამ დღეს სამხრეთ კორეაში, სადაც წიგნის პროპაგანდისთვის მეტროს მატარებლებს იყენებენ. შარშანდელ დღესასწაულზე სეულის მეტროს მატარებლებში სპეციალური თაროები დაამონტაჟეს და დაახლოებით 3 ათასამდე წიგნი გამოფინეს. საერთო თემა – "წიგნების კულტურა" ათამდე გამოფენას აერთიანებდა: "კორეული წიგნების ისტორია", "კიდევ ერთხელ წიგნების შესახებ; "კითხვის საპროპაგანდო კამპანია", "გასეირნება ლიტერატურის ტყეში", "წიგნი, რომელმაც შეცვალა ჩემი ცხოვრება", "წიგნები თინეიჯერებისთვის"...

ერთი სიტყვით, წიგნი ის სიტყვაა, რომელსაც დღეს სალაპარაკო ენაში ყველაზე ხშირად გამოიყენებენ. მრავალ ქვეყანაში 10-იდან საღამოს 8 საათამდე მილიონობით წიგნი გაიყიდება. ნამდვილი ზეიმი კი სახალხო დღესასწაულის დამთავრების შემდეგ დაიწყება, ოღონდ შინ, ახლადშეძენილ წიგნთან განმარტოებისას...




# შავი გედის აღსასრული

## ნინა სიმონე გარდაიცვალა

21 აპრილს მარსელთან ახლოს კარი ლე რუში, საკუთარ ვილაში 70 წლის ასაკში, ლეგენდარული მომღერალი, ჯაზის და ბლუზის ვარსკვლავი, ნინა სიმონე გარდაიცვალა.

მისმა მენეჯერმა კლიფტონ ჰენდერსონმა განაცხადა, რომ ბოლო დროს მომღერალი ავადმყოფობდა, თუმცა გარდაცვალების ზუსტი მიზეზი არ დაუსახელებია.

შავკანიანი და ღარიბი ჩრდილო კაროლინელი იუნის ვეიმონი ბავშვობიდანვე ოცნებობდა პიანისტი გამოსულიყო. 4 წლიდან, როგორც ნამდვილ მუსიკოსს შეეფერება რამდენიმე საათს ფორტეპიანოსთან ატარებდა. ღარიბი ოჯახის შვილზე მასწავლებელმა იზრუნა. მან საქველმოქმედო ფონდი დააარსა. შეგროვილი თანხის წყალობით იუნისმა სწავლა ნიუ იორკში, ჯულიარდის მუსიკალურ სკოლაში განაგრძო. თუმცა, ერთმა ფაქტმა მთლინად შეცვალა მისი ცხოვრება, რის გამოც კლასიკური მუსიკის პიანისტის კარიერაზე უარი თქვა. იუნისი ათი წლის იყო, როდესაც მშობლიური ქალაქის, ტრიონის ბიბლიოთეკის დარბაზში პირველი სოლო-კონცერტი გამართა. საკუთარი შვილის კონცერტზე მისული მშობლები კი სკამებიდან ააყენეს, რათა მათ ადგილას კონცერტზე მისული თეთრკანიანი სტუმრები დაესვათ. სწორედ ამ ინციდენტს ეფუძნება ვეიმონის წყენა რასისტული საზოგადოებისადმი და დასკვნა: "არც მეტი არც ნაკლები - ამერიკული საზოგადოება რასისტული ქსოვილით არის ნაშენი".

ამის შემდეგ იუნისი ნიუ იორკში გადასახლდა და ოჯახის დასახმარებლად ირლანდიურ ბარში დაიწყო მუშაობა. ბარის მფლობელმა კი განუცხადა, რომ მას უნდა ემღერა კიდეც. და ასე 50-იანი წლების დასაწყისში იუნისმა შოუ-ბიზნესის სამყაროში შეაბიჯა. მალე კი სასცენო ფსევდონიმიც შეირჩია - ნინა (ნიშნავს პატარა) სიმონე (სიმონე სინიორეს პატივსაცემად). ამ ფსევდონიმით ჩაწერილი პირველი ფირი, ცნობილი არიით – გერშვინის "პორგი და ბესიდან", მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. თუმცა, სერიოზული ხელოვნება, შავი როიალი და ფრაკიანი პუბლიკა მის ოცნებად რჩებოდა.


ნინა სიმონეს უკანასკნელი კონცერტი კარნეგი ჰოლში 2002 წლის 13 აპრილს


სტინგთან და ჯეიმს ტეილორთან ერთად

60-იან წლებში ნინა სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობაში ერთვება და რეპერტუარშიც რასიზმის წინააღმდეგ მიმართული სიმღერები Mississipi Goddam To Be Young, Gifted and Black ჩნდება. 70-იან წლებში ნინამ საერთოდ უარი განაცხადა ამერიკის მოქალაქეობაზე და 1973 წელს შტატები დატოვა. მომღერალი ამტკიცებდა, რომ მას სამოქალაქო პოზიციის გამო ქვეყნის უშიშროების სამსახურები სდევნიდენ. სანამ საბოლოოდ საფრანგეთში დასახლდებოდა ნინა ლიბერიაში და ბარბადოსში ცხოვრობდა.

ორი ქორწინებიდან სიმონეს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მომღერალი და მსახიობი ლიზა, რომელიც ამჟამად ბროდვეის დადგმაში, "აიდაში" გამოდის.

ჯანმრთელობის გამო ბოლო თვეები ნინა სიმონე იშვიათად გამოდიოდა კონცერტებზე. მისი ბოლო კონცერტი, შარშან პოლონეთში გაიმართა. ელ შაკმანმა გიტარისტმა, რომელიც 4 ათეული წლის განმავლობაში აკომპანიმენტს უწევდა მომღერალს, განაცხადა, რომ ნინამ ცოტა ხნის წინ უარი თქვა ბრიტანეთში საკონცერტო ტურნეს გამართვაზე, თუმცა იგი გაზაფხულზე ამერიკაში გამგზავრებას გეგმავდა.

ჯაზის ლეგენდად, სოულის დედოფლად, ნიჭიერ კომპოზიტორად, მომღერლად და პიანისტად აღიარებულმა ნინა სიმონემ გასულ წელს ინტერვიუში აღიარა, თუ როგორ დასწყდა გული თავის დროზე, ფილადელფიის კერტისის ინსტიტუტში რომ არ მიიღეს. თუმცა, დღეს სიმონეს შემოქმედება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე ეს სასწავლებელი.

ლეგენდარულმა ნინა სიმონემ მუსიკაში ჟანრებს შორის ყოველგვარი საზღვარი გაარღვია – მის ნაწარმოებებში იყო სოული, ჯაზი, პოპი ბლუზი, სპირიჩუელი, აფრიკული ფოლკლორი, ფრანგული შანსონი და თანამედროვე მუსიკა.



# სიურეალისტური ფასები

## რიუ ფონტენის საგანძური

ათი დღის განმავლობაში 21 შეხვედრა გაიმართა, და Calmels Cohen-ის აუქციონმა 46 მილიონი ევრო მიიღო – ყველაზე თამამ პროგნოზებზე ორმოცდაათი პროცენტით მაღალი თანხა. ანრი ბრეტონის კოლექცია აუქციონზე გაიტანეს, და თუმცა საგანძური დაიფანტა, პარიზელები კმაყოფილი არიან: ბრეტონი აღდგა! სიურეალიზმი და მისი ორი მანიფესტის ავტორი ამ მარათონის გამარჯვებულები არიან.

უჩვეულო ამბავია: სიურეალიზმს, უკვე მრავალი წელია, ამდენი თაყვანისმცემელი არ ჰყოლია, ამ დღეებში კი სასტუმრო "დრუოს" 50 ათასი ადამიანი ეწვია, აუქციონის დღეს კი ორივე დარბაზში 2 ათასი ხელოვნების მოყვარული იყო შეკრებილი. ეს არამარტო მთელი მსოფლიოდან ჩამოსული კოლექციონერები და ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრენი იყვნენ, არამედ უბრალო ცნობისმოყვარეებიც - საგანძური, რომელიც ათწლეულების განმავლობაში რიუ ფონტენში ინახებოდა, პირველად იქნა გამოფენილი. გარდა იმისა, რომ თავად აუქციონზე გატანილი ეგზემპლარები უაღრესად ფასეული იყო, საზოგადოება ვაჭრობის პროცესის შესანიშნავმა "რეჟისურამაც" მიიზიდა.

ძირითადი მყიდველი საფრანგეთის სახელმწიფო იყო. 33 მუზეუმის და ინსტიტუტის კურატორებმა 11,8 მილიონი ევრო გადაიხადეს და ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატები ჩაიგდეს ხელში. ასე, ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარე წიგნის აუქციონზე, ელიზა ბრეტონის და "არკან 17"-ის ორიგინალური ხელნაწერის გაყიდვისას, დიდი ორთაბრძოლა გაიმართა: პარიზელ ანტიკვარს, ჟან კლოდ ვრენს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მყიდველი იყო, 750 ათას ევრომდე ასული ფასის დასახელების შემდეგ სასურველი ეგზემპლარის "ჟაკ დუსეს" ბიბლიოთეკის წარმომადგენლისთვის დათმობა მოუწია. ამ ბიბლიოთეკამ, საერთოდ, დიდი "ნადავლით" დატოვა აუქციონი: ბრეტონის ტექსტებითა და ნახატებით (150 ათასი ევრო), ნადიას მიერ ბრეტონისთვის გაგზავნილი 27 წერილით, წინასწარმეტყველის ატრიბუტით – ბროლის სფეროთი და ა.შ. ანტიკვარს ჰანს არპსის "ქალიც" "ააცალეს" – 2,5 მილიონი ევროს დასახელების შემდეგ მას "პომპიდუს ცენტრმა" აჯობა. "პომპიდუმვე" შეიძინა მენ რეის "საშიშროების შეუძლებლობა" – 1,6 მილიონ ევროდ.

ერთი სატელეფონო ზარით, 2,5 მილიონ ევროდ, გაიყიდა ხუან მიროს Le Piege.

მაგრიტის "დამალული ქალი" სავალალო მდგომარეობაში ყოფილა, მაგრამ ამერიკელები მისი რესტავრაციის დამატებით ხარჯებს არ შეუშინდნენ – ის 900 ათასად კერძო კოლექციაში მოხვდა.

აუქციონი დამთავრდა. მეტ-ნაკლებად, ყველა კმაყოფილია – გამყიდველიც და მყიდველებიც. ყველაზე მეტად კი, ხუმრობს აუქციონ Calmels Cohen-ის წარმომადგენელი, ალბათ, ანრი ბრეტონი ერთობა – მისი კოლექციის გამო ატეხილი ორომტრიალი ხომ, მართლაც, სიურეალისტური იყო.


ანრი ბრეტონი

# "ლუი ვიტონის" ახალი სახე

ჭორები გამართლდა: ფრანგულმა კონცერნმა LVMH ოფიციალურად განაცხადა, რომ ჯენიფერ ლოპესი "ლუი ვიტონის" სარეკლამო სახე გახდა.

დიზაინერ მარკ ჯეკობსს "ლუი ვიტონს" სიმბოლოდ, სწორედ, ასეთი ქალი ჰყავდა წარმოდგენილი - "თანამედროვე ლეგენდა, დახვეწილი, გავლენიანი და სექსუალური ქალი". ხელშეკრულების ფინანსური დეტალების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, მაგრამ ამ წლის დასაწყისში კომპანიის წარმომადგენლებმა უკვე ბრძანეს, 2003 წლის სარეკლამო ბიუჯეტი ფრიად შთამბეჭდავი იქნებაო.

საშემოდგომო და ზამთრის სარეკლამო კამპანია ლოპესის მონაწილეობით ჟურნალებსა და აბრებზე აგვისტოში გამოჩნდება. ამ სურათების გადაღება ორი კვირის წინ, პარიზში დასრულდა. ლოპესის პარტნიორი სააგენტო Q-ს მოდელი, ანდრეს სეგურაა. ფოტოგრაფებად "მერტ და მარკუსის" ოსტატები გვევლინებიან.


ჯენიფერ ლოპესი

# ომის მსხვერპლთა დასახმარებლად



ახალი დისკის გარეკანი

ერაყის ომის ახალგაზრდა მსხვერპლთა დასახმარებლად პოლ მაკარტნიმ, დევიდ ბოვიმ და ჯორჯ მაიკლმა ახალი ერთობლივი კომპაქტ-დისკი გამოუშვეს. ბრიტანული მედიები იუწყება, რომ შემოსავალი, რომელსაც ეს ჩანაწერი, "იმედი" მოიტანს, საქველმოქმედო ორგანიზაცია "ომის ბავშვებს" გადაეცემა. ეს ორგანიზაცია ამჟამად ნაზირიჯაში დანგრეული ობოლთა თავშესაფრის აღდგენას გეგმავს. "ომის ბავშვების" მონაცემების თანახმად, ამჟამად ერაყში ორი მილიონი ბავშვი შიმშილობს, ასე რომ, მუსიკოსების დახმარება ძალიან დროული იქნება.

ახალი კომპაქტ-დისკის შექმნაში მონაწილე ხელოვანები გასამრჯელოზე უარს ამბობენ. "ომის დროს ბავშვები ყოველთვის უდანაშაულო მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე. ამიტომ მათი დახმარების საქმეში პატარა წვლილის შეტანა, ჩვენთვის მხოლოდ სასიხარულოა," განაცხადა პოლ მაკარტნიმ.

# ჩინეთში ძეგლებს ტუალეტისგან აშენებენ

1961 წელს პეკინის რაიონში, ვენშუ-ხუტონზე საზოგადოებრივი ტუალეტი აშენდა – ადგილი მეტად საჭირო და სასარგებლო. მაშინ ტუალეტის ასაშენებლად ბევრი ძველი ქვის ბლოკი მოზიდეს.

აღმოჩნდა, რომ ტუალეტის ასაშენებლად გამოყენებული ქვები ძველი მინის დინასტიის ქალაქის კედლის ნაწილს წარმოადგენდა, რასაც დიდი ისტორიული ღირებულება აქვს. ეს კედელი, რომლის საერთო სიგრძე 20 კილომეტრია, მე-14 საუკუნეში აშენდა. ხოლო გასული საუკუნის 50-იან წლებში მისი ნაწილი მოანგრიეს, რომ ახალი შენობების ასაგებად ტერიტორია გაეთავისუფლებინათ. 1997 წლიდან პეკინის ხელისუფლება კედლის რეკონსტრუქციას შეუდგა, რისთვისაც აუთენტურ ქვებს იყენებენ. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ტუალეტის დანგრევა მოუწიათ.




## კროსვორდი




# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში